პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეექვსე წელიწადი

საჯარო ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.

ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივნის 10—58

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა"-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

პარასკევი, 5 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 51 (1506)

დღიური

— ბუქარესტში (რუმინეთი) ფაშისტ სტუდენტების გამოსვლების გამო ყველა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა შესწყდა.
— ზემო-სილეზიაში გრძელდება გერმანელების დევნა.
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დაიწყო საფინანსო კანონპროექტის განხილვა.
— ამერიკის მთავრობამ 3 საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად 300 მილიონი მანეთი გადასდო.
— ნორვეგიაში შესდგა კონსერვატიული მთავრობა.
— პარიზში ვაჭრებმა ორი საათით გაფიცვა გამოაცხადეს

საქართველოს კომპარტიის ც. კ.

გაფართოებული პლენუმი

ს. კ. პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად

შესდგება დღეს, 5 მარტს

თბილისის აღმასკომის დარბაზში, საღამოს 6 საათზე

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი მ. ქ ხიანი

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
მარტისათვის

კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 24

მეორე სართული (ტელ. № 10—49)

საშუალო გლეხობასთან ერთად კულაკობის წინააღმდეგ

სოფლად ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაშლის ნიადაგზე აქტივობის ზრდა ეტყობა გლეხობის ყველა ფენებს. კულაკობა, როგორც ეკონომიურად უფრო ღონიერი და გამოცდილ-გაქნილი ძალა, მეტ აქტივობას იჩენს არც საშუალო გლეხობაა გულზე ხელდაკრეფილი, უფრო მოისუსტებს ამ მხრივ ღარიბი გლეხობა, რომელიც კიდევ საკმაოდ ჩამორჩენილია ყოველმხრივ, თუმცა ამ ბოლო დროს ისიც კავშირდება და ირაზმება.

ხაზგასასმელი ის არის, რომ კულაკობა აძლიერებს რა თავის ეკონომიურ გავლენას დანარჩენ გლეხობაზე, ამავე დროს ხელს იშვერს ძალა-უფლებისაკენ და ცდილობს დაეუფლოს სოფლის საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტები, რომლებსაც აქა-იქ ადგილი აქვს მიმდინარე საბჭოთა არჩევნების დროს.

არის შემთხვევები, როცა კულაკები საარჩევნო კრებებზე დამაგოგიურ ხრიკებს მიმართავენ: ეწევიან საბჭოთა ორგანოების ბოროტ კრიტიკას, ჩრდილავენ მის მუშაობის მიღწევებს და აზვიადებენ ამ მუშაობის ნაკლოვანებებს; ამასთან ისეთი სამოქმ. პროგრამას აყენებენ, რომლის განხორციელება დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია, მოსახლეობას „სამოთხეს" ჰპირდებიან, თუ მათ კანდიდატებს აირჩევენ და თავიანთი თავი გამოჰყავთ... მშრომელთა გულშემატკივრებად, მათი ინტერესების დამცველებად. ცხადია, მათი მიზანია მშრომელ გლეხობაში უკმაყოფილების და უნდობლობის დათესვა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მოსახლეობის თავისკენ მიმხრობა და ხელისუფლების ორგანოებში გაძრომა, რომ შემდეგ ისე „მოაჭახრაკონ" სასოფლო საქმეები, როგორც მათ მოეპრიანებათ, რა თქმა უნდა, თავიანთ სასარგებლოდ და მშრომელ გლეხობის საზიანოდ.

კულაკებს საკმაო დარაზმულობა და შეთანხმებული მოქმედება ემჩნევათ არჩევნების დროს. იყო თურმე შემთხვევა (გორის მაზრის ერთ-ერთ სოფელში), როცა მათ წინასწარ ფარული კრებაც კი მოიწვიეს, რაღაც მსჯელობა ჰქონდათ არჩევნებზე საერთო ძალ-ღონით გამოსვლის შესახებ, დაასახელეს თავიანთი კანდიდატები და სხ. თვით საარჩევნო კრების დროს გამოხმობ-გამოხმობა, ჯგუფური მოლაპარაკება მათი მხრით რომ ჩვეულებრივი მოვლენაა.

აგრეთვე შემჩნეულია კულაკების მიერ ღარიბ ელემენტების დათრობა, მოსყიდვა, სხვადასხვა დაპირების მიცემა მათთვის, ოღონდ მხარი დაუჭირონ არჩევნებში და თავისი კანდიდატები გააყვანიონ. ამავე გორის მაზრაში ერთ კულაკს საგანგებო ქეიფი გაემართა ამ მიზნით უღარიბეს გლეხობის საკმაო რიცხვისათვის და არაყი თუ ღვინო ბლომად დაუხარჯავს.

კულაკები, გარდა ამისა, ალაგ-ალაგ ასაჩივრებდენ არჩევნების შედეგებს, როცა ისინი მარცხდებოდენ, ვითომ არჩევნები უკანონოდ ჩატარებულიყოს; ნამდვილად კი ირკვეოდა რომ არჩევნები კანონიერი იყო და კულაკების განზრახვას შეადგენდა მათი გაუქმება,—ეგებ ხელმეორე არჩევნების დროს რამეს გავხდეთო.

ყველა ეს და მსგავსი ფაქტები ჩვენს წინაშე ისევ აყენებს კულაკურ საფრთხესთან ბრძოლის ამოცანას. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გადავაჭარბებთ ამ საფრთხეს და განგაშს ვერ ავსტეხთ მის გამო, მაგრამ იგი არსებობს და საჭიროა მასთან მიზანშეწონილი და სისტემატიური ბრძოლა. ზედმეტია მაზე ლაპარაკი, რომ დაუშვებელია ადმინისტრატიული იძულების გზით კულაკების მოსპობა, ჩვენ ვერ აუკრძალავთ მათ მატერიალურ ღირებულებათა შექმნას, რომელიც ასე საჭიროა. ამაზე ჩვენ გვაქვს უმაღლეს პარტორგანოების კატეგორიული დირექტივა.

კულაკობას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სულ სხვა საშუალებებით. მისი პოლიტიკური აქტივობის აღმოფხვრა შეიძლება ღარიბ გლეხობის ორგანიზაციით და მასთან საშუალო გლეხობის დარაზმვის. მისი საზოგა[illegible] დარაზმვის, მისი საზოგადოებრივი აქტივობის და შეგნების აწევის საქმე უნდა გავაძლიეროთ, ცეკას ოქტომბრის პლენუმის და უკანასკნელი პარტყრილობის დადგენილებათა მიხედვით. ღარიბ გლეხობის კრებების მოწყობას, სოფლის ორგანიზაციებში ღარიბთა ჯგუფების შექმნას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ღარიბი გლეხობა თამაშობდეს ხელმძღვანელ როლს სოფლის ცხოვრებაში და თვითონ ედგეს დარაჯათ თავის ინტერესებს, რისათვის საბჭოთა ხელისუფლება როგორც კანონმდებლობით, ისე მატერიალური საშუალებებით საკმაო შესაძლებლობას იძლევა.

მაგრამ აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბ გლეხობის ორგანიზაცია არამც და არამც არ უნდა დაუპირდაპირდეს საშუალო გლეხობას. კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი პირველ ყოვლისა არის საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხი. საშუალო გლეხობა როგორც რიცხვობრივად, ისე მის მიერ დამუშავებული პროდუქციის რაოდენობით და ღირებულებით სოფლის უმთავრეს ძალას წარმოადგენს. ვის მხარეზე იქნება ეს ძალა, გამარჯვებაც მას ერგება. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა, რათა განვამტკიცოთ ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირი. ღარიბ გლეხობის კრებებზე საშუალო გლეხების აქტივი უეჭველად უნდა მოვიზიდოთ. ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის მხრით მისგან განცალკევებას არ უნდა ექნეს ადგილი. საშუალო გლეხი უნდა დარწმუნდეს, რომ ღარიბ გლეხთა ორგანიზაცია არამც თუ არ არის მიმართული მის წინააღმდეგ, არამედ მის ინტერესების დაცვასაც ისახავს მიზნად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კულაკობა გავანაპიროთ და საშუალო გლეხობა ჩამოვაშოროთ მას.

თავის თავად ცხადია, რომ ღარიბ-საშუალო გლეხობის პოლიტიკური ბლოკი მაშინ იქნება მკვიდრი, როცა მას საფუძვლად ეკონომიური თანამშრომლობა უდევს. ეს თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს პირველ ყოვლისა კოოპერაციაში, რომელიც წარმოადგენს კულაკობის წინააღმდეგ ეკონომიურ ბრძოლის იარაღს. ღარიბ-საშუალო გლეხობას გაერთიანებული ძალღონით საშუალება აქვს დასძლიოს კულაკობის ცდა, მიმართული კოოპერაციის თავის გავლენის ქვეშ მოქცევისაკენ. ისინი უნდა იყვნენ კოოპერაციის ხელმძღვანელნი და ბატონ-პატრონნი. კოოპერაციის გზით ისინი მიიღებენ შეღავათიან ფასებში როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო საგნებს, მისივე საშუალებით ხელსაყრელ პირობებში გაასაღებენ თავიანთ პროდუქციას, ამგვარად განთავისუფლდებიან კულაკობის ეკონომიურ გავლენისაგან და შეიქმნება მტკიცე ნიადაგი მათი მეურნეობათა განვითარებისათვის. კოოპერაცია ამავე დროს ხელს შეუწყობს მათი მეურნეობათა განზოგადოებას და სოციალისტურ კალაპოტში მოქცევას.

თავის თავად იგულისხმება, რომ კოოპერაციის მოღონიერება და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით წარმართვა შეუძლებელია ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის ზრდის გარეშე. საბჭოთა მრეწველობის ზრდა და მისი მჭიდრო კავშირი კოოპერაციასთან ძირითადი პირობაა სოფლად კაპიტალისტურ ელემენტების დასამარცხებლათ.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კრედიტს, რომელიც უნდა მიეცეს ღარიბ და საშუალო მეურნეობათ საწარმოო მიზნებისათვის. საჭიროა საკრედიტო ამხანაგობათა რიგიანი ორგანიზაცია, მათი თანხების გადიდება როგორც სახელმწიფო საშუალებებით, ისე მოსახლეობის თავისუფალი ფულებით, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია. კრედიტის ორგანიზაციის საქმეს ისევ საშუალო-ღარიბი გლეხობა უნდა დაეუფლოს და აქ კულაკობის გავლენა შესუსტებულ უნდა იქნას.

ყველა ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია თვალსაჩინო ნაბიჯები. შედეგებიც მნიშვნელოვანია. ეს გამოაშკარავდა, სხვათა შორის, საბჭოთა არჩევნებიც, როცა კულაკობა ყველგან სასტიკად მარცხდება და იმარჯვებს ღარიბ-საშუალო გლეხობა.

მო აღნიშნულ დარგში უტყუარი საწინდარია, რომ კაპიტალისტური ელემენტები თანდათან გაქრებიან და სასოფლო მეურნეობა წარმატებით წავა სოციალისტურ მშენებლობის გზით.

ბრძოლა მუდმივი ადგილებისათვის

გერმანია—ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების წინააღმდეგ

ინგლისის დელეგაცია ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

ბალდუინის განცხადება

ლონდონი, 3 მარტი. თემთა პალატაში ბალდუინმა განაცხადა, რომ ჩემბერლენი ხვალ პალატაში ამომწურავ მოხსენებას გააკეთებს ერთა ლიგის საბჭ. განსახილველ საკითხებზე. ჩემბერლენი გააშუქებს იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ზოგიერთ სახელმწიფოს მიერ ერთა ლიგის საბჭოში მუდმივ ადგილების მოთხოვნის გამო. ბალდუინმა დასძინა, რომ ჩემბერლენის განცხადების შემდეგ გაიმართება კამათი.

ინგლისის დელეგაცია

ლონდონი, 3 მარტი. ინგლისის კაბინეტის პლენარულ სხდომაზე გაიმართა მსჯელობა ინგლისის პოზიციის შესახებ ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის საკითხში.

ინგლისის დელეგაციის მეთაურად საბჭოს სესიაზე იქნება **ჩემბერლენი** და **ლორდი სესილი.** მათ გაჰყვებიან: საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი **სესილ ხერსტი** და ამ სამინისტროს მოხელეები: **ლემპსონი, სელბი, კადაგენი, რობერტი, ბენტინგი,** კონტრ-ადმირალი **ობრი-ელიფი**—ტეხნიკურ ექსპერტთა და იუნგი—კოლონიათა სამინისტროს მოხელე.

უთანხმოება მოგვარებული იქნება

ლონდონი, 3 მარტი. „რეიტერის" სააგენტოს ცნობით, ინგლისის მთავრობამ 3 მარტს განიხილა ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი. ინგლისის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ ამ საკითხის გამო გამოწვეული უთანხმოება მთავრობის წევრების შორის მოგვარებული იქნება.

ლიუტერი ერთა ლიგის შესახებ

ბერლინი, 3 მარტი. „ვოლფის სააგენტო იუწყება:

რეიხსკანცლერმა ლიუტერმა სიტყვა წარმოსთქვა ჰამბურგის სენატის მიერ გამართულ ბანკეტზე. მან აღნიშნა, რომ დაუშვებელია, რათა ერთა ლიგის საბჭოში გერმანიისათვის მუდმივი ადგილის მიცემა დაკავშირებული იქნეს საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან. მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანია გახდება ერთა ლიგის საბჭოს წევრი და პრაქტიკულად გაეცნობა ერთა ლიგის მექანიზმს, მას შეუძლია დაიკავოს გარკვეული პოზიცია საბჭოს შემადგენლობის გაფართოების ან შეცვლის საკითხში.

მოსულის საკითხი

„გადაჭრილია"

ლონდონი, 3 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს მახლობელ სესიის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი ინგლისსა და ერაყის შორის დადებულ ახალ ხელშეკრულების შესახებ. ამის გამო ლონდონში მოხდება რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლა ინგლისის მთავრობასა და ერაყის პრეზიდენტ ჯაფარ-ფაშას შორის. ერთა ლიგის საბჭოს წარედგინება შუამდგომლობა იმ ხელშეკრულების მიღების შესახებ, რომლის თანახმად მოსული უერთდება ერაყს. მას შემდეგ, რაც საბჭო სცნობს ხელშეკრულებას საკმაოთ უზრუნველყოფილათ, მოსულის საზღვარი ავტომატიურათ იქნება დაწესებული. მიუხედავად ამისა, ინგლისის მთავრობა იტოვებს თავისუფლებას გამართოს მოლაპარაკება ოსმალეთთან სანაპირო ხაზის მცირეოდენ შესწორების შესახებ.

როგორ მიმდინარეობს „განიარაღება"

„ტესაკი თუ ხიშტი"

ლონდონი, 4 მარტი. ინგლისის სამხედრო მინისტრმა ევანსმა დაადასტურა, რომ ჯარების შესანახათ ხარჯები 1926—27 წელს შეადგენს 42,5 მილ. გირვანქა სტერლინგს, შარშან კი 44,5 მილ. გირ. სტერლინგს შეადგენდა. ამასთანავე ევანსმა განაცხადა, რომ მან უნდა შეასრულოს ამ ორი მილიონი გირვანქა სტერლინგის ეკონომიის მძიმე ამოცანა. ხარჯების შემცირებასთან ერთად არ უნდა შესუსტდის ინგლისის სამხედრო ძალები. განზრახულია ზოგიერთი იარაღის შეცვლა. დასმულია საკითხი, რა სჯობია ჯარისკაცისათვის ტესაკი თუ ხიშტი, მოსალოდნელია, რომ უპირატესობას ალბად მეორეს მიაკუთვნებენ, რადგან ეს შეამცირებს ხარჯებს 250.000 გირვ. სტერლინგით. არმიის შესანახავ ხარჯებიდან 8,5 მილიონ გირვ. სტერლინგი მოხმარდება პენსიებს და ამგვარად, არმიის შესანახად ნამდვილად საჭირო იქნება 34 მილ. გირვ. სტერლინგი.

ამერიკა „ამცირებს" შეიარაღებას

ლონდონი, 4 მარტი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის სამხედრო დეპარტამენტმა წარუდგინა კონგრესს 5 წლის საჰაერო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 1.200 ჰაეროპლანის აშენებას და პერსონალის გადიდებას 16.636 კაცამდე. ხარჯები ავიაციაზე გადიდებული იქნება 15 მილიონი დოლარით.

პარიზში ყველა მაღაზიები დაკეტილია

ლონდონი, 4 მარტი. პარიზში დღეს 2—4 საათამდე დახურულია ყველა მაღაზიები ნიშნათ პროტესტისა საგანგებო დაბეგვრის და ფისკალურ უთანასწორობის წინააღმდეგ.

საფინანსო კანონპროექტების განხილვა

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.

ლონდონი, 3 მარტი. პარიზიდან მიღებულ ცნობის თანახმად, დეპუტატთა პალატამ საერთოდ განიხილა საფინანსო კანონპროექტი და გადავიდა მუხლობრივ განხილვაზე, სოციალისტმა ბლიუმმა შეიტანა კონტრ-წინადადება, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის დაბეგვრას და სამხედრო ხარჯების შემცირებას. ეს წინადადება უარყოფილი იქნა 295 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 168-ისა. საბაჟო გადასახადის 30%-ით გადიდება მიღებული იქნა პალატის მიერ.

პარიზი, 3 მარტი. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ მიიღო წინადადება ალებ-მიცემობაზე ნაცვლად 1,2%-ისა, 0,4%-ის გადასახადის დაწესებისა. მალვიმ განაცხადა, რომ საჭიროა სენატთან კონფლიქტის თავიდან აშორება და მხარის დაჭერა გადასახადზე ალებ-მიცემობაზე. მალვის წინადადება მიღებული იქნა 12 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 11-ისა.

ანაზღაურების გარშემო

ბერლინი, 3 მარტი. 4 მარტს დაიწყო ხელწერილების შეკრება სახალხო კენჭის ყრის მოსაწყობად ყოფილ მეფის საგვარეულო ქონების ანაზღაურების საკითხისათვის. ამ კამპანიაში ბურჟუაზიული პარტიებიც იღებენ მონაწილეობას. მემარჯვენე პარტიები სახალხო კენჭის ყრას ეწინააღმდეგებიან. ცენტრის საპარლამენტო ფრაქცია მოუწოდებს ამომრჩევლებს თავი შეიკავონ პლებისციტის საკითხში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმი თავის მოწოდებაში ემხრობა პლებისციტს და კვლავ უარყოფს კომუნისტების წინადადებას გაერთიანებულად გამოსვლის შესახებ.

გერმანიაში

ბარტელსის პროცესი

ბერლინი, 3 მარტი. 3 მარტს დამთავრდა ბერლინის პოლიციის პრეზიდიუმის უცხოეთის განყოფილების ყოფილი უფროსის ბარტელსის პროცესი. ბარტელსს ყველა იცნობს, როგორც თეთრი ემიგრაციის დამქაშს და როგორც აქტიურ მონაწილეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმაში.

ბარტელსი დამნაშავეთ იქნა ცნობილი მექრთამეობასა და ყალბი დოკუმენტების დამზადებაში, რისთვისაც მას მიუსაჯეს 1 წლით და 4 თვით დაპატიმრება.

ამნისტია უარყოფილია

ბერლინი, 3 მარტი. ბავარიის ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიამ ხმების უმრავლესობით კომუნისტების და სოც. დემოკრატების წინააღმდეგ უარყო კომუნისტების წინადადება, რომ ბავარიაში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ დაპატიმრებულ კომუნისტებზე ამნისტია გავრცელებულიყო.

ბერლინი, 4 მარტი. ამერიკის საჰაერო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 150 მილიონ დოლარათ.

„რესპუბლიკანური" რეიხსვერი

ბერლინი, 4 მარტი. თავდაცვის მინისტრმა გესლერმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ გერმანიის რეიხსვერი თანდათან რესპუბლიკნური სულით იჟღინთება. რეიხსვერისადმი წაყენებული ბრალდება, რომ იგი თითქო ნაციონალისტურია და შავ რეიხსვერს მოგვაგონებს, დაუსაბუთებელია. ამის დასამტკიცებლად გესლერმა გაიხსნა მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც რეიხსვერი იცავდა რესპუბლიკას უკიდურეს მემარცხენეების და რეაქციონერების თავდასხმისაგან."

1700 პროც. მოგება მუშების ხარჯზე

ლონდონი, 3 მარტი. თემთა პალატაში ლიბერალმა ხორმა აღნიშნა ინგლისის დამზღვევ საზოგადოებათა დიდი მოგება. ზოგიერთმა საზოგადოებამ გასცა დივიდენდები 500 პროცენტამდე, ხოლო ერთმა საზოგადობამ—1.700 პროც. ხორი მოითხოვს დამზღვევ საზოგადოებათა საქმის გამოძიებას. 1924 წ. დამზღვევმა სალაროებმა მიიღეს პრემიის სახით 46 მილ. გირვ. სტერლ., ხოლო გადაიხადეს სულ 15 მილ. გირვ. სტერლ. ასეთი დიდი მოგება აიხსნება იმით, რომ დაზღვეულებს, უმთავრესად, მუშებს არ შეუძლიათ იხადონ პრემიები პოლისების მიხედვით. ამის გამო 1924 წელს მრავალმა პოლისმა ძალა დაჰკარგა და დაზღვეულებს დაეკარგათ წინათ შეტანილი პრემიები.

გერმანელების დევნა პოლონეთში

ბერლინი, 3 მარტი. გერმანიის საგარეო საქმეთა რწმუნებულმა ვარშავაში გადასცა პოლონეთის მთავრობას მკვახე საპროტესტო ნოტა პოლონეთის ზემო-სილეზიაში გერმანელების დაპატიმრებისა და იმ წაქეზების კამპანიის წინააღმდეგ, რომელსაც პოლონეთის პრესა აწარმოებს.

კოლექტიურ მეურნეობათა გაჯანსაღებისათვის

მკითხველი დღეს ჩვენს გაზეთში ნახავს ტელეგრაფით გადმოცემულ ცნობას შორაპნის მაზრიდან, საიდანაც ვტყობილობთ, რომ დაიშალა სოფულ კაცხის კოლექტიური მეურნეობა „წინსვლა", რომელიც დაარსებული იყო 1924 წლის დამლევს და, რომელიც უკანასკნელ წლის განმავლობაში სავსებით დამაკმაყოფილებლათ მუშაობდა.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში ასეთივე ბედი ეწვია თელავის მაზრის მთელ რიგ სასოფ.-სამეურნეო კოლექტივებს. დაიშალა ყვარელის კომუნა, დაირღვა წინანდალის კომუნა, რომელიც სამი წელიწადი არსებობდა, წავიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ სახლში „შრომის" კომუნის წევრები. ყოფ. ვაჩნაძიანში, შეწყვიტა არსებობა არტელმა და კომუნამ სოფ. შაშიანში, დაიქსაქსა ორი უძველესი კომუნა სოფ. ურიათუბანში და სხვა.

ამ რიგათ, როგორც ვხედავთ, სას.-სამეურნეო კომუნების რღვევამ ამ ბოლო ხანებში ერთგვარ საზოგადო სენის ხასიათი მიიღო, რომელმაც თითქმის ყველა მაზრებში იჩინა თავი. აშკარაა, აქ კომუნ. წევრთა შორის უბრალო შეუთანხმებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვეულებრივათ, როცა ეძებენ კოლექტიურ მეურნეობათა რღვევის მიზეზებს, არამედ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ღრმა მნიშვნელობის მოვლენებთან, რომელნიც განადგურებით ემუქრებიან კოლექტიურ მეურნეობებს სოფლად და, რომლებზედაც აღმოცენებულია კომუნის წევრთა ერთმანეთის უთვისობა.

პირველი და გადამწყვეტი მნიშვნელობა კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში აქვს კომუნის წევრთა ეკონომიურათ დაინტერესების მომენტს. შეუძლებელია კომუნის წარმატებით განვითარებაზე ფიქრი, თუ კოლექტიურ მეურნეობის განვითარებაში უაღრესათ დაინტერესებული არაა თვითეული მისი წევრი და, თუ აქ ადგილი არ დაურჩა გარჯილობისაკენ წახალისების მომენტს. ამ შემთხვევაში მარტო მაღალ გრძნობებზე და კოლექტიურ სოლიდარობის პრინციპებზე ლაპარაკი უბრალო თავის მოტყუება იქნება და სხვა არაფერი. ჩვენ კომუნათა და არტელების უმრავლესობაში წევრთა პირადათ დაინტერესების პრინციპი არაა განხორციელებული და სწორედ ამაშია მათი უმწეო მდგომარეობის მთავარი უბედურება.

ბევრ შემთხვევაში კოლექტიური მეურნეობები უკან რჩებიან თავიანთ წარმოებით გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს, კომუნა ზოგჯერ ვერ უზრუნველჰყოფს თვითეულ მის წევრს საარსებო მინიმუმით, კომუნის საბინაო ინვენტარი და შრომის იარაღები ზოგ შემთხვევაში უკან თუ რჩება, თორემ წინ ვერ უსწრებს კერძო მეურნეობის კეთილმოწყობას. ასეთ პირობებში თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო კოლექტიური მეურნეობანი ჰკარგავენ თავიანთ არსებობის აზრს და ისინი ვერას შემთხვევაში ვერ გახდებიან სოფლის მოსახლეობის მისაბაძ მაგალითად.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნალურ მეურნეობის ეს ტკივილები მარტო ჩვენი სოფლების სენს არ წარმოადგენს. მას საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიაც აქვს ადგილი. ამიტომ იყო, რომ ამ თებერვლის წინეთ მოსკოვში შეკრებილ კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკების თათბირი განსაკუთრებით შეჩერდა ამ საკითხზე და თავისი აზრი გამოსთქვა შექმნილ დაბრკოლებათა გადასალახავთ.

თათბირმა კოლექტიურ მეურნეობათა გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ საშუალებათ სცნო კომუნების, არტელების თუ ამხანაგობების წევრთა ეკონომიურათ დაინტერესების პრინციპის შემოღება და ამ პრინციპის ცხოვრებაში მტკიცეთ გატარება.

დებულება: „ყველამ უნარის მიხედვით და ყველას მოთხოვნილების მიხედვით", პრაქტიკულად მიუღებელი დებულებაა დღევანდელ პირობებში. ამ პრინციპზე აგებული კომუნები, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, მალე ჩიავდებიან, ვერ უძლებენ ინტენსიურ შრომის საფუძველზე დამყარებულ ინდივიდუალურ მეურნეობათა კონკურენციას და კვდებიან.

ამრიგათ, საჭიროა კომუნებში შემოღებულ იქნას ერთგვარი შრომის მინიმუმი, რომლის ზევითაც კომუნის თვითეულ წევრს მისი უნარის და გარჯილობის მიხედვით უნდა მიეცეს განსაზღვრული ჯილდო. ამ ჯილდოში, რასაკვირველია, არ შევა ის საარსებო მინიმუმი, რომელიც კომუნის ყველა წევრებს ერთნაირათ უნდა ეძლეოდეს.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა კოლექტიური მეურნეობანი იშლებიან თავიანთი დაარსების პირველ თვეებშივე, ან ზოგჯერ უფრო ადრე. ასეთი ხვედრი ელის უმთავრესად იმ კომუნებს, რომელნიც არსდებიან ღარიბ გლეხთა შეკავშირებით. კომუნის წევრებს არ გააჩნიათ სათანადო შრომის იარაღები, ბინა, მუშასაქონელი და სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის სხვადასხვა აუცილებელი საშუალებანი.

ჩვენ კი დაინტერესებულნი ვართ, რომ კომუნებში გაერთიანდეს სწორეთ ღარიბი გლეხობა. პარტიის ცეკას ოქტომბრის პლენუმმა თავის დადგენილებაში ღარიბ-გლეხთა ორგანიზაციის შესახებ ეს ხაზგასმით აღნიშნა. საჭიროა, მაშასადამე, აქ გამოსავალი მოიძებნოს. მთავარი დახმარება აქ შეუძლია გაუწიოს ღარიბ გლეხთა კოლექტიურ მეურნეობებს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა, კოოპერაციამ, გლეხკომებმა და სოფლის სხვა ეკონომიურ ორგანიზაციებმა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კომუნის შემადგენლობის პირად შერჩევასაც. უნდა ვეცადოთ კომუნებში დაახლოებით მაინც ერთნაირშეძლების გლეხთა გაერთიანებას, რომ შემდეგში ნაკლები ადგილი დაურჩეს ყოველგვარ გაუგებრობას და უთანხმოებას. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე კომუნის წევრთა ზნეობრივი თვისებებიც. კოლექტიურ მეურნეობაში არ უნდა იქნან დაშვებულნი ბნელი წარსულის მქონე პირები და ისეთები, ვინც გაურბის შრომას და მიჩვეულია სხვის ნაოფლარით არსებობას.

ასეთია მოკლეთ ის მთავარი ღონისძიებები, რომელთა მტიცეთ დაცვაც შთაბერავს სიცოცხლის სულს ჩვენს მოდუნებულ კოლექტიურ მეურნეობებს და აღორძინების გზით წარმართავს მათ.

ნ—ლი.

საბჭოთა პრესა

ერთი გადახრის წინააღმდეგ

ცეკას ოქტომბრის პლენუმის დირექტივებმა ღარიბ გლეხობის შორის მუშაობის შესახებ, რომელნიც დაადასტურა მე-14 პარტყრილობამ, უკვე გამოიღეს მნიშვნელოვანი ნაყოფი. ღარიბ გლეხთა ორგანიზაციას სათანადო ყურადღება ექცევა ადგილობრივი ორგანიზაციების მხრით, ით, ღარიბი გლეხობის საზოგადოებრივი შეგნება და აქტივობა იზრდება, ის საერთოდ შეკავშირებულად გამოდის, იცავს თავის ინტერესებს და თავის გავლენას ახდენს სოფლის ცხოვრებაზე, იზრდება მისი ხელმძღვანელი როლი სოფლად. ეს აშკარავდება, სხვათა შორის, მიმდინარე საბჭოთა არჩევნებშიც. მაგრამ ამავე დროს ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის საქმეში აქა-იქ ადგილი აქვს ზოგიერთ შეცდომას, რომელთა გამოსწორებისაკენ უნდა იქნას მიმართული ჩვენი საქმიანობა. უმთავრეს შეცდომად უნდა ჩაითვალოს საშუალო გლეხობასთან კავშირის სისუსტე ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის დარგში.

„პირველი ძირითადი ნაკლულევანება,—სწერს **„იზვესტია"**,—ამ მუშაობის სუსტი დაკავშირება საშუალო გლეხობასთან, მოწინავე საშუალო გლეხთა არასაკმარისი მოზიდვა ღარიბ გლეხობის კრებებზე. მართალია, ეს საყოველთაო მოვლენა არ არის, მაგრამ ზოგან მაინც ვაწყდებით არასწორ გაგებას ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის და საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხში. ვამჩნევთ **„შიშს საშუალო გლეხობისადმი"**, მისწრაფების უქონლობას—ღარიბ გლეხობის კრებებზე მოზიდულ იქნენ უფრო აქტიური და ღარიბ გლეხობასთან ახლო მყოფი საშუალო გლეხები".

ამით ირღვევა პარტიის ხაზი სოფლათ მუშაობაში. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ღარიბი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენია სოფლად, საშუალო გლეხი წარმოადგენს პროლეტარიატის მკვიდრ მოკავშირეს. პარტყრილობის დირექტივის თანახმად, „ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ სწარმოებდეს როგორც ღარიბ გლეხობის შეკავშირების გზით კულაკების წინააღმდეგ, ისე საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის კავშირის განმტკიცების გზით, რათა საშუალო გლეხი ჩამოვაცილოთ კულაკს და გავანაპიროთ უკანასკნელი".

„ამიტომ,—განაგრძობს გაზეთი,—შემდეგში უნდა ავიღოთ მტკიცე გეზი ღარიბ გლეხობის კრებებზე საშუალო გლეხთა უფრო აქტიურ წრეების მოზიდვისაკენ, ამასთან უნდა უზრუნველვყოთ კრებებში ღარიბ გლეხობის რაც შეიძლება სრული მონაწილეობა. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია სოფლად მუშაობა სწორად წარვმართოთ, სათანადოთ დავაყენოთ მუშაობა ღარიბ გლეხობის შორის და სოფლის საშუალო ფენები ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში.

ჩვენ გადაჭრით უნდა გავილაშქროთ იმის წინააღმდეგ, რომ ზოგიერთ ადგილებში ღარიბ გლეხობის კრებები ღებულობენ დახურულ კრებების ხასიათს. ჩვენ ფართედ უნდა განვუმარტოთ სოფელს, რომ ღარიბ გლეხობის ორგანიზაცია, მისი კრებები და ჯგუფები არავითარ შემთხვევაში არ არიან მიმართულნი სოფლის საშუალო ელემენტების წინააღმდეგ".

ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის საქმეში ჩვენ უნდა ვერიდოთ საშუალო გლეხობაში რაიმე ეჭვის და უნდობლობის დათესვას. ჩვენი მუშაობა უნდა იყოს მიმართული სოფლის ამ ორი მონათესავე ფენის კავშირის განმტკიცებისაკენ. ღარიბ გლეხობის ორგანიზაციამ ამას უნდა შეუწყოს ხელი.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

3 მარტის სხდომა

მოსკოვი, 4 მარტი. 3 მარტის სხდომაზე თავმჯდომარე გეშკე აქვეყნებს გერმანიის დელეგაციის განცხადებას კლარა ცეტკინის სიტყვის გამო.

გერმანიის დელეგაციის განცხადება:

„1) გერმანიის დელეგაცია არ იზიარებს კლარა ცეტკინის პოზიციას გერმანიის 1923 წ. ოქტომბრის ამბებთან დაკავშირებულ საკითხების და ამ ამბებიდან გამომდინარე ტაქტიკურ გაკვეთილების მიმართ.

2) ამ ამბების შეფასებაში დელეგაცია წინანდებურად კომინტერნის კრიტიკის ნიადაგზე სდგას, როგორც ის მე-5-ე კონგრესის სათანადო რეზოლიუციებშია გამოხატული. გერმანიის დელეგაცია საერთოდ იწონებს კლარა ცეტკინის კრიტიკას მისლოვ-რუთ ფიშერის ჯგუფის მიმართ".

ამხ. ჟაკმოტის სიტყვა

შემდეგ სიტყვა ეძლევა ჟაკმოტს (ბელგია). ჟაკმოტის აზრით, ბელგიაში პირობები ხელს უწყობს მასიურ კომუნისტურ მოძრაობის შექმნას, რადგან ბელგიაში კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია მძიმე ტვირთად აწვება მუშათა კლასს, აუარესებს მის მდგომარეობას და მასებში ერთგვარ უკმაყოფილებას ჰქმნის.

ჟაკმოტი ეკამათება ლოზოვსკის, რომელიც ბელგიის კომპარტიას უსაყვედურებდა, რომ ის საკმაო ენერგიულ ბრძოლას ვერ აწარმოებს პროფკავშირებიდან კომუნისტების გამორიცხვის წინააღმდეგ.

ჟაკმოტი შემცდარათ სთვლის ლოზოვსკის ხაზს ამ საკითხში და აცხადებს: „უმჯობესია 2—3 ამხანაგი გავიმეტოთ, შეურიგდეთ მათ გამორიცხვას, ვინემ ომი გავუმართოთ რეფორმისტებს და ამრიგათ მათ ჩვენი თანაგრძნობ სექციების გამორიცხვის საბაბი მივსცეთ".

ამხ. კონის სიტყვა

კონი (ჩეხო-სლოვაკია) ლაპარაკობს, რომ რამოდენიმე წელია ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიას იერიშში მოაქვს პროლეტარიატზე, რის გამო პროლეტარიატს ფართო ეკონომიური ბრძოლის წარმოება უხდება. ეკონომიური ბრძოლის წარმოება უხდება. ყობს სოლიდარობის გრძნობის გაძლიერებას და მისწრაფებას პროლეტარიატის მთლიანობისაკენ.

შემდეგ კონი ლაპარაკობს პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის შესახებ და აცხადებს, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ დაითანხმა რეფორმისტები მოლაპარაკების გამართვაზე, მაგრამ მათ მიუღებელი პირობები წარმოადგინეს. ჩვენ მოვითხოვთ პროფმოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლად მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც უნდა შექმნას კლასობრივ ბრძოლის პლატფორმაზე მდგომი პროფორგანოები.

„ჩვენი პარტია—ლაპარაკობს ის—ენერგიულად ებრძოდა რევოლიუციონურ პროფკავშირების ლიკვიდაციის ყოველგვარ ცდას. ამჟამად ის ენერგიულ კამპანიას აწარმოებს შეკავშირებელ მუშების დასარაზმავად. საპარლამენტო არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატების მიღწევის შემდეგ, ჩვენ 50,000 მუშის ჩაბმა. ისინი რეფორმისტულ კავშირების წევრებათ ითვლებიან, კიდეც უნდა დარჩენ ამ კავშირში და შექმნან ფრაქციები".

ამხ. მონმუსოს სიტყვა

მონმუსო (საფრანგეთი) უმთავრეს ფაქტორად საფრანგეთის პროფმოძრაობაში სთვლის შრომის ორი კონფედერაციის (უნიტარულისა და რეფორმისტულის) არსებობას. ოფიციალური ცნობების თანახმად, ლაპარაკობს ორატორი, რიცხვობრივად ეს ორი კონფედერაცია თანასწორია, მაგრამ ძალთა განწყობილება ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია. პროფკავშირთა მოძრაობაში ნიშანდობლივ მოვლენას ამ უკანასკნელ დროს წარმოადგენს რეფორმისტულ პროფკავშირების აშკარა გადასვლა ბურჟუაზიის ბანაკში. ამას აშკარად მოწმობს ის ფაქტი, რომ შრომის გენერალურ კონფედერაციას თავმჯდომარეობს საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, სადაც ის ყოველთვის რეაქციონურ-ნაციონალისტურ პოლიტიკას ატარებს. რეფორმისტების კავშირი მთავრობასთან კიდევ უფრო გააძლიერა ე. წ. „ნაციონალურ ეკონომიურ საბჭოს" დაარსებამ, სადაც რეფორმისტების ბელადების გვერდით სხედან მსხვილი ბურჟუაზიის და ბანკების წარმომადგენლები. რეფორმისტების ასეთი საქციელი დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშათა მასებში, რასაც მოწმობს მემარცხენე ფრაქციების წარმოშობა ზოგიერთ კავშირებში.

საფრანგეთის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებამ ამ უკანასკნელ დროს ხელი შეუწყო გაფიცვების გახშირებას, რომელნიც ჩვენი ხელმძღვანელობით ტარდება.

რეფორმისტები მხოლოდ „მაღალი პოლიტიკით" იყვნენ გატაცებული და მუშათა მოძრაობის ყოველდღიური საკითხები მათ არ აინტერესებდათ, ამ ბოლო დროს მათ გააძლიერეს აქტივობა, მოისურვეს ყოველდღიურ მოთხოვნილებათა ნიადაგზე დადგომა, რამაც ჩვენს ყოველდღიურ ბრძოლას რამდენიმედ ხელი შეუშალა. რეფორმისტები ყველგან გათიშვის პოლიტიკას აწარმოებენ.

შემდეგ მონმუსო ლაპარაკობს ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში დაშვებულ შეცდომებზე, მუშაობის დეფექტებზე და დაასკვნის, რომ ჩვენს მუშაობაში კონკრეტიული მოთხოვნილებები ყოველთვის უნდა დავუკავშიროთ საერთო პოლიტიკურ ამოცანებს.

თავისი სიტყვის დასასრულს მონმუსო ეხება პარტიის და პროფკავშირების ურთიერთობის საკითხს და აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიის და რევოლიუციონური პროფკავშირების ურთიერთობის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსაკ. სპეციალური პირობები, რომელთაც ადგილი აქვს საფრანგეთში, სახელდობრ: ძლიერი სინდიკალისტური ტენდენცია მუშათა მოძრაობაში, აგრეთვე ის გარემოება, რომ მემარცხენე ფრთა პროფკავშირებში უფრო ადრე წარმოიშვა, ვინემ სოციალისტურ პარტიაში.

ახალი მთავრობა ნორვეგიაში

ლონდონი, 4 მარტი. ოსლოდან მიღებული ცნობების თანახმად, სტორტინგის თავმჯდომარემ ლიკკემ შეადგინა ახალი კაბინეტი კონსერვატორების შემადგენლობით.

ურთიერთობა ინგლისთან

კონსერვატორი ხოლი დაინტერესებულია

ლონდონი, 3 მარტი. თემთა პალატის სხდომაზე კონსერვატორმა ფრედერიკ ხოლმა შეიტანა შეკითხვა—მოსდის თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრს მოხსენებები საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და სხვა პირობების შესახებ, რამდენათაც ეს შეეხება ინგლისის ინტერესებს, და თუ შეიძლება ეს მოხსენებები თემთა პალატის წევრებს გადაეცეს გასაცნობად?

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის საქმეთა რწმუნებული მოსკოვში რეგულიარულად გზავნის მოხსენებებს თვითეულ შემთხვევაში, როცა საქმე ინგლისის ინტერესებს შეეხება. ისეთი ინფორმაცია, რომელსაც ინგლისელ კომერსანტებისათვის მნიშვნელობა აქვს, ქვეყნდება ოფიციალურ ორგანოს საშუალებით, ყველა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ.

ხოლმა შეკითხვა მისცა—განზრახული აქვს თუ არა ჩემბერლენს მომავალში სპეციალური ყურადღება მიაქციოს იმ პროპაგანდას, რომელიც საბჭოთა მთავრობის დახმარებით სწარმოებს?

ამ შეკითხვაზე პასუხი არ გაუციათ. მუშათა პარტიის სკამებიდან მოისმა საპროტესტო ხმები.

კურსი შერიგებაზე

ლონდონი, 3 მარტი. ფინანსიურ წრეების ორგანო „ფაინენშიელ ტაიმსი" ვრცელ მოწინავე წერილში ეხება თემთა პალატაში გამართულ კამათს საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის საკითხის გარშემო და აცხადებს, რომ ბანკირების მემორანდუმი საბჭოთა კავშირმა უნდა მიიღოს, როგორც სავალდებულო პირობა სავაჭრო ურთიერთობის მოსაგვარებლად ორივე სახელმწიფოს შორის. როგორც ვიცით, ბანკირების მემორანდუმი გამოქვეყნდა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების ხელის მოწერის წინ, და მიმართული იყო შეთანხმების პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც მაკდონალდმა წამოაყენა.

ეს წერილი ამისდა მიუხედავათ დამახასიათებელია თავისი შემარიგებელი კილოთი. **წერილი არ ილაშქრებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, მაშინ, როცა უკანასკნელ დრომდე საფინანსო ორგანოებში არც ერთი წერილი არ დაწერილა, რომელიც მის წინააღმდეგ არ ყოფილიყო მიმართული.**

მდგომარეობა ჩინეთში

„სამწუხარო მდგომარეობა"

პეკინი, 3 მარტი. პრესა აქვეყნებს ნოტას, რომელიც ჰოლანდიის ელჩმა უდენდეიკმა დიდი სახელმწიფოების დავალებით გაუგზავნა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს კანტონში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ კანტონში შეიქნა სამწუხარო მდგომარეობა, ეგრედ წოდებულ, გაფიცვის კომიტეტის მიერ საქონლის არალეგალურად ხელში ჩაგდების გამო საბაჟოში გატარებამდე.

ნოტა პეკინის მთავრობას მოუწოდებს მიიღოს შესაფერი ზომები, რადგან საგაფიცვო კომიტეტის მოქმედება არღვევს არსებულ ხელშეკრულებებს.

„წეს-რიგის" იმედი

პეკინი, 3 მარტი. პრესის კომენტარიების მიხედვით უცხოელებს ჩინეთში იმედი აქვთ, **რომ ეხლანდელი** სამხედრო შეტაკებები მიიღებს გადამწყვეტი ბრძოლის სახეს, რომელსაც შედეგად მოჰყვება, ან მილიტარისტების სრული დამარცხება, ან ძალაუფლების ხელში ჩაგდება ერთ-ერთი ძლიერი მილიტარისტის მიერ, რომელიც „დაამყარებს წესრიგს".

„პეკინის ლიდერი" სწერს:

„აუცილებელია შეტაკება ორ მთავარ ძალებს შორის. სასურველი იქნება, რომ კონფლიქტი დამთავრდეს ერთ რომელიმე მხარის საბოლოო დამარცხებით. ამრიგად შესაძლებელი იქნება „წესრიგის" დამყარება".

„პეკინ-ენ-ტიან-ძინ ტაიმსი" სწერს:

„აუცილებლად უნდა მოველოდეთ ჯილის და მუკდენის გადამწყვეტ შეტაკებას სახალხო არმიების წინააღმდეგ. შესაძლებელია მდგომარეობა იმდენათ აუტანელი გახდეს, რომ მოთმინებიდან გამოსულმა და გააფთრებულმა ხალხმა თვით იკისროს საკითხების გადაწყვეტა.

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის რეზოლიუცია

ლონდონი, 3 მარტი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელიც წარედგინება მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის აპრილის სესიას. ამ რეზოლიუციაში დამოუკიდებელი მუშათა პარტია მოითხოვს მეორე ინტერნაციონალის და კომინტერნის წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევას.

ჰენდერსონი მუშათა პარტიის ოფიციალურ ბიულეტენში აცხადებს, რომ მუშათა პარტიის აღმასკომი ამ წინადადებას შეუძლებლად სთვლის. იგონებს რა II და III ინტერნაციონალის წარმომადგენელთა უშედეგო კონფერენციას 1922 წელში, ჰენდერსონი ამბობს:

„ინგლისის მუშათა პარტიას არ შეუძლია ივაჭროს პოლიტიკური დემოკრატიის ან სამხედრო აჯანყების აუცილებლობის შესახებ. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინადადებები კომუნისტებს ახალ საფუძველს აძლევს მახინაციებისათვის, რაც გამოიწვევს არევდარევას და გაუგებრობას, რომელიც ზიანს მიაყენებს სოციალისტურ პარტიებს, განსაკუთრებით კი ინგლისის მუშათა პარტიას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცისფერი წიგნი“

პარიზი, 4 მარტი. ამერიკელი გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ „ცისფერ წიგნს“, რომელიც იუწყება, რომ ამერიკას აქვს უფრო გაუმჯობესებული იარაღები ჰიდრო-პლანების წინააღმდეგ, ვიდრე ინგლისის საზღვაო არტილერიის იარაღებია. ამ ცნობამ აურზაური გამოიწვია ინგლისის საზღვაო წრეებში.

„ცისფერი წიგნი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის ფლოტი შესდგება 543 გემისაგან, ინგლისის ფლოტი—444 გემისაგან და იაპონიის 223 გემისაგან.

სხვადასხვა

— **საპროტესტო დემონსტრაცია.** გაზაფხულის ბაზრობაზე ჰინდენბურგის ჩამოსვლის გამო, გაიმართა კომუნისტების მიერ მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაცია.

ხემნიცში უმუშევართა კრების შემდეგ გაიმართა მასიური დამონსტრაცია, რომელიც დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით. პოლიციამ ჯავშნიან ავტომობილებსაც კი მიმართა.

— **სტუდენტების გაფიცვა ბუქარესტში.** სტუდენტ-ფაშისტების გამოსვლის შემდეგ გაიფიცენ ბუქარესტის ყველა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები. ფაშისტმა-სტუდენტებმა მოითხოვეს ებრაელებისათვის პროცენტული ნორმის დაწესება და უმაღლეს სასწავლებლებიდან კომუნისტ-სტუდენტების გამორიცხვა. პირველი მოთხოვნილება უარყო განათლების მინისტრმა—მეორე დაკმაყოფილებულია.

უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო განკარგულება ყველა კომუნისტ-სტუდენტების გამორიცხვის შესახებ.

— **ბრიანის მოთხოვნილებანი.** ბრიანმა ჰუნგრეთის მთავრობისაგან მოითხოვა, რომ სამოსამართლო ძიება დაიწყოს ჰუნგრეთის საელჩოს გამოჩენილ წევრთა წინააღმდეგ ბერლინში, რადგან მათი მონაწილეობა ყალბი ფულის მჭრელთა საქმეში დამტკიცებულია.

— **ოაზისი ჯერაბუბი იტალიელებმა დაიკავეს.** იტალიის ჯარებმა სძლიეს ოაზის ჯერაბუბის ბედუინთა ტომებს, რომელნიც არ დაემორჩილენ იტალია-ეგვიპტეს შორის დადებულ ხელშეკრულებას ამ ტერიტორიის იტალიისათვის გადაცემის შესახებ. იტალიელებმა დაიკავეს ჯერაბუბი.

— **ლოკაუტის საწინააღმდეგოთ.** ინგლისის მანქანების საამშენებლო მრეწველობის მუშაკთა კონფერენციამ მსჯელობა იქონია დამქირავებლების მიერ 6 მარტისათვის დანიშნული ლოკაუტის შესახებ.

კონფერენციამ დაადგინა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ლოკაუტს.

— **მოსკოვ-რომის პირდაპირი საგზაო კავშირი.** 4 მარტს პრაგაში იხსნება კონფერენცია მოსკოვსა და რომს შორის პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიაზე გავლით.

კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ყველა დაინტერესებული ქვეყნების დელეგაციები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალი ორთქლმავლების გაკეთება.

მოსკოვი, 4 მარტი. გზათა სახ. კომისარიატს განზრახული აქვს 250 ახალი ორთქლმავლის გაკეთება 1925—26 წლის განმავლობაში. ყველა ორთქლმავლები გაკეთებული იქნება „იუგომაშტრესტის“ და ლენინგრადის მანქანების ტრესტის ქარხნებში. ორთქლმავლების გაკეთება დაჯდება 22 მილიონი მანეთი.

მელითონეების კავშირის შესვლა მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციაში.

მოსკოვი, 4 მარტი. მელითონეთა კავშირის ცეკამ დაადგინა შევიდეს მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციაში.

მწერალი ერნსტ ტოლერის გამგზავრება მოსკოვში.

მოსკოვი, 4 მარტი. საბჭოთა კავშირის და უცხოეთის კულტურული კავშირის საზოგადოებამ გერმანიის ცნობილ დრამატურგ ერნსტ ტოლერისაგან მიიღო დეპეშა, რომ ის 2 მარტს ბერლინიდან მოსკოვში გამოემგზავრა.

ზედნართ ხარჯების შემამცირებელი კომისია.

მოსკოვი, 4 მარტი. ზედნართ ხარჯების შემამცირებელმა კომისიამ წინადადება მისცა ტრესტებს სამი დღის განმავლობაში აცნობონ მას, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს თვითეული ტრესტი ძერჟინსკის იმ ბრძანების განსახორციელებლად, რომელიც მომჭირნეობას შეეხება.

ასეთი ცნობები უნდა წარადგინონ როგორც ტრესტების ცენტრალურმა აპარატმა, ისე სვაჭრო-საწარმოვო აპარატმაც.

ფასების დაკლება.

მოსკოვი, 4 მარტი. „ცენტროსოიუზის“ საორგანიზაციო განყოფილებამ აღნიშნა, რომ შარშან დაწყებული ფასების დაკლება გრძელდება შენელებული ტემპით.

სამრეწველო საქონლის ფასები ცენტრში უცვლელად დარჩა, განაპირა კუთხეებში კი შემცირდა 3 პროცენტით. ეს ამტკიცებს, რომ ფასების დაკლება სწარმოებს ზედნართ ხარჯების შემცირების ნიადაგზე.

მედიცინის მუშაკთა ხელფასის გადიდების აუცილებლობა.

მოსკოვი, 4 მარტი. მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმმა აუცილებლად სცნო მედიცინის მუშაკთათვის ხელფასის გადიდება.

მელითონეთა ცეკას მორიგი პლენუმი.

მოსკოვი, 4 მარტი. მელითონეთა ცეკას პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს ცეკას მორიგი პლენუმი 9 მარტს ლენინგრადში.

უკრაინა

„იუგოსტალის“ ნაწარმოების გაყიდვა კერძო ბაზარზე.

ხარკოვი, 4 მარტი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიამ მოისმინა მოხსენება „იუგოსტალის“ სამმართველოსა და წარმოებათა მიერ თავიანთ ნაწარმოების კერძო ბაზარზე გაყიდვის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წარსულ წელს „იუგოსტალის“ სამმართველო შეუთანხმდა კერძო ფირმას „მეტალოპროდუკტ“ 700.000 მან. ღირებული ლითონის ნაწარმოების მიყიდვის შესახებ. გარდა ამისა, წარსული წლის მაისიდან სექტემბრამდე დადებულ იქნა მთელი რიგი უფრო წვრილი ხელშეკრულებებისა „იუგოსტალის“ ნაწარმოების კერძო პირთათვის მიყიდვის შესახებ.

ამავე დროს ტრესტი და მისი წარმოებანი უარს ეუბნებოდენ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს საჭირო ნაწარმოების მიყიდვაზე და არ ასრულებდენ ამ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებებს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი.

105 წლის დურგალი.

კრემენჩუგი, 4 მარტი. კრემენჩუგის საამშენებლო კავშირში შედის დურგალი შჩერბინი, რომელსაც შეუსრულდა 105 წელი. შჩერბინი დურგლად მუშაობს 10 წლიდან და ამგვარად მას აქვს 95 წლის საწარმოო სტაჟი.

აღძრულია შუამდგომლობა შჩერბინისათვის ინდივიდუალური პენსიის დანიშვნის შესახებ.

მეზღვაური—ქალები.

ოდესა, 4 მარტი. მუშა ქალების საერთაშორისო დღეს გაიმართება საზღვაო ტეხნიკუმის ორი მოსწავლე ქალის იუბილე. ერთი მათგანი—იაკოვლევა—სწავლობს გემების მიმოსვლის განყოფილებაში და იქნება პირველი კაპიტანი-ქალი საბჭოთა კავშირში, მეორე — კორშიგინა — სწავლობს მექანიკურ განყოფილებაში და იქნება პირველი მექანიკოსი ქალი.

მომჭირნეობის დაცვის აუცილებლობა

საუბარი ამხ. ძერჟინსკისთან

მოსკოვი, 4 მარტი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ძერჟინსკიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა:

„სახელმწიფო მრეწველობის განვითარებას აფერხებს ის გარემოება, რომ ჩვენ არ ვიყენებთ ყველა ჩვენს რესურსებს და ხშირად ვსწევთ ისეთ ხარჯებს, რომელიც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს.

მომჭირნეობის რეჟიმი უნდა გატარდეს სახელმწიფო მრეწველობის ყველა დარგში.

გადასინჯული უნდა იქნეს მუშაკების შტატები, მივლინებათა ხარჯები, ანგარიშების წარმოების ფორმები და სხვ. შემოწმებულ უნდა იქნეს ნედლი მასალის და სათბობი მასალის ნორმები შემცირების თვალსაზრისით.

უარყოფილ უნდა იქნას ყოველგვარი ქველმოქმედება მრეწველობის ხარჯზე. ხელფასის ყოველგვარი ზედნართები კოლექტიურ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებს არ უნდა აღემატებოდეს.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში ჩაბმული უნდა იქნან საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეები.

პარტიულმა და საბჭოთა პრესამ დახმარება უნდა გაუწიოს სამეურნეო დარგში მომუშავეებს სიძნელეთა გადალახვის საქმეში და უნდა ებრძოლოს ფულის გაფლანგვას.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის, ზედნართ ხარჯების შემცირებისათვის ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს მთავარ სახელმძღვანელო დირექტივს სამეურნეო და სამრეწველო დარგში მომუშავეთათვის. მომჭირნეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტიულ დირექტივს ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის დარგში. ზედნართ ხარჯების ეკონომია უზრუნველჰყოფს საწვრილმანო ფასების შემცირებას.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლა წარმოადგენს ნამდვილ სოციალისტურ მშენებლობისათვის ბრძოლას“.

თურქოლოგიური ყრილობა

ამხ. მამედ-ზადეს მოხსენება

ბაქო, 4 მარტი. 3 მარტის დილის სხდომაზე ახალ თურქულ ალფაბეტის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. მამედ-ზადემ. ის აღნიშნავს არაბული ალფაბეტის სიძნელესა და შეუფერებლობას და მას უპირისპირებს ახალი ალფაბეტის უპირატესობას, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებს თურქულ ერებში. ეს ახალი ალფაბეტი ერთი საუკეთესო კულტურული მონაპოვართაგანია ოქტომბრის რევოლიუციისა.

მომხსენებელი აკრიტიკებს არაბულ ალფაბეტების რეფორმატორებს, რომელთაც გაადვილების მაგიერ კიდევაც უფრო გაართულეს საქმე. არაბული ალფაბეტის სრული უარყოფითა და ლათინური შრიფტის მიღებით კი მიღწეულია შემდეგი თვალსაჩინო შედეგები: 1) ახალ თურქულ ალფაბეტში იმდენივე ხმოვანია, რამდენსაც საჭიროებს თურქული მეტყველება, 2) ახალ ალფაბეტში მოსპობილია ყოველგვარი წერტილები და ასოების თანამგზავრი ნიშნები, 3) წერა-კითხვა სწარმოებს მარცხნიდან—მარჯვნივ, 4) მიღწეულია მუსიკის ნოტებით ჩაწერა, 5) ასოების რიცხვი 120-დან შემცირებულია 33-მდე. შემდეგ გაადვილებულია მასსების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ბავშვები ახალ ან-ბანით წერა-კითხვას სწავლობენ 3-4 თვეში ნაცვლად 6-8 თვისა. მისი შეთვისება 70-80 პროცენტით უფრო ადვილია, ვიდრე არაბული ალფაბეტისა.

ტერიაკულოვის მოხსენება

ამავე თემაზე მოხსენებას კითხულობს ამხ. ტერიაკულოვი.

ისიც უარყოფს როგორც ძველს, ისე განახლებულ არაბულ ალფაბეტს და ლათინურ შრიფტს იცავს.

ახალ ალფაბეტს აღნიშნულ უპირატესობის გარდა, დიდი ტეხნიკური სიადვილეც ახასიათებს. იმ დროს, როცა ძველი ალფაბეტის აწყობის ნორმა განისაზღვრება 4.500 ნიშნით, ახალის ნორმა ადის 7.500 ნიშნამდე.

ახალ ალფაბეტის შემოღება წარმოადგენს უდიდეს კულტურულ რევოლიუციას თურქი ხალხებისათვის. ამ კონფერენციამ ყველას უნდა დაანახოს ახალი ალფაბეტის ყოველმხრივი უპირატესობა არაბულთან შედარებით.

უკანასკნელი ცნობები

უმუშევრობა ქალთა შორის

ბერლინი, 3 მარტი. გერმანიაში უმუშევარ ქალთა პროცენტი გაცილებით სჭარბობს მამაკაცების პროცენტს. მრეწველობის ზოგიერთ დარგში უმუშევარ ქალთა რიცხვი თითქმის უთანასწორდება უმუშევარ მამაკაცთა რიცხვს.

ქალთა შორის უმუშევრობის გაძლიერებას მოჰყვა პროსტიტუციის ზრდაც.

რაიმე დახმარების მიღებაშიც ქალები უფრო მძიმე პირობებში არიან, ვიდრე კაცები.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ბერლინი, 3 მარტი. პრუსიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა უმუშევრობასთან ბრძოლის ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

მწარმოებელთა განცხადებებს წარმოებაში მუშაობის შეწყვეტის შესახებ თანდართული უნდა ჰქონდეთ პროფკავშირის წარმომადგენელთა და ამ წარმოებათა საქარხნო კომიტეტების დასტური; წარმოება კონფისკაციაქმნილი იქნება მაშინ, თუ მწარმოებელი უარს იტყვის საწარმოში მუშაობის გაგრძელებაზე მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის წარმომადგენელთა გაერთიანებულმა კომისიამ შესაძლებლად სცნო მუშაობის გაგრძელება; დახმარება უმუშევრებს უნდა გადიდდეს 50 პროცენტით კანონმდებლობის წესით და შემოღებულ იქნეს 8 საათის სამუშაო დღე.

ჩეხო-სლავაკია და ყალბი კრონები.

პრაღა, 3 მარტი. სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში შეკითხვებზე ჰუნგრეთის ყალბ ფულების მჭრელთა საქმის გარშემო, ბენეშმა განაცხადა, რომ უკვე დამტკიცებულია კავშირი ჩეხო-სლოვაკურ ყალბ კრონას და ყალბი ფრანკის მოჭრას შორის.

— „ყოველ შემთხვევაში,—სთქვა ბენეშმა,—ჩვენ არ ავლაპარაკებულვართ ამაზე პირველნი; პირველად ალაპარაკდა ჰუნგრეთის ხელისუფლება და თვით გრაფი ბეტლენი, რომელიც უარყოფდა ამ ფაქტს ადრევე—ყალბ ფრანკების მჭრელთა საქმეზე გამოძიების დასრულებამდე“.

შემდეგ ბენეშმა დაადასტურა, რომ ყალბი კრონების მოჭრა მოწყობილია იმ პირების მიერვე, რომელნიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდენ ყალბ ფრანკების მოჭრაში, სახელდობრ—ვინდიშგრეცის, მესაროშის და ნადოშის მიერ. მიუხედავათ ამ ფაქტების დამტკიცებისა, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა, ბენეშის სიტყვით, არ შესცვლის ჰუნგრეთის მიმართ იმ ძველ დამოკიდებულებას, როგორიც იყო აქამდე, და მხოლოდ დაუცდის გამოძიების შედეგს და სათანადო განმარტებას ჰუნგრეთის მთავრობის მხრივ.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება.

პარიზი, 3 მარტი. ცნობილი ჟურნალისტი პერტინაქსი „ეკო-დე-პარი“-ში აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობას, რომელიც უკანასკნელ დრომდე დაჟინებით მოითხოვდა ვალების ცნობას საბჭოთა მთავრობის მიერ, როგორც პირობა მასთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებისა, ეხლა განზრახული აქვს რუსეთის ძველი ვალების მესაკუთრეთა პრეტენზიები დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირთან გამართულ ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლით.

შემდეგ პერტინაქსმა აღნიშნა ის სიძნელეები, რომელიც შეხვდებათ ფრანგ კომერსანტებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაში, და ბოლოს დასძინა, რომ საფრანგეთი, ისე როგორც გერმანია, იძულებული გახდება მიიღოს საბჭოთა მთავრობის პირობები, ვინაიდან მისი პოზიცია ევროპაში შერყეულია, და უნდა სცდილობდეს საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას, ამისთვის რომ დასჭირდეს კიდეც მატერიალური ინტერესების შეღავება.

საბჭოთა აღმშენებლობა

სამხრეთ ოსეთში

ყველაზე მეტად სამხრეთ ოსეთის გლეხობას აწუხებს უგზოობა, რომელიც აფერხებს ამ კუთხის კულტურულ და ეკონომიურ წინსვლელობას.

სამხრეთ ოსეთის მთიან ადგილებში მოსახლეობა მისდევს მეჯოგეობას და ქერის თესვას. მოყვანილი მოსავლით მთიან ოსეთის მცხოვრები უნდა გამოიკვებოს და კიდეც შეიმოსოს.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტები გასაყიდათ გლეხს ჩამოაქვს ცხინვალის ბაზარზე, მაგრამ უგზოობის გამო გზაზე დიდხანს აგვიანდება და ნაწარმოების გაყიდვით აღებული ფულის დიდი ნაწილი სახარჯოთ უნდება, თავის და ცხენის გამოსაკვებად).

მთიან ადგილებში მოდის აგრეთვე კარგი ღირსების კარტოფილი. ყოველი დესეტინა მთა იძლევა 1000 ფუთს კარტოფილს, მაგრამ უგზოობის გამო კარტოფილის გასაყიდათ ჩამოტანა ბაზარში მოუხერხებელი ხდება. ასეთივე საჭიროებას წარმოადგენს ყველის და სხვა ძროხეული პროდუქციის ჩამოზიდვა დაბლობ ადგილებში. სწორედ ეს უგზოობა აიძულებს ოს გლეხს, რომ მოიყვანს უთუოდ ოჯახის გამოსაკვებად საჭირო მოსავალი.

გზები

ამიტომ უკანასკნელ წლებში ოსეთის ცაკმა მთავარი ყურადღება მიაქცია გზების გაყვანას და შეკეთებას. უკანასკნელი წლის განმავლობაში გაჭრილი და ახლად გაყვანილი იქნა გზატკეცილი და საურმე გზები ახალგორის რაიონში — ქარტინის წისქვილიდან სოფელ ახალგორამდე და ოძიხიდან ახალგორამდე. აგებულ იქნა ხიდი მდინარე ქსანის წყალზე. კუდაროს რაიონში (ყოფ. რაჭის მაზრა) გაყვანილ იქნა მშვენიერი საურმე გზა ჩასავალიდან ერწოს მიმართულებით სოფელ ქალამდე. გზის სიგრძე უდრის — 20 ვერსს.

ყორნისის რაიონში გაყვანილი გზა—ყორნის — წარბილას შუა და რუსთავ—ეგრას შუა.

ბელოტის რაიონში აგებულია 8 ხიდი მდ. ლიახვზე. ორთევის რაიონში გაყვანილია რამოდენიმე საქვეითო შარა-გზა.

შენობების აგება-შეკეთება

საბჭოთა მშენებლობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია: ახალი საქიმო პუნქტების შენობის აგება და აღმასკომის სახლის შეკეთება კუდაროს რაიონში; აფთიაქის, ამბულატორიის და კლუბის შენობების აგება-მოწყობა და აღმასკომის შენობის შეკეთება ოქონის რაიონში; აღმასკომის შენობის აგება, კოოპერატივის და ქოხ-სამკითხველოს მოწყობა ყორნისის რაიონში; აღმასკომის და მილიციის შენობის აგება ორთევის რაიონში.

ეკონომიურ საბჭოში

სახელმწიფო და საუწყებო სტატისტიკური ორგანოების ურთიერთობა

რადგან საქართველოს ცანტრალური სტატისტიკური სამმართველოს მომქმედი დებულება სავსებით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს, დაევალა ამხ. ა. რუხაძეს შეიმუშაოს, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, ახალი დებულება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო სტატისტიკისა და საუწყებო სტატისტიკური ორგანოების ურთიერთობა ორგანიზაციული და პროგრამული მხრით. შემუშავებული დებულების პროექტი წარედგინება წინასწარ განსახილველად საქ. საგეგმო კომისიას.

ტყიბულის ქვა-ნახშირის ხარისხებად დაყოფა

ს. მ. უ. ს. საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენების თანახმად ტყიბულის ქვა-ნახშირი დანაწილებულ იქნა ხუთ ხარისხად.

საჩხერეში მდ. ყვირილაზე ხიდის და ნაპირების გამაგრების საკითხი

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო საჩხერეში მდ. ყვირილაზე ხიდისა და ნაპირების გამაგრება.

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა 95,000 მანეთის რაოდენობით გადაეცა წინასწარ განსახილველად საამშენებლო სატეხნიკო კომიტეტს. ამ უკანასკნელის მიერ მიღებული ხარჯები შეტანილ იქნა წყალთა მეურნეობის სამმართველოს 1926-27 წ. ბიუჯეტში.

საარბიტრაჟო კომისიის წევრების დანიშვნა

საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიის წევრებად დაინიშნენ ამხ. გ. რთველაძე და ა. კალანდაძე.

სამკურნალო მცენარეთა კულტურა და გადამუშავება

ეკონომიურმა საბჭომ განიხილა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენება სამკურნალო მცენარეთა კულტურის მოვარებისა და გადამუშავების შესახებ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სამკურნალო მცენარეთა კულტურის გავრცელებისა, მცენარეთა დამზადების და ადგილობრივ გადამუშავების საქმე მეტად მნიშვნელოვან საკითხად იქნეს ცნობილი.

2. დაევალოს საცდელ დაწესებულებებს მიმდინარე წელში დაიწყოს მუშაობა სამკურნალო მცენარეთა კულტურის გავრცელებისა და მათ სამკურნალო ღირსების შესწავლისათვის იმ თანხებით, რომელიც უკვე მათ განკარგულებაშია გაღებული, მომავალ საბიუჯეტო წელში ამ საქმისათვის საჭირო ხარჯები გათვალისწინებულ იქნეს სათანადო ხარჯთაღრიცხვაში სპეციალური კრედიტის სახით.

3. სამკურნალო მცენარეთა კულტურის გავრცელებისა, მცენარეთა დამზადებისა და გადამუშავებისათვის მიწათმოქმედების სახკომისარიატთან სპეციალურ ორგანოს მოწყობა ზედმეტად იქნეს ცნობილი.

4. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, უკვე დამტკიცებულ შტატის ფარგლებში, მოიწვიოს სამკურნალო მცენარეთა საქმის ერთი სპეციალისტი, რომელსაც დაევალოს მოსახლეობის შორის ტეხნიკური ცნობების გავრცელება და საერთოდ ამ საქმის მოწესრიგება.

5. დაევალოს მომქმედ კოოპერატიულ ორგანიზაციებს მოაწყონ სამკურნალო მცენარეთა დამზადება-გაშრობის საქმე იქ, სადაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები იქნება.

6. დაევალოს „სახელმწიფოვაჭრობას“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საქართველოში არსებულ სამკურნალო მცენარეთა დამზადება-გადამუშავების საქმეს.

წითელ ჯარში

სამხედრო და სამხედრო პოლიტიკურ სკოლების შევსება

მოსკოვი, 4 მარტი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ სპეციალური წერილით მიმართა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ თებერვალ-აპრილის განმავლობაში შეუდგენ სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკურ სკოლების შევსების კამპანიის ჩატარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ახლად შერჩეული პირები თავიანთ მომზადების და ჯანმრთელობის მხრივ აკმაყოფილებდენ ყველა მოთხოვნილებებს.

კამპანიის ჩასატარებლად საგუბერნიო აღმასკომებთან ეწყობა შემკრები კომისიები. საგუბერნიო კომიტეტის, საგუბერნიო აღმასკომის, პროფკავშირების, ახალგ. ლენინურ კომკავშირის, სამხედრო პოლიტიკურ ორგანოების და აგრეთვე ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლების შემადგენლობით.

რკინის გზებზე

სახალხო მატარებლის და ორთქლმავლის დატაკება

სად. ბალაჯარაში 4 მარტს, 4 საათზე და 30 წუთზე სახალხო მატარებელი, № 4, რომელიც მიდიოდა თბილისისაკენ, ნაცვლად მეორე ხაზისა მიღებულ იქნა პირველზე, რომელიც დაკავებული იყო სამანევრო ორთქლმავლის მიერ. მატარებელი № 4 ბაქოდან ბალაჯარამდე მიდიოდა ორი ორთქლმავლით. მოხდა დატაკება.

მატარებელ № 4-ს წინა ორთქლმავალი ასცდა ლიანდაგს ორი ბორბლით, ხოლო მეორე დაზიანდა საგრძნობლად; მიუხედავათ იმისა, რომ იგი ლიანდაგს არ ასცდენია. ამ ორთქლმავლის მემანქანე დაშავდა მცირედ. ორთქლმავლიდან პირველ ვაგონს დაემტვრა საბუფერო საინები.

ამ შემთხვევაში დამნაშავედ ცნობილია მეისრე დისაბაროვი, რადგან მან წინასწარ არ მოამზადა ისარი მატარებლის მისაღებად. ორთქლმავლის ამოღებას შეუდგენ 5 საათზე და 30 წ. და იგი ამოღებულ იქნა 7 საათზე.

ამ შემთხვევის გამო მატარებელ № 4-მა დაიგვიანა 2 საათით და 33 წ.

პარტიული ცხოვრება

8 მარტისათვის

უკვე მოახლოვდა ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი. ეს დღე, როგორც ამბობს საკავშირო კომპარტიის ცეკას ცირკულიარი, უნდა გამოვიყენოთ მუშა და გლეხ ქალთა მასების ჩასაბმელათ საბჭოთა აღმშენებლობაში, მათ ასამოძრავებლად, მათ ასამოქმედებლად.

ამ დღეს ჩვენ უნდა ავუხსნათ და განვუმარტოთ მუშა და გლეხ-ქალებს, თუ რა მიღწევები გვაქვს ჩვენ ქალთა მოძრაობის დარგში საქართველოში, რა გაკეთდა ამ მხრით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის განმავლობაში.

ჩვენმა აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ფართოდ უნდა გააშუქონ მშრომელთა ფართო მასებში, თუ რამდენი ქალია ჩაბმული საბჭოებში, კოოპერაციაში, გლეხკომებში, პროფკავშირებში; რამდენი ქალია წამოყენებული აქტიურ სამუშაოზე სხვადასხვა ორგანოებში. რამდენი მშრომელი ქალი გამოვიდა საბჭოთა საზოგადოებრივ ასპარეზზე საბჭოთა წყობილების შემდეგ. ჩვენ უნდა დავანახოთ მუშებსა და გლეხებს, მუშა და გლეხ-ქალებს, თუ როგორ თანდათანობით ვითარდება ჩვენში ქალთა მოძრაობა და როგორ ითრევს ეს მოძრაობა თავის რიგებში ქალთა უფრო და უფრო ჩამორჩენილ ფენებს. თუ წინათ ქალთა ორგანიზაციები მხოლოდ ქალაქების ფარგლებით განისაზღვრებოდა, დღეს იშვიათ თემს ნახავთ, რომ ქალთა ორგანიზაცია არ იყვეს; და თუ კი სადმე არ არის, ეს ადგილობრივ მომუშავეებს, ადგილობრივ მშრომელებს დიდ ნაკლულევანებათ მიაჩნიათ და მაშინვე ზომებს იღებენ ასეთის შესაქმნელად.

როგორი იყო ამ მხრით მდგომარეობა მენშევიკების დროს? მაშინ ქალთა შორის მუშაობას ძლიერ ცოტა ყურადღება ექცეოდა. რაც შეეხება გლეხ და მუშა ქალთა შორის მუშაობას,—ამაზე [illegible] ზედმეტია, მით უმეტეს მათ ჩაბმაზე სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

ჩვენს მუშაობას ნაკლიც აქვს. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. კიდევ ბევრი დაბრკოლებები გვექნება და კიდევ დიდი წინდახედულობა იქნება საჭირო ამ მხრივ მუშაობის საწარმოებლად.

8 მარტი უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ამ მუშაობაში ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები, არა მარტო ქალები, არამედ მამაკაცებიც. ზოგიერთ თემში ან სოფელში გლეხები კიდევ ვერ ერკვევიან ქალთა მოძრაობის საკითხში, კიდევ არ აქვთ გაგებული, თუ რა უფლებებს ანიჭებს ქალებს საბჭოთა ხელისუფლება. ზოგიერთ სოფელში უკანასკნელ საბჭოთა არჩევნების დროს გლეხები რომ ქალების საბჭოებში გაყვანის წინააღმდეგი იყვნენ, ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ ქალთა შორის მუშაობა კიდევ ვერ დავაყენეთ თავის სიმაღლეზე.

8 მარტის შემდეგ არ უნდა დარჩეს არც ერთი თემი, არც ერთი სოფელი, რომ ქალგატ-ქალთა კრებები არ ხდებოდეს. 8 მარტმა ხელი უნდა შეუწყოს საბჭოებში, გლეხთა ორგანიზაცია არ არსებობდეს, დელეგკომებში, კოოპერაციაში და პროფკავშირებში აქტიურ სამუშაოზე მუშა და გლეხ ქალის წამოყენებას. 8 მარტმა ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტურ პარტიისა და კომკავშირის რიგებში აქტიურ მუშა და გლეხ ქალის პროცენტის გადიდებას.

ამ დღეს ჩვენ უნდა გავაცნოთ ჩვენს მუშა და გლეხ-ქალებს, თუ რა პირობებში არიან ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელი ქალები, როგორ ჩაგვრა-შევიწროებას განიცდის აღმოსავლეთის ქალი.

8 მარტს მუშა და გლეხი-ქალი უნდა დავარაზმოთ სოციალიზმისთვის მებრძოლთა რიგებში.

ი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ანანურის თემის საბჭოს არჩევნები და პარტორგანიზაცია

ანანურის თემში საბჭოთა არჩევნების მომზადებას შეუდექით 1925 წ. 10 დეკემბრიდან. ანანურის თემკომის ხელმძღვანელობით, მოწვეულ იქნა კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული დახურული სხდომები 2 ადგილას 4-ჯერ განხილულ იქნა საბჭოთა ახალ არჩევნების სამზადისის საკითხები, როგორიც არის არჩევნებში დემოკრატიზმის დაცვა, ახალ საბჭოში დეპუტატების წინასწარ დასახელება, ნაკაზის განხილვა და დამტკიცება.

ყველა აღნიშნული საკითხების ირგვლივ სათანადო დადგენილება იქნა გამოტანილი, რის შემდეგ მოწვეული იქნა სპეციალურად ღარიბესი გლეხობის კრებები, სადაც იგივე დადგენილება იქნა გამოტანილი, რაც პარტორგანიზაციის მიერ. მაგალითად, პარტორგანიზაციის მიერ წინასწარ დასახელებული საბჭოთა დეპუტატები უღარიბეს გლეხობამაც დაამტკიცა. მხოლოდ ერთი ცვლილებით 5 პარტწევრი იყო ორგანიზაციის მიერ დასახელებული, ღარიბ გლეხების კრებამ კი 7 ამხანაგი დაასახელა, უპარტიოებიდან კი 5 მაგიერ სამი დასტოვეს. არჩევნებში გლეხობის დიდი უმრავლესობა გამოცხადდენ და ხმა მისცა ჩვენ მიერ დასახელებულ დეპუტატებს მიუხედავათ დიდი გაცხრილვისა. აქედან უნდა ითქვას, რომ ანანურის პარტორგანიზაციას საკმაო გავლენა და ავტორიტეტი აქვს გლეხობაში.

პარტკორი.

საჭიროა უჯრედის დაარსება

(ქვიათურა)

ჩილინდრიანის სამუშევარზე მუშაობს 76 მუშა, ბევრს სურს კომპარტ. შემოსვლა. მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. აქ მუშაობს ოთხამდე პარტიის წევრი, რომლებიც ითვლებიან სოფლის უჯრედში, მაგრამ ამათთვის, არც კრებაზე დასწრება არსებობს და, არც რაიმე პარტიული მუშაობა. სოფლის უჯრედს ისინი ვერ ესწრებიან. ჯერ სიშორისა და მერმე მუშაობის გამო. უჯრედი კი მათი გარიცხვის შესახებ აყენებენ კითხვას კრებაზე, დაუსწრებლობის გამო. ეს ხალხი პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, დაანებონ თავი სამუშაობს თავი. ხომ ამოუწყდებათ ცოლშვილი სიმშილით, არა და იმ კაცისათვის, რომელსაც ოცი და ათი წელი უმუშავნია, პარტიიდან გარიცხვა, არც ისე იოლია. ეს ხალხი პირდაპირ სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი.

შორაპნის სამპარტკომი, მიაქციე ამ მდგომარეობას ყურადღება. დაარსე უჯრედი ამ სამუშევარზე და იხსენ ეს ხალხი სულიერ ტანჯვისაგან.

ივ. კუ—ძე.

ვერ გაგვიმართლა იმედები

(კოხნარის თემი, გურია)

კოხნარის თემში 4 წელია არსებობს ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია. გასულ წლის უკანასკნელ თვეებამდე მუშაობა კარგად მიმდინარეობდა, ჩამოყალიბებული იყო ახკორთა წრე, გამოდიოდა კედლის გაზეთი დაარსებული იყო პოლიტწრე და პროფ კოლექტივი.. შემდეგ გამოცვალა თემკომის მდივანი, მუშაობამაც სხვაგვარი სახე მიიღო, ყველა საკავშირო დავალებებს მოდუნება დაეტყო. ორი თვეა თემკომის მდივანი საიდაც დაიკარგა და არ [illegible] მაზრკომი [illegible] ორი თვეა [illegible] ორი აქტივი გაყვანილია ერთ წერტილზე. რაშია საქმე, ნუ თუ ამ იმედით გვქონდა ახლათ არჩეულ თემკომზე?

ეს ჩამოყალიბებული ორგანიზაცია დღეს დიდ გაჭირვებაშია, რადგან ხელმძღვანელი დაეკარგა. მაზრკომკავშირო, შენ მაინც მოგვაქციე ყურადღება.

გ.

ქალთა შორის მუშაობა

(სენაკის მაზრა, სამიქაოს თემი, სოფ. მაიდანი)

გასულ 1925 წლის ნოემბერში მოხდა ახალი დელეგატები არჩევა. სოფ. მაიდანში არჩეულ იქნა 55 დელეგატი ქალი. მას შემდეგ მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად. დელეგატი ქალებს ხელმძღვანელობას უწევს მასწავლებელი ქალი და თემკომის პ/გ. მდივანი. დელეგატი ქალებში წერაკითხვის უცოდინარობა ალიკვიდებული იქნება ახლო მომავალში.

ქალკორი ნადია.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი კოდექსის პროექტი

1. უნდა გაიხსნას დისკუსია

საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებამ გამოიმუშავა საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის წინასწარი პროექტი იმ პრინციპების მიხედვით, რომელზედაც დამყარებულია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ამავე კანონთა კოდექსის პროექტი. აღნიშნულ ახალ პროექტში ბევრი ისეთი საკითხია აღძრული, რომლებიც არსებითად ეხებიან ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ამიტომ აუცილებლად საჭიროა ეს პროექტი დაწვრილებით, ყოველმხრივ გაიცნოს მშრომელმა მოსახლეობამ და გამოსთქვას თავისი აზრი.

ფართო დისკუსია ამ პროექტის ცალკე მომენტების შესახებ, რომელნიც ღრმად იჭრებიან მუშათა და გლეხთა მასების ყოფა-ცხოვრებაში, თავის-თავად ცხადია, მისცემს საშუალებას იუსტიციის კომისარიატს და საკანონმდებლო ორგანოებს, პროექტის საბოლოოდ დამტკიცების დროს, ანგარიში გაუწიონ იმ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების და ფსიქოლოგიურ მომენტებს, რომელნიც გამოაშკარავდებიან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. კანონის პროექტი ეხება ქალაქისა და სოფლის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს, ეხება იმ სოციალურ საფუძვლებს, რომლებზედაც დამყარებულია ჩვენი გლეხის ოჯახი და ამიტომ ადვილი გასაგებია, რათ გამოიწვია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ახალმა კოდექსმა ისეთი მწვავე სჯა-კამათი. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე რესპუბლიკაში, რომელიც კი არ გამოხმაურებოდა პროექტით წამოჭრილ საკითხებს. ეს ინტერესი იმდენად ცხოველია, რომ თითქმის ყველა გაზეთში, პროვინციაშიაც კი, ამ საკითხის გასარჩევად საგანგებოდ მთელი გვერდი იყო დათმობილი. აქ ჩვენში მხოლოდ ეხლა შეუდეგით საოჯახო და საქორწინო სამართლის შეცვლას და იმედი გვაქვს, რომ აქაც ყოველი მშრომელი, ქალი თუ კაცი, ისეთივე ცხოველი ინტერესით შეხვდება ამ საკითხებს, როგორც რუსეთში. მართალია, პროექტი ჯერ-ჯერობით არ არის ფართოდ გავრცელებული და ადგილებს ნაკლებად დაეგზავნა (ამ უახლოეს დღეებში პროექტი გამოქვეყნებული იქნება გაზეთში), მაგრამ ადგილობრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზეა დამოკიდებული, რამდენად დააინტერესებენ ამ პროექტით მშრომელ მოსახლეობას, რამდენად აქტიურ მონაწილეობას მიაღებინებენ მას პროექტში აღძრული საკითხების ირგვლივ სჯა-კამათში (საწარმოებში, ქალთა კრებებზე, პარტიულ კრებებზე, იურიდიულ ორგანიზაციებში, გლეხთა კრებებზე და სხვ.).

ამ წერილის მიზანია მოკლედ აღნუსხოს ყველა ის ცვლილება, რაც კი, მომქმედ კოდექსთან შედარებით, შეტანილია ახალ პროექტში.

2 მოქმედი კანონი

ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილის 21-ს საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა თავისი № 28 დეკრეტით ძირიან-ფესვიანი გადატრიალება მოახდინა საოჯახო და საქორწინო კანონმდებლობის სფეროში. ბურჟუაზიულმა კანონმა, თვით მოწინავე ქვეყნებშიაც კი, ბოროტად გამოიყენა ქალის უმწეო მდგომარეობა და გადააქცია იგი უუფლებო, დამცირებულ არსებად. ბურჟუაზიული ქორწინება, ეს უთანასწორო და განუწყვეტელი ჯაჭვით გადაბმული კავშირი, ყოველივე უპირატესობას ანიჭებს მამაკაცს: იგია ქმრისა და ცოლის ქონებრივი კავშირის ხელმძღვანელი, მას აქვს უფლება მიუჩინოს ცოლს საცხოვრებელი ადგილი, თავს მოახვიოს მას თავისი ეროვნება, თავისი გვარი, ყველა საოჯახო საკითხის გადაწყვეტის დროს, შვილების აღზრდის საკითხშიაც კი, ქმარს ერთგვარი უპირატესობა აქვს მინიჭებული. მამაკაცის ასეთ უფლებრივ მდგომარეობას, რომელიც ცოლს ქმრის მონათა ხდიდა, მტკიცედ იცავდა ბურჟუაზიული კანონი და ეკლესია.

საბჭოთა ხელისუფლებამ და რევოლიუციონურმა კანონიერებამ გადაჭრით უარჰყვეს ძველი ქორწინების პრინციპი და მის მაგიერად საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სფეროში დაიკავეს თავისი ახალი პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბდა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1918 წელს „სამოქალაქო მდგომარეობის კოდექსით“, ასეთივე ანალოგიური საქორწინო-საოჯახო კანონები გამოიცა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ჩვენში კი დეკრეტი № 28.

ყველა ამ ახალ კანონს, გამოცემულს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეებში, უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მათ უპირველეს ყოვლისა იურიდიული ძალა მოუსპეს საეკლესიო ქორწინებას და მის მაგიერ დააწესეს სამოქალაქო ქორწინება. შემდეგ, სრული უფლებრივი თანასწორობა დაამყარეს როგორც მეუღლეთა შორის, ისე მშობლებ შორისაც. დააკანონეს განქორწინების სრულიად მარტივი წესი, რომლის მიხედვითაც განქორწინება შეიძლება არა მარტო ორივე მეუღლის სურვილით, არამედ ერთი რომელიმე მათგანის სურვილითაც. გარდა ამისა მომქმედი კანონი აღიარებს პრინციპს, რომლის თანახმად თვითეულ მეუღლეს შეუძლია იქონიოს თავისათვის ცალკე ქონება. ბოლოს, მან სრულიადაც გაათანასწორა ურეგისტრაციო (ფაქტიურ) ქორწინებაში დაბადებული ბავშვი რეგისტრაცია ქმნილ (იურიდიულ) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან.

ამ პირველმა საბჭოთა კანონმდებლობამ ღრმა ცვლილება შეიტანა ქორწინებასა და ოჯახში და თუმცა მან უკვე საკმარისად მოიკიდა ფეხი მშრომელთა ფართო წრეებში, მაინც უნდა ვაღიაროდ, რომ ის ჩამორჩა სოფლად და ქალაქად სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობის თანდათანობით განვითარებას და ამიტომ საჭირო შეიქმნა ამ კანონებში ზოგიერთი ცვლილების შეტანა.

3. რა არის ახალი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის პროექტში

1. ახალი კოდექსის აგებულება. ახალი კოდექსის პროექტი იმით განსხვავდება მომქმედ № 28 დეკრეტისაგან, რომ იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევს მატერიალურ მომენტებს, ე. ი. არკვევს იმ უფლება-მოვალეობას, რასაც ქმნის საქორწინო და საოჯახო ურთიერთობა, იმის და მიუხედავად—გატარებულია ქორწინება რეგისტრაციაში თუ არა. № 28 დეკრეტის პირველივე მუხლებში გაშუქებულია არა მატერიალური, არამედ ფორმალური მხარე, ე. ი. ის, თუ როგორ უნდა მოეწყოს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერა. ამ მუხლებს უფრო საინსტრუქციო ხასიათი აქვს. ძველი კანონის ამგვარი აგებულება შეიძლება აიხსნას იმით, რომ იგი სწორედ მაშინ იყო გამოცემული, როდესაც ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს და როდესაც, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ძველი საეკლესიო ქორწინების და მისი წესების დანგრევა და ახალი სამოქალაქო (საერო) ქორწინების სრულიად სხვა წესით და საფუძველით მოწყობა. ეხლა სულ სხვაა, ეხლა, რასაკვირველია, საეკლესიო ქორწინებასთან ბრძოლას ისე დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს, როგორც წინად.

2. პროექტი, რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას თავისი მატერიალური და უფლებრივი შედეგით ათანასწორებს ურეგისტრაციო (ფაქტიურ) ქორწინებასთან. ახალი პროექტით ქორწინების რეგისტრაციის აქტი მხოლოდ ტეხნიკური საშუალებაა ორ პირთა შორის უკვე არსებული საქორწინო კავშირის დამტკიცების გასაადვილებლად. ასეთი გამაადვილებელი საშუალება არსებული ქორწინების დასამტკიცებლად განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია საჭირო, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს ან შვილებს უხდებათ თავისი უფლებების დაცვა, მაგ. როდესაც ცოლი მოითხოვს ქმრისაგან სარჩოს, ან მემკვიდრეობის უფლების დაცვის დროს და სხვ. (1 და 2 მუხ. და 10 და 12 მუხ. შენიშვნა). ამ რიგად, იმ მეუღლეთ, რომელთა ქორწინებაც რეგისტრაციაში არ ყოფილა გატარებული, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც რეგისტრაციაში გატარებული ქორწინებით შეუღლებულ პირთ, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველთ თავისი ქორწინების დამტკიცება მოუხდებათ სასამართლოს მეშვეობით, მაშინ როდესაც მეორეთა ქორწინება წინასწარ უკვე დადასტურებულია თვით რეგისტრაციის ფაქტით. ამ ორი სახის ქორწინების გათვალისწინებით პროექტს მხედველობაში აქვს სუსტი მხარის—ქალის და ბავშვების ინტერესების დაცვა, ე. ი. პროექტი ერთნაირად იცავს როგორც იმ მეუღლის უფლებრივ და მატერიალურ ინტერესს, რომლის ქორწინება რეგისტრაციაშია გატარებული, ისე იმ მეუღლისაც, რომლის ქორწინებაც რეგისტრაციაში არ ყოფილა გატარებული; ერთნაირად იცავს აგრეთვე ამ ორივე ქორწინებაში გაჩენილ ბავშვების ინტერესებსაც. ამჟამად მომქმედი კანონი სცნობს მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას და სრულიად უყურადღებოდ სტოვებს სხვა სახის საქორწინო ურთიერთობას, ე. ი., მომქმედი კანონის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობა წარმოიშობა მხოლოდ ისეთი ქორწინებით, რომელიც გატარებულია სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს რეგისტრაციაში. მხოლოდ ამ გვარად დაქორწინებულ ცოლს შეუძლიან სარჩოს (ალიმენტების) მოთხოვნა.

3. ახალი პროექტით გამარტივებულია განქორწინების წესი.

განქორწინება ისევ წინანდებურად თავისუფალია და შეიძლება მოხდეს ერთი რომელიმე მეუღლის სურვილითაც კი, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ განქორწინების საქმე პროექტით მთლად გადაცემულია სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერ („მმაჩის“) ორგანოზე, რომელსაც დაკისრებული აქვს ქორწინების რეგისტრაციაც. ამჟამად არსებული განქორწინება სასამართლოს წესით, პროექტით უარყოფილია, რადგანაც მას ეს წესი მიაჩნია სრულიად ზედმეტ პროცედურად. ხოლო იმისათვის, რომ განქორწინების შემდეგ განქორწინებულთ აღარ დასჭირდეთ სასამართლოში ან ნოტარიუსთან მისვლა ქონებისა და შვილების საკითხის გადასაწყვეტად, პროექტი აძლევს „მმაჩის“ ორგანოს უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მეუღლენი შეთანხმებით გადასწყვეტავენ აღნიშნულ საკითხს, ეს შეთანხმება გაატაროს რეგისტრაციაში. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლენი ვერ შესთანხმდნენ, ან და თუმცა შესთანხმდენ, მაგრამ შეთანხმებამ შეიძლება შემდეგში შეავიწროოს მათი ან მათი შვილების უფლება, ამ უკანასკნელთ შეუძლიანთ მიმართონ სახალხო სასამართლოს (პროექტის 10 მუხ.). ამ შემთხვევაში პროექტი ემყარება მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრების პირობებს და მის სამართლის შეგნებას, რაც გადმოცემულია მიწის კოდექსის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ოჯახურ-ქონებრივ გაყრის შესახებ („ის, ვინც ქორწინებით შედის **შრომითი მიწათმოქმედ მეურნეობაში,** ჩაითვლება კომლის თანასწორ და სრულუფლებიან წევრად“); რაც შეეხება ისეთ ქონებას, რომელიც თვითეულ მეუღლეს ქორწინებამდე შეუძენია, პროექტი პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოდ, რომ ასეთი ქონება არ შეიძლება საერთო ქონებად ჩაითვალოს, ამიტომ, თუ მეუღლეთ სურთ იგი ერთად გამოიყენონ, მათ შეუძლიანთ ამის შესახებ დასდონ ერთმანეთთან ხელშეკრულება, ისე კი, რომ ამ ხელშეკრულებით არ შეიზღუდოს მათი უფლება. (პროექტის 11).

4. მეუღლეთა საერთო ქონება. აქ ლაპარაკია მეუღლეთა ისეთ ქონებაზე, რაც შეძენილია ქორწინებაში, ერთად ცხოვრების დროს. მომქმედ კანონში ამისთანა საერთო ქონება არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ვინაიდან ჩვენთვის ნორმალური ტიპიური ოჯახი არის მშრომელთა ოჯახი, სადაც შეუძლებელია სისწორით გამოირკვეს, რა შემოაქვს ოჯახში თვითეულ მეუღლეს, ამიტომ სამართლიანი იქნებოდა, რომ ორივე მეუღლის საერთო შრომის (ერთისა ოჯახ-გარედ, ხოლო მეორესი შინ, ოჯახში) შეძენილი ქონება ორივეს ერთნაირად ეკუთვნოდეს. აი ამ მოსაზრებით პროექტი გადაჭრით აცხადებს, რომ ქორწინებაში საერთო შრომით შეძენილი ქონება, რა სახისაც ის არ უნდა იყოს, საერთოა.

5. ურთიერთობა მშობლებსა, შვილებსა და შვილად აყვანილთა შორის. მშობლებსა და შვილებ შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები პროექტში იგივეა, რაც მომქმედ № 28 დეკრეტში, მხოლოდ პროექტში ამ დეკრეტთან შედარებით ახალი არის შვილად აყვანა. ის, რის შიშითაც კანონმდებელი წინად იძულებული ხდებოდა ხელი აეღო შვილად აყვანის ინსტიტუტზე, ეხლა აღარ არსებობს. რისი ეშინოდა კანონმდებელს? ა) იმის, რომ შვილად აყვანა ვაი თუ მცირეწლოვანთა ექსპლოატაციის საშუალებად იქნეს გამოყენებული, რომ შვილად აყვანილი მცირეწლოვანი შეიძლება გადაიქცეს მუქთა მუშად; ბ) იმისი, რომ შვილად აყვანა ხელოვნურად აფართოებს იმ პირთა წრეს, რომელთაც კანონით შეუძლიათ იყვნენ მემკვიდრედ. ამ მოსაზრებათა გარდა ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდის საქმე ფართოდ ვერ იქნა დაყენებული, რომ მოსპობილიყო ბავშვების უპატრონობა და უთავშესაფრობა და ამასთან ერთად ყოველგვარი ქველმოქმედებაც. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ უთავშესაფარო ბავშვთა რიცხვი კიდევ საგრძნობია და სახელმწიფო იძულებული ხდება მიმართოს კერძო მოქალაქეთა ინიციატივას, რამაც თავი იჩინა ამ ბოლო ხანებში. ამრიგად, პროექტს შვილად აყვანის შემოღებით მიზნად აქვს ნაწილი იმ ტვირთისა, რასაც ეწევა სახელმწიფო ბავშვთა უპატრონობასა და უთავშესაფარობასთან ბრძოლაში, გადასცეს კერძო მოქალაქეთ. პროექტით შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტა ექვემდებარება სამეურვეო დაწესებულებას.

6. მშობლების, შვილების და ნათესავების შენახვა. მომქმედი კანონით გაჭირვებაში ჩავარდნილ ნათესავებს პირდაპირ აღმავალი და შთამავალი ხაზით, აგრეთვე ძმებს, დებს უფლება აქვთ მოსთხოვონ სარჩო თავის შეძლებულ ნათესავებს (№ 28 დეკრეტის 132 მუხ.). პროექტით კი სარჩოს მოთხოვნის უფლება და, მაშასადამე, სარჩოს მიწოდების მოვალეობაც მიკუთვნებული აქვთ მხოლოდ შვილებს და მშობლებს. ჩვენს პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რამოდენიმე პირს სოლიდარულად დაეკისრებია მეუღლისა და შვილის შენახვა და ეს პრაქტიკას წესად გადაუქცევია. ამის საწინააღმდეგოდ, პროექტის მე-22 მუხლით, სულ სხვა წესია შემოღებული, სახელდობრ: „თუ სასამართლო მამობის საკითხის განხილვის დროს გამოარკვევს, რომ დედას, ბავშვის ჩასახვის დროს, სქესობრივი კავშირი ჰქონდა გარდა იმ პირისა, რომელიც მან უჩვენა მამად, აგრეთვე სხვა პირებთანაც, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას, რომლითაც ამ პირთა შორის ერთს სცნობს ბავშვის მამად და დააკისრებს მას წინა მუხლში აღნიშნულ ყველა მოვალეობას“.

7. მეურვეობა. მეურვეობის საკითხში პროექტით მხოლოდ ერთი რამ არის ახლად შეტანილი. წინად სამეურვეო საქმეს განაგებდა რამოდენიმე დაწესებულება: განათლების სახ. კომისარიატი, იუსტიციის სახ. კომისარიატი და აღმასკომი. პროექტით სამეურვეო საქმე გადაცემულია მხოლოდ ერთ ორგანოზე—ადგილობრივ აღმასკომზე. პროექტით იმ პირთა შორის, ვისაც უნდა დაეწესოს მეურვეობა, გამოტოვებულია „მფლანგველი“ (Расточитель), ვინაიდან მუშა-მშრომელ ოჯახისათვის თვით ამ მოქმედების, „ფლანგვის“ შემეცნებაც კი შეუფერებელია. მშრომელი, გლეხური ოჯახის სოფლის მეურნეობა [illegible] მიწის კოდექსის სათა[illegible] მაგრამ რაც შეეხება [illegible] ოჯახს, სადაც შეიძლება იყოს დაგროვილი რამე ძვირფასი ქონება და სადაც მოსალოდნელია მოხდეს გაფლანგვა, ამისთანა ოჯახის დაცვა, აშკარაა, არ შეადგენს საბჭოთა კანონმდებლობის დანიშნულებას.

ჩვენ საჭიროდ არ მივიჩნიეთ პროექტის ნაკლებად მნიშვნელოვან მხარეებზე შეჩერება, რადგანაც ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ გააძნელებს მომავალ დისკუსიას და ააცილებს დისკუსიაში მონაწილეთა ყურადღებას, ძირითად და პრინციპიალურ საკითხებს, რაც ჩვენ მოკლედ გვაქვს ზემოდ მუხლებში აღნიშნული. წვრილმანის გაშუქება აქ ჩვენ ზედმეტად ჩავთვალეთ კიდევ იმიტომ, რომ მათი დატოვება პროექტში ან გამოტოვება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება დისკუსიით მთავარი საკითხები. ამასთან ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დისკუსია მაშინ გამოიღებს ნაყოფს, იქნება სასარგებლო და სრული, თუ იგი ორგანიზაციულად და გეგმაშეწონილად იქნება ჩატარებული. ყოველი უორგანიზაციო, შემთხვევითი და მოუმზადებელი სჯა-კამათი (მიტინგური) ამ წერილში აღძრულ ცენტრალურ საკითხებზე არა თუ უსარგებლო, ზოგიერთ შემთხვევაში საზიანოც კი იქნება. ასეთი სჯა-კამათი კანონმდებელს ვერ გაუშუქებს მშრომელი მასის აზრსა და განწყობილებას და, გარდა ამისა, იგი სათანადოდ ვერ გამოარკვევს მომქმედი კანონის და პროექტის ცალკე საკითხებს, შექმნის ზედმეტ გაუგებრობას და საკითხების არევ-დარევას. ამიტომ საჭიროა, ვიმეორებ, დისკუსიის ორგანიზაციულად ჩატარება. ეს კი უნდა თავს იდვან სოფლის კულტურულმა ძალებმა და უპირველეს ყოვლისა იუსტიციის ადგილობრივმა მუშაკებმა, დამცველთა კოლეგიის წევრებმა, მასწავლებლებმა და სხვა. მათ უნდა იკისრონ დისკუსიის ხელმძღვანელობა ადგილობრივი ხელისუფლების, პარტიულ და გლეხთა საზოგადოებრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

იმედი გვაქვს, რომ არც ჩვენი პრესა დასტოვებს ამ ჩვენი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან საკითხს უყურადღებოდ და რამოდენიმე ალაგს დაუთმობს მას თავის ფურცლებზე. საჭიროა ყველა მასალები დისკუსიის ირგვლივ (რეზოლიუციები, ოქმები და სხვა) წინასწარ ეგზავნებოდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და პარალელურად პრესას.

ი. ვარძიელი.

ეკონომიური ცხოვრება

თამბაქოს მრეწველობა

თამბაქოს ნაწარმოების ღირსებისათვის

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს თამბაქოს მრეწველობის პროდუქციამ უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ბაზარზე, სადაც მას ყველა კუთხის თამბაქოზე მეტი გასავალი აქვს.

ამ გარემოების მიზეზი არის ჩვენებური თამბაქოს მაღალი ღირსება. საქართველოს თამბაქოს ტრესტის წარმოებებში დამზადებულ პაპიროსებს ვერავინ უწევს კონკურენციას იმის გამო, რომ ღირსებით სჯობიან ბაზარზე გამოტანილ ყველა პაპიროსებს, სოხუმის გარდა. ამავე დროს ფასებიც ნაკლები ადევს, ვიდრე სხვა ქვეყნების ნაწარმოების პროდუქციებს. ომის წინა დროსთან შედარებით, ჩვენი პაპიროსების ღირსება დაბალია, ამავე დროს ფასებიც კი საგრძნობლად მაღალი. თამბაქოს ნაწარმოების დაბალი ღირსების (მშვიდობიან დროის ნაწარმოებთან შედარებით) მთავარი მიზეზი არის საწყობებში გამძლე თამბაქოს მარაგის უქონლობა. თამბაქოს ფაბრიკები იძულებული არიან დაამუშაონ ნედლეული, რომელსაც საწყობებში დაუყვიათ მხოლოდ ერთი წელიწადი; ასეთი მცირე დრო კი ვერ აძლევს ნედლ თამბაქოს საკმარის გამძლეობას. ამიტომ ჩვენი თამბაქოს მრეწველობის ფაფბრიკატს არ აძლევთ ის მაღალი ღირსება, რომელიც წინად ჰქონდა.

ომიანობის და რევოლიუციის ხანებში ჩვენი თამბაქოს ფაბრიკები იკვებებოდენ გამძლე თამბაქოს ძირითადი მასალით, რომელიც უკვე აღარ ივსებოდა ახალი მოსავლის თამბაქოთი. ეს არის მიზეზი, რომ მოუხერხებელი გახდა წინანდელი ასორტიმენტის აღდგენა.

უკანასკნელი წლების გეგმაშეწონილ დასამზადებელ მუშაობას უნდა გაეუმჯობესებია თამბაქოს ღირსება, მაგრამ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოები, რომელნიც ეწევიან ნედლეულის დამზადებას, არ აქცევენ სათანადო ყურადღებას კარგი ჯიშის თამბაქოს შერჩევასა და სტანდარტიზაციას.

თამბაქოს ღირსების გაუარესების და გაძვირების ერთად-ერთი მიზეზი არის ნედლეულის დამზადების და დამუშავების არანორმალური პირობები.

გადამუშავებული თამბაქოს ღირსება დაცული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ფაბრიკები უზრუნველყოფილი იქნებიან 5—6 წლიანი თამბაქოს მარაგით. ერთწლიანი ნედლი თამბაქო, ვერასოდეს ვერ იქნება გამძლე და ისეთი თვისების, როგორც წინად იყო.

მოთხოვნილება ფართლეულობაზე

საბჭოთა კავშირის საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების გამოანგარიშებით, თვითეულ მცხოვრების მოთხოვნილება მანუფაქტურაზე განისაზღვრება მინიმუმ 18 მეტრით წელიწადში.

თუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობას 5.103.396 სულს ვიანგარიშებთ, წლიურად მთელ ამიერ-კავკასიის მოსახლეობისათვის, საფეიქრო სინდიკატის ადგილობრივი განყოფილების ვარაუდით, საჭიროა სულ 91.861.128 მეტრი ერთი წლის განმავლობაში.

გამომუშავებული გეგმის მიხედვით მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ყოველ თვეში უნდა შემოიზიდოს 70 ვაგონი მანუფაქტურა. მეტრზე რომ გადავიყვანოთ სამეურნეო წლის პირველ ნახევარში შემოზიდული იქნება 29.400 მეტრი, ანუ 8.960 მეტრით მეტი, ვიდრე შემოტანილი იქნა გასულ წლის პირველ ნახევარში.

გასულ წელს მოსახლეობის მოთხოვნილება მანუფაქტურაზე დაკმაყოფილებული იქნა მხოლოდ 50,44 პროცენტით, მიმდინარე წელს დაკმაყოფილებული იქნება 64 პროცენტით.

სინდიკატის მიერ შემოტანილ საქონელს გარდა, ამიერ-კავკასიის ბაზარის საფეიქრო მრეწველობის საქონელს აწვდიდა ადგილობრივი საფეიქრო ფაბრიკები, სხვა სამეურნეო ორგანიზაციები და აგრეთვე კერძო ვაჭრებიც, რომელთაც საქონელი შემოჰქონდათ, უმთავრესად, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან. ამ უკანასკნელ ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ ბაზარზე გამოტანილი საფეიქრო საქონელი, დაახლოებით, შეადგენს შემოტანილი საქონლის მთელი რაოდენობის 30 პროცენტს.

შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, გეგმით გათვალისწინებული შემოსატანი საქონლის გარდა, შემოტანილი იქნება კიდევ 30 ვაგონი მანუფაქტურა, რომელიც გადადებულია ამიერ - კავკასიისათვის სამარაგო ფონდიდან.

საქონლის შემოტანა ამ.-კავკასიაში

ამიერ-კავკასიაში საქონლის შემოტანის შესახებ, ჩვენს თანამშრომელს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში აცნობეს შემდეგი:

— გასული წლის უკანასკნელი თვეებში ზოგიერთი საქონლის შემოტანაში ერთგვარ შეფერხებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მიმდინარე წლიდან ეს მდგომარეობა გამოსწორდა.

ასე მაგალითად, იანვარში პურის პროდუქტების შემოტანა ამიერ-კავკასიაში, დეკემბერთან შედარებით, გაიზარდა 200 ვაგონით. პურის მარაგი ამიერ-კავკასიაში საკმარისი იქნება პირველ აპრილამდე. პურის შემოტანა გრძელდება, ამიტომ არსებული მარაგი ხელუხლებელი რჩება.

რაც შეეხება შაქარს, იგი საკმაო რაოდენობით მოიპოვება შაქრის ტრესტის ყველა საწყობებში. პირველი თებერვლისათვის შაქრის შემოტანის გეგმა შესრულებულია გადამეტებით. საშუალოდ ყოველთვიურად ამიერ-კავკასიაში შემოდის 150-160 ვაგონი შაქარი.

გაიზარდა აგრეთვე ბამბეული მანუფაქტურის შემოტანაც. მაგალითად, იანვარში შემოტანილია 18 ვაგონით მეტი, ვიდრე დეკემბერში. ბამბეული მანუფაქტურის შემოტანა მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში გეგმასთან შედარებით გადიდებულია 80 ვაგონით.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს კერძო ვაჭრების სპეკულიაციის მოსპობას თავისუფალ ბაზარზე, სადაც ფართალი 100-110 პროც-ით უფრო ძვირათ ფასობს, ვიდრე სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში.

სხვათა შორის, განზრახულია ფართალის მიწოდება კერძო ვაჭრებისათვის ხდებოდეს საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საშუალებით; ეს საზოგადოება სახელმწიფო ორგანიზაციებიდან მიღებულ ფართალს გაანაწილებს თავის წევრებს შორის და ამავე დროს კონტროლს გაუწევს იმას, რომ კერძო ვაჭრებმა არ ასწიონ ფართალის ფასები.

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა

სატყეო ტრესტის ცნობით, მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა ამუშავდება ივლისში. ქარხნისათვის საჭირო ყოველგვარი მასალა მიღებულია საზღვარგარეთიდან და ამ ჟამად სწარმოებს ქარხნის მოწყობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ გერმანიიდან მოწვეული სპეციალისტები.

ქარხანაში ყოველდღიურად იმუშავებს 250-მდე მუშა ხელი.

ამ ჟამათ სწარმოებს მუშაობა ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალის დასამზადებლად. სატყეო ტრესტი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქარხანა მოწყობილი იქნას უკანასკნელ ტეხნიკის მიხედვით და ფართოდ, რომ ქარხანამ შესძლოს ნაყოფიერი მუშაობა.

სასოფლო მეურნეობა

მატყლის დამზადება

ამჟამად თბილისში იმყოფება საკავშირო სააქციონერო საზოგადოება „მატყლი"-ს რწმუნებული, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან მიმდინარე წელს მატყლის დამზადების შესახებ.

შარშან, აღნიშნულ საზოგადოებას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის კოოპერატიულ ცენტრებთან, რომლის ძალით საზოგადოებას ამიერ-კავკასიიდან უნდა მიეღო 134.000 ფუთი მატყლი; ამიერ - კავკასიის კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს მატყლის აღნიშნული რაოდენობის დამზადება, მათ საზოგადოებას ჩააბარეს მხოლოდ 88.672 ფუთი მატყლი.

გასული წლის მატყლის დამზადებისათვის კონტრაგენტებმა მიიღეს 1.506.982 მანეთი, აქედან კი მათ მიერ ჩაბარებულია მხოლოდ 869.853 მანეთის მატყლი. ამრიგათ, კონტრაგენტებმა ვერ შესძლეს 637.129 მანეთის მატყლის დამზადება, ეს თანხა კი მათ წინდაწინ ჰქონდათ მიღებული. აქედან 91.037 მანეთი დაუბრუნდა საზოგადოებას, დანარჩენი თანხა კი დარჩა წარმოკავშირზე და სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოზე.

მიმდინარე წელში განზრახულია ამიერ-კავკასიაში დამზადებული იქნეს 130.000 ფუთი მატყლი. მატყლის დამზადება დავალებული აქვს იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოებს, რომლებმაც შარშან მთლიანად შეასრულეს ვალდებულება.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზაციები ვერ შესძლებენ ამიერ-კავკასიის ბაზრის მთლიანათ დაპყრობას, მაშინ საზოგადოება „მატყლი" ამიერ-კავკასიაში გახსნის თავის დამამზადებელ სააგენტოებს, რომლებიც შეთანხმებულად იმუშავებენ დანარჩენ დამამზადებლებთან.

შარშან მეცხვარეებს ერთ ფუთ მატყლში ეძლეოდა 10-11 მანეთი. წელს ეს ფასი გადიდებული იქნება დამამზადებელი ორგანიზაციების ზედდართული ხარჯების შემცირებით.

წინასწარი მუშაობა ხელშეკრულების დასადებათ უკვე დაწყებულია.

სპარსეთის ბამბა ამიერ-კავკასიაში

გასული წლის განმავლობაში, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ სპარსეთის აზერბეიჯანში—მაკის და ხოის რაიონებში, ჩაატარა კამპანია ბამბის ნათესების სივრცის გასადიდებლად. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ამ რაიონებს აწვდიდა ბამბის საუკეთესო თესლს და ამას გარდა დახმარებას უწევდა აგრონომიული პერსონალით.

კამპანიამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. ბამბის ნათესების სივრცე წინა წელთან შედარებით გაიზარდა ხუთჯერ. გვალვების გამო ბამბის ნათესების ნაწილი დაზარალდა, განსაკუთრებით იმ რაიონში, სადაც არ არის წყალი, ამიტომ შარშან მოსავალი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორც მოსალოდნელი იყო.

მიუხედავათ არახელსაყრელი მეტეოროლოგიურ პირობებისა, შარშანდელი მოსავალი მაინც 150-200 პროც. მეტი აღმოჩნდა წინა წელთან შედარებით; წინასწარი ცნობებით, ამ ორ რაიონში შეგროვებული იქნება 100.000 ფუთი ბამბა. ადგილობრივ მოხმარებლად დარჩება 15.000 ფუთი, დანარჩენი რაოდენობა კი შესყიდული იქნება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ.

განზრახულია ბამბის ნათესების სივრცე მიმდინარე წელში კიდევ უფრო გაფართოვებული იქნეს; ამ მიზნით ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ამ რაიონებისათვის გამოწერილი აქვს ამერიკული თესლი, ამას გარდა განზრახულია ბამბის საწმენდი ქარხნების გახსნა და აგრიკულტურული ღონისძიებების გაძლიერება.

რაც შეეხება ბამბის ფასებს, წელს მათ ემჩნევათ ზრდის ტენდენცია. ასე, მაგალითად, ამერიკული თესლიდან გამოსული ბამბა ფუთი ფასობდა 62 კრანს, პირველი ხარისხის „კარაკოსი" (სპარსული ბამბა) კი 45 კრანს.

სპარსეთის აზერბეიჯანის გლეხობა გრძნობს ბამბის კულტურის მნიშვნელობას და სარგებლიანობას და ცდილობს რაც შეიძლება გააფართოვოს ბამბის ნათესები, მაგრამ ამას ხელს უშლის წყალის ნაკლებობა. განზრახულია ამ მიმართულებით იქნეს მიღებული საჭირო ღონისძიებები.

თათბირი სატყეო მეურნეობის საკითხებზე

სატყეო მეურნეობის მუშაკთა ამიერ-კავკას. თათბირის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები ტყეების დაცვის შესახებ ხანძარისაგან (საქართველოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლის), ტყეების თვითნებური გაჩეხვისა და მავნეებისაგან დაცვის შესახებ (სომხეთის მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის წარმომადგენლის).

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ზაკტრეგერის მოხსენება ტყეების როლის შესახებ ქვეყნის სასოფლო მეურნეობაში. მომხსენებელი აყენებს მთელ რიგ ღონისძიებებს ტყეების განადგურების წინააღმდეგ და სასოფლო მეურნეობის გეგმიან საფუძველზე დაყენებისათვის. მისი აზრით საჭიროა ტყის სივრცის გაზრდა, სატყეო საცდელი-საჩვენებელი აგარაკების მოწყობა, საძოვრების საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრა და სხვ.

თათბირის სატყეო - სამრეწველო სექციის გუშინდელ სხდომაზე გაიმართა კამათი სომხეთის ტყეების სამართველოს მოხსენების გარშემო და მოსმენილი იქნა აზერბეიჯანის სატყეო ტრესტის მოხსენება.

სასოფ. სამ. გამოფენა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა თანდათან მეტ ინტერესს იწვევს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებები და ფირმები შუამდგომლობენ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად უფლების მიცემის შესახებ.

შვეციის ფირმა „სეპარატორმა" უკვე გამოგზავნა ერთი გემი („მარმარა") სხვადასხვა მანქანებით დატვირთული, განსაკუთრებით მერძეობისათვის საჭირო ხელსაწყოებით. გემი ამ დღეებში მოვა ბათომის ნავთსადგურში.

გამოფენაზე მონაწილეობის სურვილი განაცხადა აგრეთვე ლონდონის საავტომობილო ფირმამ, რომელიც ჯერ უცნობია საბჭოთა კავშირში.

გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ფინეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მწარმოებელი ფირმა „კულტივატორი".

უცხო სახელმწიფოების გარდა, გამოფენაზე მონაწილეობისათვის ემზადებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიც.

აზერბეიჯანის მთავრობამ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად უკვე დაიწყო შესაფერი მუშაობა და საამისოდ გადასდო 7 ათასი მანეთი.

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი უკვე მზად არის გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის „ავიაქიმის" საზოგადოებებმა მიიღეს ნებართვა გადაიღონ გამოფენაზე წარმოებული მთელი მუშაობა კინოლენტზე. გადაღებული უმთავრესად იქნება სხვადასხვა მანქანების საცდელი მუშაობა.

გამოფენაზე შესასვლელი ფასი დაწესებულია: წითელარმიელებისათვის და პროფკავშირის წევრებისათვის—30 კაპეიკი, ხოლო გარეშე პირთათვის—50 კაპ.; საღამოს შემდეგ დაწესებული იქნება განსაკუთრებული ფასი.

კრედიტები უღარიბეს გლეხებს

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის უღარიბეს გლეხებისათვის კრედიტების მიცემის წესები.

ამ წესების მიხედვით, უღარიბეს გლეხებისათვის მისაცემ კრედიტების ფონდი ამიერ-კავკასიაში 1925-26 წლის განმავლობაში ნაწილდება შემდეგნაირათ: საქართველოსთვის გადადებულია 50 პროც., აზერბეიჯანისათვის 30 პროც. და სომხეთისათვის 20 პროც.

სესხის გაცემა ამ ფონდიდან იწარმოებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით; სესხი მიეცემა ისეთ გლეხებს, რომლებიც ითვლებიან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების წევრებათ.

სესხი გაცემული იქნება მხოლოდ საწარმოო საჭიროებისათვის და უღარიბეს გლეხთა მეურნეობის ძირითადი კაპიტალის გასადიდებლად; სესხის განაღდების მაქსიმალურ ვადათ დაწესებულია 7 წელიწადი; წაღებულ სესხის განაღდების ვადებათ დაწესებულია ამა თუ იმ მეურნეობის მთავარი პროდუქციის რეალიზაციის მომენტები. დაწესება იმ რაიონებისა, რომელთა მოსახლეობასაც უნდა მიეცეს კრედიტები, დაკისრებული აქვს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს; ეს უკანასკნელნი აწესებენ აგრეთვე თვითეულ უღარიბეს მეურნეობისათვის გასაცემ კრედიტის რაოდენობას.

უღარიბეს მეურნეობათა სიების შედგენას და თანხების განაწილებას რაიონში, აწარმოებს სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა სათანადო აღმასკომის წარმომადგენლებთან ერთად. კრედიტების განმანაწილებელი საკრედიტო ამხანაგობები ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ იმას, რომ დანიშნულებისამებრ დაიხარჯოს თვითეულ უღარიბეს მეურნეობისათვის მიცემული სესხი.

ბაქოს ბაზრობის ხელის შემწყობ კომიტეტში

ბაქოს ბაზრობის ხელის შემწყობ კომიტეტმა, რომელიც თბილისში არსებობს დაგზავნა სპარსეთის და ოსმალეთის გენერალურ საკონსულოების საშუალებით ანკეტები სპარსეთის და ოსმალეთის ვაჭრებისათვის. ანკეტების შემწეობით გამორკვეული იქნება თუ როგორ მონაწილეობას მიიღებენ ეს ვაჭრები ბაქოს ბაზრობაზე.

ოსმალეთის მცურავი გამოფენა

ა-კ. აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთის ვაჭრობის კომისარმა შეიმუშავა ოსმალეთის მცურავ გამოფენის მარშრუტი 1926 წლისათვის.

წინად მიღებულ მარშრუტის შეცვლა იმაში მდგომარეობს, რომ გემი, მცურავი გამოფენით, ოსმალეთიდან წამოვა 15 მაისს და პირველ რიგში ეწვევა ბათომს და ადესას.

ამ რიგად ოსმალეთის მცურავი გამოფენა ა-კ.-ში იმ დროს მოაღწევს, როცა ბაქოს ბაზრობა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გახსნილი იქნება. ოსმალეთის კომერსანტების ჩამოსვლას ა-კ.-ში დიდი მნიშვნელობა ექნება, და ხელს შეუწყობს ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

გამოფენის შემდეგი მარშრუტი ასეთია. ვარნა, კონსტანცა, ჰელსინგფორსი, დანციგი, სტოკჰოლმი, კოპენჰაგენი, ამსტერდამი, ანტვერპენი, ჰამბურგი, მარსელი, ნეაპოლი, გენუა ვენეცია და ტრიესტი.

დღემდი მცურავ გამოფენაზე გამოგზავნილია 250-ამდე სხვადასხვა საქონლის ნიმუში. სულ გემზე იქნება 100-მდე კაცი.

გამოფენაზე იქნება კატალოგი, რომელშიაც დაწვრილებით იქნება აღწერილი საიდან არის შეძენილი საქონელი და როგორია ოსმალეთის მრეწველობის ამა თუ იმ დარგის თავისებურობა.

აგარაკი მუშებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლი „არაზინდო" მომავალი სეზონის დასაწყისიდან მოწყობილი იქნება როგორც ეს ნამდვილ კურორტს შეეფერება.

ამჟამად სანატორიუმში ავადმყოფები არ არიან. სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, რომლის დამთავრების შემდეგ სანატორიუმი ისეთ მდგომარეობაში იქნება მოყვანილი, რომ ის მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

ეწყობა გათბობა წყალით (ორთქლის მაგიერ გამოყენებული იქნება ცხელი წყალი), შენდება აბანო, სარეცხაო და აგრეთვე სადეზინფექციო კამერა. თავლა და ელექტრონის სადგური გადატანილ იქნება უფრო მოშორებით სანატორიუმის რაიონიდან. გათბობის სისტემის მოწყობის შემდეგ შეღებილი იქნება მთელი შენობა და ოთახები. რემონტი დამთავრებული იქნება სეზონის გახსნისას 1 ივნისს.

პროფკავშირებში

ურთიერთ დამხმარე სალაროების შესახებ

ურთიერთდამხმარე სალაროებმა, როგორც ვიცით, უაღრესი პოპულიარობა მოიპოვეს მუშათა მასებში. თითქმის არ არის ისეთი წამოწყება-დაწესებულება, სადაც ისინი არ არსებობდენ. ყველგან, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღწევს 50 კაცს, პროფსაბჭოს ახალი დადგენილებით, შესაძლებელია დაარსდეს ურთიერთ-დამხმარე სალარო, თუ კი მისი ძირითადი თანხა (ფონდი) უდრის 150 მან. (ე. ი. თითეულ წევრზე მოდის 3 მან.).

მაგრამ იქაც, სადაც 50 კაცზე ნაკლებია მუშა ხელი და მუშებს აქვთ სურვილი, უნდა დაარსდეს ასეთი სალარო.

აუცილებლად საჭიროა მუშების ასეთ სურვილს გაეწიოს ანგარიში და მათაც მიეცეთ საშუალება დაარსონ თავიანთი დამხმარე სალაროები.

ჩვენი მუშები აღნიშნულ სალაროებიდან იღებენ საგრძნობ რეალურ დახმარებას, და ამიტომაც სრულებით არ არის გასაკვირი, რომ ისინი დიდი ნდობით და პატივისცემით ეპყრობიან მათ. მათ სრულებით არ ეზარებათ ურთიერთ-დამხმარე სალაროების ანარიცხის გადახდა შრომის ხელფასის ერთი პროცენტის რაოდენობით. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში მათ სურთ გაადიდონ ამ პროცენტის რაოდენობა, რომ ამით გააძლიერონ თავიანთი სალაროს ფინანსიური შესაძლებლობანი და მათი დახმარების უნარიანობა.

ამიტომ ის „ახალი ხაზი", რომელიც აიღეს ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთმა ჩვენმა პროფორგანოებმა აღნიშნულ ერთპროცენტიანი ანარიცხის ნახევარ პროცენტამდე დაყვანით, ჩვენის აზრით, არ ჩაითვლება მიზანშეწონილად.

ეს ახალი ხაზი დააუძლურებს ჩვენი სალაროების ფინანსიურ შესაძლებლობას; ამას კი შედეგად მოჰყვება ის, რომ სალაროს წევრები ვერ მიიღებენ აუცილებელ შემთხვევებში იმ საგრძნობ დახმარებას (ამჟამად ეს დახმარებები აღწევენ ხშირად 30—50 მანეთამდე ზოგიერთ წევრზე), რომელსაც ისინი საჭიროების დაგვარად დაუყოვნებლივ იღებენ სალაროებიდან; ეს უკანასკნელი გარემოება კი დაუკარგავს სალაროს იმ ავტორიტეტს და ნდობას, რომელიც მან მოიხვეჭა ჩვენ მუშებში. მუშებს რაღა უნდათ ისეთი უძლური სალაროები, რომელნიც მათ ვერ დაეხმარებიან საჭირო შემთხვევაში, როგორც ეს მათ უნდათ.

ჩვენის აზრით, ჩვენს პროფორგანოებმა არ უნდა გადასჭრან ეს საკითხი კაბინეტურად, ზევიდან, როგორც ამას ამჟამად აქვს ადგილი, არამედ უნდა შეუფარდონ თავისი დადგენილებები მუშათა ცოცხალ ინტერესებს და სურვილებს.

ურთიერთ - დამხმარე სალაროები არიან უაღრესად დემოკრატიული მუშათა თვითმოქმედებითი ორგანიზაციები, სადაც, ჩვენდა სასიხარულოდ, „პროფმოხელეობის" ბიუროკრატიული სული დღემდე ვერ იკიდებს ფეხს. ამიტომ ჩვენ უნდა მივცეთ მუშათა მასებს ყოველგვარი საშუალება დაარსონ ურთიერთ-დამხმარე სალაროები ყველგან, სადაც ეს მათ სურთ, დამოუკიდებლად წევრთა და პროცენტული ანარიცხის რაოდენობისა.

დინამიტი.

პროფმუშაობის ქრონიკა

სენაკის სამპროფბიუროში

— **პროფკავშირთა ა. კ. ყრილობის დელეგატების ასარჩევად.** სენაკის სამპროფბიურომ გადასწყვიტა სენაკის საერთო საქალაქო კონფერენციაზე დელეგატები აირჩიოს პროფკავშირთა ა. კ. ყრილობაზე. ამ კონფერენციაზე, აგრეთვე, მოწვეული იქნებიან მარნის ხე-ტყის ქარხნის მუშათა დელეგატებიც.

— **ძველი სენაკის რაიონში—გაერთიანებულ საურთიერთო დამხმარე სალაროს დასაარსებლად.** სენაკის სამპროფბიურომ საჭიროდ სცნო, რათა მოწვეულ იქნეს ძველი სენაკის რაიონში მყოფ კავშირის წევრთა საერთო კრება საურთიერთო დამხმარე სალაროების დასაარსებლად.

— **დავალიანების ჩამოსაწერავად.** სამპროფბიურომ მიმართა სენაკის აღმასკომს ჩამოსწეროს ვალი, რომელიც მართებს მას მუშათა კლუბის ასაშენებელ ხე-ტყის მასალის შესყიდვის გამო.

— **მუშათა სასახლის დასაზღვევად.** სენაკის სამპროფბიურომ საჭიროდ სცნო დააზღვიოს სენაკის მუშათა სასახლე.

შორაპნის (ჭიათურის) სამპროფბიუროში

— **შორაპნის სამპროფბიუროში მომუშავეთა ახალი შემადგენლობა.** შორაპნის სამპროფბიუროს თავმჯდომარედ და სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგედ არჩეულია ამხ. სერგო ხვედელიძე. საორგანიზაციო და კულტურულ განყოფილების გამგედ ამხ. აბელ თოდრია, ახალგაზრდათა შორის მომუშავედ ამხ. ბრეგაძე.

— **სამპროფბიუროს პრეზიდიუმის სხდომები.** შორაპნის სამპროფბიუროს სხდომები შესდგება ყოველ პარასკეობით, საღამოს, 6 საათზე, ადგილობრივ კავშირების პ. მგ. მდივნების თანდასწრებით.

— **კავშირებში პრეზიდიუმის გამოყოფა.** შორაპნის სამაზრო კავშირებში, პრეზიდიუმი გამოიყოფა.

— **მუშათა სასახლის შესაკეთებლად.** ჭიათურის მუშათა სასახლის შესაკეთებლად კომისია გამოიყო.

— **კავშირების მუშაობაზე მოხსენების მოსასმენად.** შორაპნის სამპროფბიურომ გადასწყვიტა ახლო მომავალში ადგილობრივ კავშირების ხელმძღვანელთა მოხსენებები მოისმინოს მათ მუშაობაზე.

— **კავშირების საქმიანობის გამოკვლევა.** შორაპნის სამპროფბიურომ გადასწყვიტა ახლო მომავალში გამოიკვლიოს ჭიათურის კავშირების საქმიანობა.

— **თანხების შესანახად.** შორაპნის სამპროფბიურომ აცნობა ყველა სამაზრო კავშირებს, რათა თავიანთი თავისუფალი თანხები შეინახონ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებებში.

სიღნაღის სამპროფბიუროში

— **კინო სურათისათვის.** სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა სახკინმრეწვთან შეღავათიან ფასებში სურათების დათმობაზე.

— **პროფმოძრაობის ისტორიის მასალების შესაგროვებლად.** სამპროფბიურომ დაავალა ამხ. ლალაშიძეს პროფმოძრაობის ისტორიისთვის საჭირო მასალები შეაგროვოს.

— **ფარმაცევტთა კურსებზე.** კავშირის ც. გამგეობა შეუდგა პირობების გამომუშავებას ფარმაცევტთა კურსებზე მსმენელთა ჩასარიცხავად.

— **სამაზრო ადგილკომების ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.** ც. გამგეობამ დამტკიცა სამაზრო კავშირების ადგილკომების 1926 წ. (იანვარი-ივნისის) ხარჯთ-აღრიცხვა.

— **უმუშევართა ხელ-ახალი რეგისტრაცია.** მედსანშრომის კავშირი შეუდგა უმუშევარ წევრთა ხელ-ახალ რეგისტრაციას.

რა აფერხებს გლეხკომების მუშაობას

გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტის მუშაობის გამოცდილებამ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში წარმოშვა ჩვენში 2 აზრი: პირველი—გლეხკომებმა თავის მუშაობაში დაამტკიცეს არაცხოველმყოფელობა, ვერ შეასრულეს პარტიის მიერ დაკისრებული ამოცანები და ზოგჯერ თავიანთი უარყოფითი მუშაობით ამხედრებდენ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. (გლეხობა გლეხკომს უცქერის, როგორც ხელისუფლებას). გამოდიან რა აქედან ამ შეხედულების მომხრენი, მოითხოვენ გლეხკომების ლიკვიდაციას. მეორე აზრის წარმომადგენლები ამბობენ, რომ გლეხკომები, ისეთი ფორმით, როგორიც აქვთ მათ დღეს, მიუღებელი არიან, ვინაიდან ისინი ითვისებენ საბჭოების, კოოპერაციის ფუნქციებს; მათ მუშაობაში შემჩნეულია ადმინისტრატიული და ვაჭრული გადახრანი და სხვ. ამიტომ საჭიროა მათი ფუნქციები გადაეცეს საბჭოებს.

როგორც პირველი, ისე მეორე აზრი სრულიად მიუღებელია და არ შეეფერება დღევანდელი მომენტის მოთხოვნილებებს. უწინარეს ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ რომ სოფელი თუმცა გაიზარდა ეკონომიურად და პოლიტიკურად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღარ მოიპოვებიან ღარიბი გლეხები, დაქირავებული მუშები, გაჭირვებულები, ქვრივები, ობლები და სხვა. სახელმწიფო უწევდა და უწევს მათ უდიდეს დახმარებას, მაგრამ, ეს რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი; მას საშუალებები არ გააჩნია ამ მხრივ არსებულ ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად! მარტო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებზე და კოოპერაციაზე იმედის დამყარება დახმარების საქმეში არ შეიძლება, ვინაიდან ყველას კარგად მოეხსენება აღნიშნულ ორგანიზაციების მდგომარეობა. გლეხკომების ლიკვიდაცია, იმიტომ რომ ისინი ცუდათ მუშაობენ არ იქნება სწორი ნაბიჯი, რადგან გლეხკომებს არ ჰქონიათ ხელმძღვანელობა სათანადო ორგანოების მხრით. უნდა ვაღიაროთ, რომ გლეხკომების მუშაობის ცუდათ დაყენებაში ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე.

იქ, სადაც ხელმძღვანელობა ცოტად თუ ბევრად სწორი იყო, გლეხკომებმა ზოგი რამ გააკეთეს, თუნდაც ახალციხის მაზრაში.

მეორე მოთხოვნილება გლეხკომების ფუნქციების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ, ნიშნავს საურთიერთო დახმარების საქმეში საზოგადოებრივ თვითმოქმედებაზე უარის თქმას და ყველა ზემოდჩამოთვლილ არა უზრუნველყოფილ ელემენტების გადასვლას რესპუბლიკის ბიუჯეტის უზრუნველყოფაზე, რის საშუალებას არ გვაძლევს ჩვენი დღევანდელი ეკონომიკა. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ნიშნავს „მეორე ერთიან გადასახადის" შემოღებას, ვინაიდან საბჭოებისათვის გლეხკომების ფუნქციების გადაცემა ნიშნავს სოციალურ დახმარების გადასვლას სახელმწიფოს ხელში, ეს კი იწვევს საზოგადოებრივ თვით მოქმედების გამოჩენას სოციალურ დახმარების საქმეში—ე. ი, ახალი გადასახადის დაწესებას.

ასე რომ საბჭოებს არ უნდა გადაცეთ საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა ფუნქციები, რადგან, საბჭოები თავის თავად ვალდებული არიან გაუწიონ დახმარება გაჭირვებულებს. რაკი სახელმწიფოს არ შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს ყველა გაჭირვებულები, ბუნებრივია, ამ საქმეში უნდა იქნას მოზრდილი საზოგადოებრივი თვითმოქმედება.

უნდა შევეხოთ მეორე საკითხს, ე. ი. როგორი ფორმა უნდა მიეცეს ამ საზოგადოებებს, რათა უკანასკნელები იქნან აღჭურვილი მუშაობის უნარით. დებულებაში გლეხკომების შესახებ ნათქვამია, რომ გლეხკომები ეწყობიან სასოფლო საბჭოების, სათემო საბჭოების და სხვ. ხაზით, ერთი სიტყვით მათ საფუძვლად უნდა დაედოს ადმინისტრატიული ერთეული. სათემო საბჭოები ჩვენში ყველგან არსებობენ, მაგრამ სასოფლო საბჭოები კი მხოლოდ ზოგიერთ ადგილას. იმ სოფლებში, სადაც არ არ-ს საბჭოები, არსებობენ სასოფლო გლეხკომები, მაგრამ ისინი. ობიექტიურ პირობების გამო, (შორაპნის მაზრა) ზოგიერთ მაზრებში გადაქცეული არიან საწევრო გადასახადების ამკრებ ორგანოებათ, ე. ი. მათ არ აქვთ არავითარი ფონდი და ვერ უწევენ უშუალო დახმარებას გლეხებს.

მთელი ფონდი თავმოყრილია სათემო გლეხკომების ხელში. ასეთი მდგომარეობა აიხსნება სწორი ანგარიშ - წარმოების და ანგარიშიანობის შეუძლებლობით, რამდენადაც სოფლად არ მოიპოვებიან მომზადებული პირები.

გლეხკომების ნაყოფიერ მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშაკების შერჩევას. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მუშაკების ნივთიერ მდგომარეობასაც. რადგან ჩვენ ვერ მოვახერხებთ სასოფლო და სათემო გლეხკომების ყველა ხელმძღვანელთა ნივთიერად უზრუნველყოფას, ამიტომ უნდა გავაძლიეროთ სათემო ტიპის გლეხკომები, რომელთა ხელმძღვანელებს და ტეხნიკურ მუშაკებს უნდა ექნეთ ჯამაგირი. სათემო სისტემის დროს შესაძლებელია მუშაკების უკეთესად შერჩევა, მათი შრომის ანაზღაურება, კონტროლის უფრო ადვილად განხორციელება, ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილება, ხელმძღვანელობის გაძლიერება და მაშასადამე, მუშაობის საერთო გამოცოცხლება.

მესამე გარემოება გლეხკომების მუშაობაში—ეს არის ფონდების შექმნა. არსებობს ადგილებზე ფონდების შექმნის სხვადასხვა მეთოდები. ფონდების მთავარ წყაროს, რომელიც, უნდა ითქვას, უკმაყოფილებას იწვევს გლეხთა მასებში, წარმოადგენს საწევრო გადასახადები. საწევრო გადასახადების შეკრება ხშირად ასე ხდება:

შორაპნის მაზრაში არავინ არ არის თავისუფალი საწევრო გადასახადიდან. მთელი მოსახლეობა 4 კატეგორიად არის დაყოფილი და თვითეული მათგანისათვის დაწესებულია საწევრო გადასახადის განსაზღვრული რაოდენობა ეკონომიური შესაძლებლობის პრინციპის მიხედვით.

თელავის მაზრაში კი შემოღებულია ერთიანი საწევრო გადასახადი (ზოგიერთ თემებში), რომლიდანაც თავისუფლდებიან მხოლოდ ღარიბი გლეხები, დანარჩენი კატეგორიის გლეხები კი თანაბრად იხდიან. აქვს ადგილი საწინააღმდეგო მოვლენასაც, ე. ი. სულ ყველანი თანაბრად იხდიან.

საწევრო გადასახადების გადახდევინების ზემოდ აღნიშნული მეთოდები ყოვლად მიუღებელია, რადგან შეუძლებელია ყოველთვიურად მოვსთხოვოთ გლეხს, მით უფრო ღარიბ გლეხს, საწევრო გადასახადი. ასევე დაუშვებელია საწევრო გადასახადების თანაბრად განაწილება, ე. ი. თანაბრად გადახდევინება როგორც ღარიბი, ისე საშუალო და შეძლებულ გლეხებისათვის.

საჭიროა ერთდროული გადასახადის შემოღება ნახევარი წლით, ე. ი. საწევრო გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს ნახევარი წლის განმავლობაში, ღარიბები კი სავსებით განთავისუფლებული უნდა იქნენ გადასახადისაგან, აგრეთვე გლეხები უსათუოდ კატეგორიებად უნდა იქნენ დაყოფილი.

აი, ჩემის აზრით, ის მთავარი ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია გლეხკომების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გ. შოშირაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

კოლექტიურ მეურნეობის ლიკვიდაცია

შორაპანი, 4 მარტი. დაიშალა კოლექტიური მეურნეობა „წინსვლა", რომელიც დაარსებული იყო 1924 წლის დამლევს სოფელ კაცხში (შორაპნის მაზრაში), მიუხედავათ იმისა, რომ მისი მუშაობა უკანასკნელი წლის განმავლობაში სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო.

18 მეურნეობიდან დარჩა მხოლოდ 6.

კოლექტიურ მეურნეობათა დაშლის მიზეზების გამოსარკვევად სამაზრო გლეხკომთან დაარსდა სპეციალური კომისია პარტიული კომიტეტის, სამაზრო აღმასკომის და სამაზრო გლეხკომის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

წერილები

კოსტას თავგადასავალი

(ს. ჯგალი, ზუგდ. მ.)

არ იცოდა მასწავლებელ კოსტა კვარაცხელიამ, რომ ექვს თებერვალს საღამოს თავზე ასეთი რისხვა დაატყდებოდა, თორემ მეორე დღისათვის ნათხოვარ ცხენსაც დასთმობდა, სკოლასაც მიატოვებდა და შეიძლება ჯგალიდანაც გახიზნულიყო დროებით. მაგრამ უბედურება რის უბედურებაა, თუ ის მოულოდნელათ არ დაეცა კაცს თავზე.

და აი, კოსტა მიდის ექვს თებერვალს თავის ცხენით სამჭედლოსკენ. ის სხვალიო მოგზაურობის ფიქრებშია გართული. ის იყო აღმასკომის ბინას გაუსწორდა და ვიღაცამ ისეთი უთაქა უკანიდან, რომ მასწავლებელს თვალები დუბნელდა და მუხლები მოეკვეთა. ვერ მოასწრო კოსტამ სულის მობრუნება, რომ ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და სეტყვასავით წამოვიდა მუშტები, წიხლები და თოფის კონდახები.

„მიშველეთ", გაჰკიოდა ცივი ხმით მიწაზე განართხული ლომივით ვაჟკაცი კვარაცხელია და თვითონაც არ წარმოედგინა ვის წინააღმდეგ და რატომ ითხოვდა შველას. ამ ხმაურობაზე ახლო-მახლო მცხოვრები გლეხები გამოცვივდნენ. მათ შორის ცნობილი მოკრივე მასწავლებელი კაჭარავაც იყო. მან კოსტა ხმაზე იცნო და მაშინვე მიხვდა, რომ მის კოლეგას კარგი დღე 'არ ადგა. თან კაჭარავაც ჩვეულებისამებრ შეზარხოშებულიც იყო. ის გაექანა ამხანაგის მისაშველებლათ იმ ადგილას, საიდანაც კოსტას ცივი ხმა გამოისმოდა, ატყდა საშინელი თოფის სროლა. მშველელებს გამბედაობა აღარ ეყოთ და უკან დაიხიეს.

ამრიგათ მანამდი ურტყეს კოსტა კვარაცხელიას, სანამ გული არ იჯერეს. ბოლოს ადგილობრივი ხელისუფლებაც გამოჩნდა და მოჩხუბრები გააზავა... დაიწყო დაკითხვა. ერთი მხრივ კოსტა იდგა, დამტვრეული-გალეწილი პურის თაველივით და მეორე მხრივ სამი მოწყვეტილი ვაჟკაცი: ყოფილი მილიციელი კვარაცხელია და ეხლანდელი ჯგალელი მილიციელები: სარია და ლუკავა. დგას კოსტა მაგიდასთან და ცახცახებს ბრაზისაგან. როგორ „გამპარსეს" ულვაში, როგორ შემირცხვინეს ვაჟკაცობა. სად უნდა გამოვყო თავი ამის შემდეგ, ფიქრობს ის. მაგრამ მოწინააღმდეგე მიღწეულ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდა. დაკითხვა დუქანში სწარმოებდა. კოსტა ჯერ კიდევ ფიქრების ბურუსში იყო, როცა მის სახეში გაადინა ტყაპანი საინმა, შემდეგ შუშის ბანკამ, შემდეგ ჰიქამ და ასე თითქმის მთელმა შუშეულმა, რაც კი ახლო ელაგა, გადაიარა მასწავლებლის სახეზე. მართალია, ის საკმაოთ დაზელილი იყო, მაგრამ კოსტას ცხვირს იმდენი სიმაგრე კიდევ შერჩენოდა, რომ შუშეული სანახევროდ გადაამტვრა მას სახეზე.

აქამდე კოსტა გვერდებს ჩიოდა, ეხლა გვერდებს სახეც მიემატა, რომლისგანაც სისხლი ღვარათ გადმოდიოდა. და ყველაფერი ეს მოხდა ხელისუფლების თანდასწრებით, ყოველივე ამაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მილიციონერები.

როგორ ფიქრობთ, რამდენად დაცულ იქნება ისეთ ადმინისტრატორების ხელში ჯგალელი გლეხების მშვიდობიანი ცხოვრება?

კოკი.

ჩვენი თემის სატკივარი

([illegible])

ჩვენი თემის გლეხობის ნაწილი მუშაობს ტყიბულის მაღაროებში, ნაწილი კი ეწევა ხე-ტყის დამზადებას, რომელიც გააქვთ ქუთაისის ბაზარზე. ჩვენ გლეხებს მოჰყავთ აგრეთვე ღვინო და ხეხილი. ეს შემოსავალი ავსებს სიმინდის მოუსავლობის დანაკლისს.

მაგრამ ჩვენ თემს აწუხებს ერთი ყველაზე უმთავრესი რამ—ეს არის ქუთაისში მიმავალი საურმე გზა. ეს გზა ძალზე გაფუჭებულია, ისე რომ მგზავრობა ურმით შეუძლებელია. გლეხებს შეუძლიათ ხე-ტყის, ღვინო-ხეხილის ბაზარზე გატანა. თუ კი კარგ გზაზე ჩვენებური ხარი წაიღებს 35-50 ფუთს, ეხლა გზის გაფუჭების გამო არ შეუძლია რაც უნდა კარგი ხარები იქნეს წაიღოს 10-12 ფუთი; გარდა ამისა, მგზავრი ნაცვლად ერთი დღისა, ქუთაისში ჩასვლას უნდება ორი-სამი დღე.

ასეთი მდგომარეობით გლეხობა ძლიერ შეწუხებულია. გზის შეკეთება შეუძლებელია, თუ არ მოიკირწლა, რადგან მოუკირწლავად ახლად შეკეთებული გზა უარესად ტალახიანდება, ჩნდება ორმოები და შიგ ეფლება ხარები. აღსანიშნავია ის, რომ ამ გზით სარგებლობს მთელი ოკრიბა და ნაწილი რაჭა-ლეჩხუმისა.

ადგილობრივ აღმასკომებს ამ გზის გაკეთება არ ძალუძთ, რადგან საჭიროა რამოდენიმე ხიდისა და ბოგირების გაკეთება. საამისო თანხა თემებს არა აქვთ. საჭიროა ამ გზას ყურადღება მიაქციოს ქუთაისის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებმაც.

სევ. ბაბუხადია.

საბჭოთა არჩევნები

კულაკები ხელისუფლებას ეღლაუჭება

(წერილი გორის მაზრიდან)

გლეხი ხე მსჯელობს: თუ საბჭოში ავირჩიეთ სოფლის ბობოლა, სეზონის ვაჭარი და სხვა არა მშრომელი ელემენტი, ის არც სასოფლო-სამეურნეო აღწერას მოახდენს სწორათ, არც საზოგადო საქმიანობას შეუწყობს ხელს და არც უღარიბესი გლეხობისათვის იზრუნებს.

ბობოლა გლეხი არ მოინდომებს კოოპერატივის ხელის შეწყობას, აგრეთვე არც საკრედიტო ამხანაგობაში სესხის დარიგების დროს, იზრუნებს ღარიბებისთვის, და არც კოლექტიურ მუშაობას შეუწყობს ხელს.

თუ ზემო-აღნიშნული საზოგადო ორგანიზაციები მოეწყო კარგად, თავის თავად ცხადია, კულაკი ეკონომიურათ დამარცხდება.

ამიტომ ზოგიერთ სოფლებში არჩევნები პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლის სურათს მოგაგონებს. (ასეთი სოფლები ათეული არ არის, არამედ ასეული), ამიტომაა რომ არჩევნებს ესწრება 70—80—90 პროცენტამდე ხალხი.

კენჭის ყრის დროს, თუ კანდიდატი მიუღებელია, ცალ ხელში ბავშვის მჭერი, ქალიც კი, მეორე ხელის ქნევით იძახის: „არ გვინდა, არ ვარგა ეგ კაცი საბჭოს წევრათო" და სხვა.

იყო შემთხვევა, როცა სოფელ გარიჯვარში კულაკმა არჩევნების სამი დღით წინ დაპატიჟა ოცდაათი უღარიბესი გლეხი და სტუმრებს შვიდი ჩაფი სოფლის არაყი დაალევინა, და თან დაარიგა, აბა თქვენ იცით თუ ამომირჩევთ საბჭოშიო:

სოფ. არადეთში არჩევნების წინ კულაკებმა მოიყარეს თავი და მსჯელობდენ თუ როგორ უნდა გაეყვანათ თავიანთი კანდიდატები საბჭოში. იმ სოფელში არის 41 კომლი, ამათ შორის 21 კომლი კულაკია, მათ შორის არის ყოფილი პოლკოვნიკი იმხნელი.

ამ პოლკოვნიკმა გლეხის ქალი, გლეხკომის თავმჯდომარე, გალახა არჩევნების ორი დღის წინათ.

ასეთი შეურაცყოფა ყოფ. პოლკოვნიკმა იმიტომ მიაყენა გლეხის ქალს, რომ მან კამათის დროს იმხნელს უთხრა: „ეხლა მშრომელი ხალხის ხელშია ძალა-უფლება და არა პოლკოვნიკების და იმხნელებისაშიო.

ბატონ პოლკოვნიკს ასეთ თავხედობისათვის ხელისუფლების მიერ ლაგამი ამოედო.

არჩევნების დროს ამ სოფელში კულაკები დამარცხდენ და პოლკოვნიკი, რომელიც მათ სურდათ, ვერ გაიყვანეს საბჭოს წევრათ. მაგრამ დამარცხებული კულაკობა ბედს არ შეურიგდა. ისინი ბრუნდებიან სოფელში, იყრიან ცალკე თავს, ადგენენ სიას, სადაც თითქოს უფლების მქონე 70 სული აწერს ხელს და ასაჩივრებენ არჩევნებს.

მაგრამ გამოძიებით გამოირკვა, რომ ამ საპროტესტო ქაღალდს ხელს აწერდენ თვით რამდენიმე უკმაყოფილო კულაკებს გარდა მათივე მცირეწლოვანი ბავშვები. ცხადია კულაკებს ნახტომი არც აქ გაუმართლდათ.

მესამე ფაქტიც . სოფელ ყელქცეულში არის აქტიური გლეხი წეველიძე, რომელიც უღარიბეს და საშუალო გლეხობას გვერდში უდგას და ებრძვის კულაკურ და ბანდიტურ ელემენტებს. ამავე სოფელში არიან იმავე გვარის შეძლებული გლეხები წეველიძეები და ბეროზაშვილები. ამ ვაჟბატონებს ნორმაზე მეტი მამული ჩამოერთვა, მაგრამ გამართული გუთნები მაინც დარჩათ. ისინი კიდევ გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ ვიდრე სხვები. ასეთი ყმაწვილები რასაკვირველია არ აირჩიეს საბჭოს წევრათ, რითაც ძალიან უკმაყოფილონი არიან და ტყუილ-უბრალოთ ცდილობენ აქტიურ გლეხს მოსცხონ რამიე ჩირქი.

აქტიური გლეხი წეველიძე, არის გლეხკომის თავმჯდომარე, რომელსაც მოუგონეს, ვითომც მან გაფლანგა გლეხკომის ქონება, რის გამოც დაინიშნა რევიზია. რევიზიამ გამოარკვია, რომ არაფერი ამის მსგავსი არ არისო.

სხვათა შორის აღსანიშნავია კულაკობის ცდა გლეხების თავის მხარეზე გადასაპირებლად. ისინი ხელისუფლებას უყენებენ შეუსრულებელ მოთხოვნილებებს, რომ მოიგონ გლეხების გული:

აგვიშენეთ სკოლა, მოგვეცით მასწავლებელი, გაგვიკეთეთ აბანო, მოგვეცით ექიმი, გაგვიყვანეთ კოოპერატივი და შემდეგ წევრად ჩავეწერებით, მოგვეცით გრძელ-ვადიანი სესხი, გაგვიკეთეთ ლიახვზე, მტკვარზე, ფშანზე, მეჯუდაზე და სხვაგან ხიდები და სხვა, ერთი სიტყვით, გინდა არ გინდა დღესვე ბოლო მოუღე სოფლის ყველა სატკივარს.

მიუხედავათ ასეთი ფანდებისა, მშრომელ გლეხებმა კარგათ აუღეს ალღო კულაკების გამოსვლებს და ისინი მიმდინარე არჩევნებში ყველგან გარიყულნი და დამარცხებულნი დატოვეს.

ვ. ქურდაძე.

რა დაევალა ახალ აღმასკომს

(ტყვიავი, გორ. მ.)

საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით ტყვიავის თემ-საბჭომ 25 თებერვალს აირჩია ახალი თემაღმასკომი. ახალ საბჭოს პირველ სხდომაზე გამოირკვა, რომ ძველს საბჭოს ბევრი საკითხი გაურჩევია, მაგრამ სისრულეში კი ბევრი ამ საკითხთაგანი არ ყოფილა მოყვანილი.

მაგ. ყველა სოფლის წისქვილებში ადგილი ჰქონია საფქვავის ქურდობას. ერთ კოდ ხორბალს ხშირად აკლდება 2 ჩანახი და მეტი. საბჭომ დაადგინა რათა ამ მოვლენას საჩქაროთ მოეღოს ბოლო წისქვილებში სასწორების დადგმით და ერთიანი ზომის სამინდის შემოღებით.

სოფლის გზები მეტად ცუდ მდგომარეობაში ყოფილა ალაგ-ალაგ და მოითხოვენ მის შეკეთებას გლეხების ამუშავებით.

ტყვიავის თემის ოდესღაც სამაგალითო გლეხკომი ამჟამათ მიძინებული ყოფილა. ახალ აღმასკომს დაევალა, რათა სათემო გლეხკომს გაუწიოს შესაფერისი ხელმძღვანელობა.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის, და სათემო აღმასკომის ტეხნიკური თანამშრომლები გლეხობას ძლიერ გულგრილათ ექცეოდენ, რის გამოც საკრედიტო ამხანაგობიდან წევრები გადიოდენ და ახლები უარს ამბობდენ ამხანაგობის წევრობაზე. აღმასკომს დაევალა ამ საქმის მოვარება.

თემის თითქმის ყოველ სოფელში გლეხებს დაუწყია სკოლის შენობის აგება, რომელიც შენდება უგეგმოთ და სთხოვენ მაზრას, რათა მან თავისი ტეხნიკის საშუალებით შეუდგინოს სოფელს გეგმები და ხარჯთ-აღრიცხვა.

ლიკსკოლებში არ დადის მოსწავლეთა 25 პროც. ამის შესახებ საბჭომ დაავალა აღმასკომს, რათა ქოხ-სამკითხველოების საშუალებით უფრო მეტი მუშაობა გაწიონ მოსწავლეთა შორის, რომ დაჩქარდეს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა.

ტყვიავის თემს ყავს საკუთარი აგრონომი, მაგრამ ლექციების და საუბრების კითხვას გლეხები გაურბიან. ახალ აღმასკომს დაევალა, მოაწესრიგოს საქმე აგრონომთან შეთანხმებით.

ვინაიდან თემი ძლიერ დიდია და ერთი ექიმი ვერ სწვდება ყველა სოფლებს, ამიტომ ახალ აღმასკომს დაევალა რათა ექიმისათვის სოფლელთა ხარჯზე შეიძინოს ერთი ცხენი.

სოფ. ტყვიავში არსებობს სამიკიტნო, სადაც გამუდმებით უკრავს დოლი და გარმონი და მთელი თემის ახალგაზრდობა უკანასკნელ კაპეიკს ამ სამიკიტნოში ხარჯავს. აღმასკომს დაევალა ამ სამიკიტნოში დოლ-გარმონის აკრძალვა და თუ კიდევ განმეორდება ასეთი, მაშინ კი სრულიად დაკეტვა.

კოსი.

პირველი შედეგები

(ლეჩხუმის მაზრა)

ჯერ-ჯერობით არჩევნები დამთავრებულია უბნებში: ცაგერის, ნაკურალეშის, ოყურეშის, ზუბის, ლასურიაშის, ლეხვირის, ორბელიას და ალპანის თემებში, სხვაგან არჩევნები უნდა დამთავრდეს 5 მარტამდის.

საარჩევნო უწყება გლეხებმა სამი ოთხი დღით ადრე მიიღო.

კრებები დასამხარ ადგილებზე ეწყობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმისათვის, როგორც უგზო მაზრისათვის.

საარჩევნო ყრილობებს ესწრება ამომრჩეველთა 65—80 პროცენტი. მათ შორის ერთი მესამედამდის ქალებია.

ყრილობებზე ადგილობრივი საბჭოს გარდა მოსმენილი იყო სამაზრო აღმასკომის მოღვაწეობის ანგარიშიც. მაზრის ხელისუფლების ასეთ დაახლოებამ კმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში.

გლეხები დიდ სიფრთხილეს იჩენდენ კენჭის ყრის დროს. ააშკარავებდენ ზოგიერთ ძველ საბჭოს წევრების უმოქმედობას.

ლეონ. ყუხაშვილი.

შარშანდელი მაგალითი არ განმეორდება

(ძველი აბაშა, სენ. მ.)

შარშან ჩვენს თემში არჩევნების დროს ხელმძღვანელობა სუსტი იყო. ამის შედეგი იყო ის, რომ საბჭოში შემოგვეპარა ორიოდე კულაკი ელემენტი, რომლებიც რასაკვირველია, ვერ დაიცავდენ და არც იცავდენ მშრომელი ხალხის ინტერესებს;

წელს არჩევნებისათვის წინასწარი კამპანია ჩვენს თემში უკვე დამთავრდა. მშრომელი გლეხობა დიდი ხალისით ესწრება კრებებს და ცდილობს არ დაასახელონ ისეთები, რომლებიც არ დაიცავენ ხელისუფლების კანონებს და ვერ გაამართლებენ საბჭოს წევრის სახელს.

პერო.

[illegible] უნდა გაიუმჯობესდეს

(წერილი გურიიდან)

სოფ. ჯაპანა (გურია), გულეკარი (სენაკის მაზრა) და ქორეის უბანი (ქუთაისის მაზრა) ამ სამი სოფლის მცხოვრებლებს, ყველას ყვითელი ფერი აკრავს. ხსენებულ სოფლებში იხოცება ორჯერ მეტი, ვიდრე იბადება. მიზეზი ერთია. ამ სამ სოფელ შუა მდებარეობს ტბა „ნარიონალი", რომლის სიგრძე 7 ვერსია, სიგანე 100 საჟენი. მისგან ჩნდება მალარია, რომელიც ანადგურებს მოსახლეობას.

სამივე სოფლების გლეხებმა არა ერთხელ სცადა მეფისა და მენშევიკების ბატონობის დროს მიეღო დახმარება მთავრობიდან სნეულების გამავრცელებელ ტბის ამოსაშრობათ.

უკანასკნელათ, ამ ორიოდე წლის წინათ, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ჩვენს აუტანელ მდგომარეობას ყურადღება და საერთო ძალით შეუდექით ნარიონალი ტბის გაწმენდას. მაგრამ დამთავრდა მხოლოდ ნახევარი თხრილის გაჭრა. საქმე დღეს სანახევროთ დაუსრულებელია. სოფლებს ამით არავითარი შეღავათი არ მისცემია. ავადმყოფობა ძველებურათვე გავრცელებულია და მუსრს ავლებს მცხოვრებლებს. საჭიროა დაწყებული საქმე დამთავრდეს. ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება დაჩქარებით. თვითეული თვე ათეულ ადამიანის სიცოცხლეთ უღირს ამ სამ თემს.

ღარიბ გლეხებს არ შეუძლიათ მოსცილდენ ნარიონალის ახლო ადგილებს, რადგან სიმინდის მოსავალი კარგი იცის.

აქაური მასწავლებელი.

ახმეტის რკინისგზა

(თელავი)

თუმცა კახეთის რკინისგზის გაყვანა პირველადვე განზრახული იყო ახმეტამდე, მაგრამ მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი და ის თელავის ზევით არ წასულა.

ახმეტის რაიონი განთქმულია ლიტოგრაფიული ქვის მადნით, რომელიც არა ერთხელ გამოუკვლევიათ და სპეცების სიტყვით ბევრათ უკეთესია ბავარიის ქვაზე. ახმეტა მდიდარია აგრეთვე ტყით, რომელიც უგზოობის გამო დღესაც ხელუხლებელია.

ჯერ ისევ შარშან საგანგებო კომისია იყო დანიშნული ამ რაიონის ტყეების გამოსარკვევად. კომისია ამ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ რაიონში შეიძლება გამზადდეს დიდძალი რიცხვი შპალებისა, მხოლოდ უგზოობა უშლიდა ხელს.

ეს დიდი ნაკლი ეხლა თავიდან აცილებულია. რკინისგზის გამგეობას გადაუწყვეტია ახმეტის რკინისგზის საჩქაროდ გაყვანა და მუშაობასაც ამ ახლო ხანში შეუდგებიან.

ვან—ლი.

პასუხად „მეთვალყურეს"

გაზ. „კომუნისტის" 26 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ს. მუხრანიდან (დუშ. მ.), სადაც ვინმე „მეთვალყურე" ბრალს სდებდა ადგილობრივ ოთხწლედის მასწავლებელ ვლ. მასხარაშვილს, მოწაფეებისადმი ცუდ მოპყრობაში. კორესპონდენტი სწერდა, რომ მასხარაშვილი [illegible] სცემს ბავშვებს და უდიერი სიტყვებით უმასპინძლდება მათ.

საგანგებოთ დანიშნულ კვლევა-ძიებამ, რომელიც მოხდა ადგილობრივ, გამოარკვია, რომ „მეთვალყურის" ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს და წერილი პირადი ანგარიშის გასწორებას ისახავს მიზნათ.

კომისია.

ღარიბი გლეხობა ირაზმება

(ნაგვაზაოს თ., სიღ. მ.)

რაში უნდა გამოიხატებოდეს ძველი საბჭოს საქმიანობა, როდესაც გზები ითხოვს შეკეთებას? [illegible] სკოლა, სამკითხველო, სახალხო სახლის შენობა უყურადღებოდ არის მიტოვებული?

ერთხმათ საბჭოს უმოქმედობა [illegible] აღინიშნა. მან [illegible] წინაშე მშრომელი გლეხობის უმრავლესობა, რომ მომავალში მაინც გამოსწორდება [illegible] ერთხელ დაშვებული შეცდომა [illegible] საბჭოში გაუყვანია [illegible] და საქმიანი ელემენტები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. წინასწარი საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო მაზრის წარმომადგენელი, ცუდ პირობებში ჩატარდა. საშინელი [illegible] დღე იყო. ცივი ქარის სისინი ხელს უშლიდა [illegible] გლეხების შეკრებას. კრებას არ დაესწრო ბევრი ღარიბ გლეხთა დიდი უმრავლესობა.

არჩევნების დღეს ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ან. ბუღაძე.

რას ვავალებთ ახალ საბჭოს

(ზომლეთის თ., გურია)

ძველი საბჭოს მუშაობა, არ იყო დამაკმაყოფილებელი. ეს აღინიშნა ამომრჩევლებმა 25 იანვრის კრებაზე საბჭოს ანგარიშის მოსმენისას და საქმიანობის გადასინჯვის დროს.

გლეხები ძლიერ გულნაკლულნი არიან ძველ საბჭოს წევრებზე და ცდილობენ [illegible] საბჭოში გაიყვანონ ისეთი პირები, რომლებიც გაამართლებენ მათ იმედებს.

ახალ საბჭოს ამომრჩევლები ავალებენ შემდეგ საქმეების მოგვარებას: თემის ცენტრში სახალხო სახლი აშენდეს, სოფ. [illegible] სკოლის შენობის აგება, სოფ. [illegible] სკოლის შენობის დასრულება, სოფ. [illegible] სამკითხველოს დასრულება, კოოპერატივის გაძლიერება, ტყის დაცვა, ღელეებზე მუდმივი ხიდების გაკეთება, გზების შეკეთება და სასტიკი ბრძოლა ძველ ადათ-ჩვეულებებთან, როგორიც არის ქელეხი, დღეობები და სხვა უთავბოლო ხარჯები.

კომუნისტები არჩევნებში ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას და მოქალაქეთ უხსნიან საბჭოს მნიშვნელობას. სოფლის ინტელიგენციაც ცდილობს ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

გოჩა.

სად დასრულდა არჩევნები

თბილისის მაზრა

— კოჯორის თემში დასრულდა საბჭოს არჩევნები. 3 სასოფლო საბჭოში არჩეულია 56 წევრი, მათ შორის 5 ქალი. 28 თებერვალს შედგა თემის საბჭოს პირველი სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა აღმასკომი 7 წევრისაგან, მათ შორის 3 კომუნისტია.

სენაკის მაზრა

— ბერის თემის საბჭოში არჩეულია 9 წევრი, მათ შორის 1 კომკავშირელი და 8 უპარტიო.

— ეცერის თემსაბჭოში აირჩიეს 9 წევრი, მათ შორის 2 კ. პ. კანდიდატი, დანარჩენი უპარტიო.

— იფარის სათემო საბჭოში აირჩიეს 11 წევრი, მათ შორის 2 კ. პ. კანდიდატი, დანარჩენი უპარტიო.

— ლაბახუმის თემის საბჭოში არჩეულ იქნა 5 წევრი, მათ შორის 2 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო.

— ცხუმარის თემსაბჭოში აირჩიეს 5 წევრი, მათ შორის 2 კომკ., 3 უპარტიო. არჩეულთა შორის 1 ქალია.

ლეჩხუმის მაზრა

— დღნორის თემსაბჭოში აირჩიეს 33 წევრი, მათ შორის 9 კომ., 22 უპარტიო, აქედან 3 ქალი.

შორაპნის მაზრა

— კორბოულის სათემო საბჭოში აირჩიეს 86 წევრი, მათ შორის 6 კომ., 1 კ. კანდ., 79 უპარტიო, არჩეულთა შორის 4 ქალი.

— ხარგვეთის თემის საბჭოში აირჩიეს 42 წევრი, მათ შორის 15 კომ., 5 კომკ., 22 უპარტიო, აქედან 6 ქალი.

— ძირულის სათემო საბჭოში აირჩიეს 20 წევრი, მათ შორის 3 კომ., 1 კომკ., 16 უპარტიო, აქედან ერთი ქალი.

— შროშის თემსაბჭოში არჩეულ იქნა 26 წევრი, მათ შორის 1 კ. პ. კანდ., 3 კომკ., 22 უპარტიო, არჩეულთა შორის 2 ქალი.

ზუგდიდის მაზრა

— ხიბულის თემსაბჭოში აირჩიეს 12 წევრი, მათ შორის 3 კ. პ. კანდ., 1 კომკ., 8 უპარტიო.

სიღნაღის მაზრაში

— მაღაროს თემსაბჭოში აირჩიეს 35 წევრი, მათ შორის 28 კომ., 5 კომკ., 22 უპარტიო, აქედან 4 ქალი.

— ყარაჯალის თემსაბჭოში არჩეულ იქნა 25 წევრი, აქედან 12 კომ., 12 უპარტიო, 1 ქალი.

— [illegible] თემსაბჭოში აირჩიეს 62 წევრი, მათ შორის 18 კომ., 6 კომკ., 38 უპარტიო, აქედან 1 ქალი.

ყველა თემის საბჭოებში არჩევნებში [illegible]

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რედ.

მუშათა ცხოვრება

კვირას, 7 მარტს, ჩვენი რედაქციის ახალ ბინაზე, კამოს ქუჩა, № 68 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.), დილის ცხრა საათზე.

დანიშნულია „კომუნისტი“-ს მუშკორების საგანგებო კრება. მუშკორებისათვის დასწრება სავალდებულოა

დამსახურებულ მუშა-მსახიობს ნუ დავივიწყებთ.

(წითელი თეატრის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ).

გიორგი ნიკოლოზის ძე ჯაბაურს რკინის გზის ყველა მუშები იცნობენ. იცნობენ მას, როგორც სახალხო თეატრის ერთ მოღვაწეთაგანს და მის დამაარსებელს სწორედ იმ ხანებში, როდესაც თვითმყრობელობის მაჯლაჯუნა და მისი დამქაშები ხალხს პირში ბურთს სჩრიდენ და თავისუფალი სიტყვა და პრესა ყოველი მხრიდან დახშული იყო; ყველაფერი იდევნებოდა მუშის წრიდან გამოსული, მხოლოდ აქა-იქ ჩუმად თუ ანათებდა ხალხის გათვითცნობიერებისათვის ანთებული ლამპარი და გზას უკაფავდა მას კულტურულად აღზრდის საქმეში.

აი ერთი ასეთი სახალხო მოღვაწეთაგანია მასიურ თეატრის და მისი აღორძინების საქმეში მუშა-მსახიობი გიოგი ჯაბაური. ის სახალხო თეატრის საქმეს ჩაუდგა 1890 წელში და მას შემდეგ დღევანდლამდე ერთი დაუღალავი თეატრის მუშაკთაგანია, რომელსაც 35 წლის განმავლობაში მუშური თეატრის იდეების გავრცელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ის დღესაც წითელი თეატრის სექტორის მსახიობთა შორისაც ითვლება და შესაფერ პიესების წარმოდგენებშიაც მონაწილეობს; აგრეთვე ის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სადურგლო ცეხის მუშათაც ირიცხება. გიორგი ჯაბაური ღირსია, როგორც დამსახურებული მუშა-მსახიობი, 35 წლის მოღვაწეობის იუბილეის გადახდისა.

გიორგი ჯაბაურის შესახებ პასუხისმგებელი ამხანაგები თანხმობას აცხადებდნენ, რომ მას იუბილეის გადაუხდიან. ამისათვის საჭიროა შესდგეს საინიციატივო კომიტეტი წითელი თეატრის ხელმძღვანელობით და ეს საქმე მოგვარდეს, რომ მუშათა კლასმა დააფასოს გ. ჯაბაურის 35 წლის სათეატრო ასპარეზზე მოღვაწეობა, სანამ ზამთრის სეზონი არ გათავებულა. იმედია, ქალაქის აღმასკომი, ამხ. ყურულაშვილი და ხელოვნების მთავარი კომიტეტიც მიაქცევენ ამ საკითხს ყურადღებას.

მუშკორი ყ—ნი.

ჩვენც გვეკუთვნის თქვენი ყურადღება.

(მთავარ სახელ. კომიტეტის საყურადღებოდ).

მთავარი სახელოვნო კომიტეტი უნდა განაგებდეს, როგორც ვიცით, თეატრებს—ოპერისას და რუსთაველისას. ნამდვილად კი ეს კომიტეტი არსებობს მხოლოდ ოპერისათვის და არა დრამისათვის; რუსთაველის თეატრი კი წელს, მიუხედავად იმისა, რომ დიდათ გაიზარდა შემოსავლის მხრივ შარშანდელთან შედარებით, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა მაინც გაუარესდა: დღიდან სეზონის გახსნისა ჩვენი ჯამაგირების მდგომარეობა გამოურკვეველია. მართალია, ჯამაგირების ნუსხის თანახმად ჩვენ 1-ლ იანვრამდე დაკმაყოფილებული ვართ, მაგრამ ვაი ამისთანა დაკმაყოფილებას. აქ ჯამაგირები რიგდება ასე: იძლევიან ყოველდღიურად—ხან კვირაში ორჯერ-სამჯერ 10, 5, 3, 2 და ხშირად თითო მანეთსაც. შემდეგ ყველა ამას უკეთებენ ჯამს და მეორე თვეში წინა თვის ნუსხაზე ხელს გვაწერინებენ. ამ მიზეზით რუსთაველის მუშა-მოსამსახურენი და მსახიობნი უკიდურეს მდგომარეობაში ვართ. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ოჯახში ცოლშვილთან შევიტანოთ რამე. ვალები ხომ არ გვცილდება და არა. და როდესაც ამ ვალს გვიქვითავს ბუჰგალტერია, ეს ფული არ მიდის დანიშნულებისამებრ. შარშანდელი სინდიკატის ვალები განმეორდა ამ სეზონშიაც: მაგ., „კამვოლნი ტრესტის“ ვალები, რომელიც ჩვენ დაგვიჭირეს ნოემბერში, არ იქნა დროზე შეტანილი, რის გამო ტრესტის ადმინისტრაცია უკმაყოფილოა ჩვენზე, თუმცა ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ.

როდესაც წინეთ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობაზე რაიმეს დავილაპარაკებდით, გვიპასუხებდნენ: ორდერი მზად არის, მხოლოდ ხელის მოწერა აკლიაო ახალი მიზეზი გამოჩნდა—რუსთაველის თეატრი უნდა გამოეყოს საოპეროს და ამიტომ გვიანდება ფულიო.

მუშა-მოსამსახურეთა და მსახიობთა ზურგზე და თითო მანეთების წამოგდებით, მთავარი სახელოვნო კომიტეტი სეზონს ვერ დაამთავრებს, როგორც წესი და რიგია.

ადგილობრივი მოსამსახურე.

ტეხნიკური ძალების მდგომარეობა გაუმჯობესდა.

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა ბიუროს ცნობით, საინჟენერო-ტეხნიკურ ძალების ეკონომიური მდგომარეობა რესპუბლიკაში საერთოდ გაუმჯობესდა.

ამჟამად ყველაზე კარგ ხელფასს იღებენ გზატკეცილების და სამთამადნო ინჟენერები, ნაკლებ გასამრჯელოს — ელექტრო-ტეხნიკურ და ლითონის სპეციალობაზე მომუშავე ინჟენერები.

ბიუროს საწარმოო თათბირები ყველაზე კარგად მუშაობენ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში და ლითონის მრეწველობის წარმოებებში. მელითონეთა სექციამ განიხილა საკითხი მუშკოოპის პურის საცხობების მექანიზაციის შესახებ და მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ლითონის ტრესტის ჩამომსხმელ ცეხის განვითარების საკითხის განხილვაში.

თბილისში და ჭიათურაში სექციის წევრები მუშებს უკითხავენ პოპულიარულ ლექციებს.

ჭიათურაში ინჟენერების მონაწილეობით მოეწყო გეოლოგო-მინეროლოგიური მუზეუმი.

ფროლოვსკი.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

დეფექტები აღმოფხვრილია

„კომუნისტი“-ს მე-23 ნომერში სათაურით: „დაიცავით სისუფთავე“. მოთავსებულ წერილის შესახებ სანიტარულ ექიმის არდაზიანის მიერ მიღებულ ზომებით აღნიშნულ წერილში დეფექტი აღმოფხვრილია.

მიღებულია სათანადო ზომები

„კომუნისტი“-ს მე-16 ნომერში სათაურით: საშიშროებას წარმოადგენს“ მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ აღნიშნული სახლის ტეხნიკური მდგომარეობის გამორკვევა დაევალა სატეხნიკო-საკონტროლო კომისიას, რის შემდეგაც საქმეს მიეცემა სათანადო მსვლელობა.

აქაც მოუსპეთ სიბინძურის ბუდე

„კომუნისტი“-ს მე287 ნომერში სათაურით: „აუტანელ სიბინძურეში დავიტანჯეთ“ მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ ყოფილი ბინის ქვეშ თავლა გადატანილია სხვა ადგილას.

საქმისადმი გულგრილობას არავის ვაპატიებთ

„კომუნისტი“-ს წ/წ 7/12 მე-1555 ნომერში სათაურით: „გვიჩვენეთ გამოსავალი გზა“ მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ მართალია სასაკლაოს მუშა-მოსამსახურენი დიდ გაჭირვებას განიცდიან ტრამვაის უდროვოდ მისვლა-მოსვლით სამსახურის გათავების შემდეგ, რადგანაც უხდებათ ან ცდა 1—2 საათამდის, ანაც ფეხით სიარული, რაზედაც ჩვენ არა ერთხელ გვქონია აღძრული სათანადო მიწერ-მოწერა. მაგრამ შენიშვნაში ნაგულისხმევია სამსახურიდან კი არა, არამედ სამსახურში სიარული დილით, როდესაც დილის 6½ საათიდან დამოკიდებული დილისავე 10 საათამდის რეგულიარულად დაიარება ტრამვაი თვითონ სასაკლაოებამდის, რის გამო ყველა მხნე და სამსახურში მუყაითი მომუშავე თავის დროზე ცხადდება სასაკლაოებში მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი მათგანი ერთობ შორსა სცხოვრობს. მაგრამ არის რამდენიმე ისეთი მომუშავეც, რომლებიც სისტემატიურად იგვიანებენ მაშინ, როდესაც ესენი სრულებითაც არ არიან რამე განსაკუთრებულ პირობებში. ამგვარი პირებისათვის შრომის ინსპექტორის მიერ დამტკიცებული შინაგან წესრიგით გათვალისწინებულია ჯარიმება, რომლის ძალითაც ჯამაგირიდან ერიცხებათ იმდენივე, რამდენიც უნდა მიეღოთ დაგვიანებული დროის რაოდენობით.

ალმასკომის საინფორმაციო მაგიდის გამგე: ვარდოსანიძე.

ქრონიკა

კომუნარების ბაღი

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა კომუნარების ბაღის (ყოფ. ალექსანდრეს) გაშენება-გამშვენიერებას.

4 მარტიდან ბაღი დაიკეტა საზოგადოებისათვის და დაწყებულია სხვადასხვა სამუშაოებები. ძველი ხეები და სხვა უვარგისი მცენარეები მოთხრილი იქნება და მათ მაგიერ დარგვენ ახალ მცენარეებს.

ბაღში მოაწყობენ ბავშვთა სათამაშო მოედნებს, საორკესტრო კარავს და ააგებენ აგრეთვე საზაფხულო ბიბლიოთეკას.

ბაღის გადასაკეთებლად გადადებულია 13,000 მან. და მისი ხელახალი გახსნა განზრახულია მუშათა საერთაშორისო დღისათვის—1 მაისს.

თბ. აღმასკომში

◆ **ბამბის ქარხანა.** თბ. აღმასკომმა საქ. საბამბო კომიტეტს დიდუბეში გადასცა დიდი ნაკვეთი მიწა, ახალი ბამბის ქარხნის ასაგებად.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ვაშლის გატანა.** მოსკოვსა დალენინგრადში წარმოკავშირმა გაგზავნა გორის მაზრაში დამზადებული 8 რონოდა ვაშლი.

◆ **მუშათა მთლიან კოოპერატივმა** მალაკანის ქუჩაზე გახსნა 3 მაღაზია.

ბრძოლა მავნებლებთან

◆ **მავნებლების წინაალმდეგ** მებრძოლი ბიურო შეუდგა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას საქართველოს სხვადასხვა მაზრებში.

◆ **წამლეულობა.** მავნეებთან წინააღმდეგ მებრძოლმა ბიურომ საზღვარგარეთ შეიძინა წამლეულობა და ხელსაწყობი მავნებლების საწინაღმდეგო ბრძოლის საწარმოებლად.

თბ. დამზღვევ სალაროში

◆ **დახაზღვევი თანხა.** თებერვალში დამზღვევ სალაროს წარმოება-დაწესებულებიდან მუშა-მოსამსახურეების დასაზღვევ პროცენტების სახით შემოუვიდა 323,739 მან.

◆ **დაზღვეულთა შორის** ახალდაბადებულთათვის დახმარების გასაწევათ სალარომ თებერვალში გაიღო 10,271 მან.

საბინაო მშენებლობა

◆ **სესხი საბინაო მშენებლობისათვის.** ცენტრ. კომუნალურმა ბანკმა თბილისში მუშათა საბინაო მშენებლობისთვის გადასდო 175 ათასი მან.

◆ **საბინაო კოოპერაციას** მიმდინარე წელს თბილისში სახლების ასაგებად განზრახული აქვს დახარჯოს 800.000 მან.

◆ **საბინაო-საიჯარო ამხ-ბა.** ამჟამად თბილისში არსებობს 200 საბინაო-საიჯარო ამხ-ბა.

◆ **საამშენებლო მასალების მაღაზია.** თბილისში ამ დღეებში გაიხსნება საამშენებლო მასალების კოოპერატივი, რომელშიაც იქნება მუშათა სახლებისათვის საჭირო ყოველგვარი საამშენებლო მასალა.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის კოლექტივებში.** საქ. შრომის სახ. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში შრომის კოლექტივების დაარსებას.

◆ **საზოგადო სამუშაოები.** საზოგადო სამუშაო, რომელთაც თბ. აღმასკომმა მოაწყო შრომის კომისარიატთან ერთად ვერის ხიდიდან საქართველოს სამხედრო გზაზე გზატკეცილის გასაყვანად, თითქმის სავსებით დამთავრებულია.

სახალხო განათლება

◆ **განათლების კომისარიატმა** აცნობა ყველა სამაზრო განათლების განყოფილებებს და სკოლის გამგეებს, რომ ს. ს. ს. რ. ტერიტორიალურ სამმართველოს განკარგულების თანახმად 1905 წ. დაბადებული მოწაფეები განთავისუფლებული არიან სამხედრო ვარჯიშობისაგან.

◆ **თბ. შრომის სკოლებთან** არსებულ საბავშვო სკოლებში (ნულის ჯგუფებში), ამჟამად ირიცხება 34,725 ბავშვი.

საგარეო ვაჭრობა

◆ **საქონლის გატანა.** საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში ა. კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთ სულ გაიტანა 3,120,000 მან. სხვადასხვა საქონელი. მათ შორის 2,316,600 მან. საკუთარი საქონელი.

◆ **აბრეშუმის პარკის გატანა.** 25—26 წ. პირველ მეოთხედში ა. კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა იტალიაში გაიტანა 352,400 მან. აბრეშუმის პარკი.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს, 6 მარტს, საღამოს 7½ ს. შესდგება მორიგი ლექცია, პროფ. გ. ნათაძის საზოგადოებად მეტყველებაზე. საღამოს 8 საათზე ამხ. მარიამ ორახელაშვილი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქალთა საერთაშორისო დღე“.

მოხსენების შემდეგ მოეწყობა კინო-სურათი „მუსულმანის ქალი“.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 7 მარტს, დღის 12 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება„ რომელზედაც წაკითხული იქნება ინჟ. გ. გედევანიშვილის მოხსენება „ჩათახის ოჯახის შესახებ“. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

შემთხვევები

◆ **ტრამვაის დაჯახება.** 3 მარტს რიყის ქ. № 47 სახლთან მიმავალ ურემს დაეჯახა ტრამვაის რონოდა და დაამტვრია ურემი. აგრეთვე დააშავა მეურმე ურთუგაშვილი.

◆ **შეპყრობა.** 3 მარტს შეიპყრეს ქურდები: ვასილ კუზნეცოვი და სოფიო ვულკოვა.

◆ **ქურდობა.** 3 მარტს დღმ. № 6 გაქურდეს მრეცხავთა შრომის კოლექტივის სამრეცხველო. წაღებულია 1000 მან. ნივთები.

ამავე დღეს ანასტასიევის ქ. № 19 გაქურდეს ონისია ედუსის ბინა. ეჭვით შეიპყრეს მარიამ მიჩკოვა.

ამავე დღეს მე-7 სამილიციო უბანში გაქურდეს სარქის ხორაბიანის ბინა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„მეფის საცოლე“

რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში ორკესტრს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მუსიკა დეტალურად ამუშავებს გრიგორი გრიაზნოის—ოპერის ცენტრალურ ფიგურის სახეს. მსახიობი მიგაი მხედველობაში იღებს ამ პარტიის კარდინალურ მხარეს. მსახიობი სცენიურად თავიდან ბოლომდე ერთნაირ სიმაღლეზე ვერ სდგას. იქ, სადაც მსახიობი თავს ანებებს პოზიორობას—ის კარგია და პირიქით. კარგი იყო პირველი მონოლოგი.

კარგი იყო სცენა ექიმთან. მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ მსახიობს მე-3 აქტის პირველი სცენის შესრულებაში. ვინაიდან გრიაზნოის, როგორც გამოცდილმა სასახლის [illegible] არ უნდა შეიმჩნიოს მღელვარება და სასოწარკვეთილება მარფას მეფის საცოლეთ გამოცხადების მომენტში. კარგი იყო მე-4 აქტის 1 სცენაში სობაკინთან — მეფის საცოლეს მამასთან, მაგრამ მოქმედების განვითარების დროს მსახიობი მიმართავს პოზიორობას და მელოდრამატიულ ხერხებს. მსახიობის ხმა საკმაოთ ძლიერია. მიმიკა კარგია იქ, სადაც მსახიობი არ მიმართავს პოზიორობას,

მარფას პარტიას ასრულებდა სტეფანოვა, რომლის ხმა ლირიული სოპრანო სავსებით შეეფერება ამ პარტიას, მარფას მოთხრობა სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. აქ საჭიროა მეტი სიმარტივე. მსახიობ ქალს მიჰყავს სცენა ორკესტრის აკომპანიმენტის ქვეშ, რაც ერთგვარ მოფიქრების დაღს აჩენს მის შესრულებას. კარგი იყო საქმაროსთან შეხვედრის სცენა. საუცხოვო იყო ჭკუაზე შეშლის სცენა. კარგი იყო აგრეთვე დიალოგი გრიაზნოისთან.

ხინიცკი ვერ იძლევა ახალგაზრდა „ბოიარინის“ შორეულ სახესაც კი. მას აკლდა მუსიკალობა და სულიერი განწყობილება მე-3 აქტში.

კარგი იყო სცენიურის და ვოკალურის მხრივ ილიინი.

პ. ბ.

თამარ წერეთლის კონცერტი

რუსთაველის თეატრის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა რუსეთიდან ჩამოსულ თამარ წერეთლის კონცერტი. ბოშური რომანსების მღერა წარმოადგენს ვოკალურ შესრულების სრულიად განსაკუთრებულ დარგს და მოითხოვს შესრულების სპეციალურ ჟანრს. თამარ წერეთელი ერთად-ერთი ქართველი მომღერალი ქალია ამ დარგში და უნდა ითქვას მშვენივრად აქვს დამუშავებული ვოკალური მხარე. ხმა მდიდარია, ლამაზი ტემბრის.

კონცერტზე მონაწილე სკრიპკაზე დამკვრელმა ქალმა სარრა მაკსტმანმა გამოიჩინა კარგი ტეხნიკური მომზადება, მაგრამ ის არ იცნობს კლასიკების სტილს, რადგან არ შეიძლება გენდელის ნაწარმოების შესრულება სალონურ სტილით.

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **თამარ წერეთლის კონცერტი.** შაბათს, 6 მარტს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება თამარ წერეთლის მესამე კონცერტი.

◆ **„ტრილბი“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „ტრილბი“.

◆ **„ღალატი“.** ახლო ხანში ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „ღალატი“, საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ **ახალი რომანსი.** დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა ზაქ. ფალიაშვილის ახალი რომანსი „ახალ აღნაგო სულო“. გამოცემა „მუზმრეწვის“.

◆ **ახალი სურათები.** მიმდინარე წელში სახელმწიფო კინო-მრეწველობა გამოუშვებს 9 ახალ სურათს; აქედან ორი უკვე გამოშვებულია, ორიც მზათაა საჩვენებლად.

◆ **დუო ბორხარდსის გასტროლები.** ცირკში დაიწყო ბერლინის ცირკის მსახიობების დუო ბორხარდსის გასტროლები.

◆ **ახალი ოპერა.** შ. თაქთაქიშვილმა დასწერა ახალი ოპერა: „განთიადი“. ოპერის განსახილველად დაარსებულია სპეციალური კომისია.

◆ **№ 21 ჯვრით“** დაიბეჭდა და ახლო ხანში გამოვა ცალკე წიგნათ ია ეკალაძის „№ 21 ჯვრით“.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **წითელი თეატრი.** კვირას, მარტის 7-ს წარმოდგენილი იქნება მესამედ ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“. დადგმა ალ. წუწუნავასი.

საბჭოთა სასამართლო

დახვრეტა კოოპერატივის ფულის გაფლანგვისათვის

გუშინ, აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ცინცაძის თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. ვასილ არკადის ძე გეგეჭკორის საქმე. ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ქავთარაძე, ბრალს სდებდა პროკურორი ტატიშვილი.

ვ. გეგეჭკორს ბრალად ედება 3.331 მანეთის გაფლანგვა № 8 მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს.

სასამართლომ მხარეების კამათის შემდეგ, მოწმეების ჩვენებით და საქმეში დართულ მასალების მიხედვით, ბრალდება დამტკიცებულად სცნო და დაადგინა: **ბრალდებულ ვასილ არკადის ძე გეგეჭკორს 3.331 მან. და 64 კაპ. გაფლანგვისათვის მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.**

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

ყოფ. „გ. ქავთარაძე“—„დინამო“

კვირას, 7 მარტს, დღის 12 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ყოფ. გ. ქავთარაძის სახელობის გუნდის და საქართველოს საპორტო საზოგადოების ფეხბურთელთა გუნდის—„დინამო“-ს შეჯიბრება.

ეს მეორე შეჯიბრებაა ამ გუნდებს შორის მიმდინარე ზამთარში. პირველი შეჯიბრება მათ შორის დამთავრდა 2:1 ქავთარაძის სახელობის გუნდის სასარგებლოდ.

მეორე შეჯიბრებაში „დინამო“ გამოდის გაძლიერებული შემადგენლობით. გუნდს მიემატა ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეები, როგორც არიან: ანდრო ჟორდანია, ბათომელი ფეჩულია, დ. მდივანი (წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდიდან), ქსენოფონტოვი და სხვები.

გუნდის შემადგენლობა ასეთია:

ცომაია, თედევი, ქსენოფონტოვი, გონელი, ჟორდანია, ბლანკმანი. მდივანი, გალპერინი, გალდობინი, ვოლკოვი და ვ ს. ამბუკაძე.

ქავთარაძის სახელობის გუნდი გამოდის თავ ისი ძირითადი შემადგენლობით:

პაპკოვი, ფოჩხუა, თაყაიშვილი, იმნაძე, ხევსურიანი, ქუთათელაძე, ქებაძე, ვაჩნაძე, გასიაშვილი, გუნია და ბეგიშვილი.

სეზონის გახსნა

ფეხბურთის მიმდინარე წლის საგაზაფხულო სეზონი გაიხსნება მარტის შუა რიცხვებში.

გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშებაში პირველი კატეგორიიდან მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი გუნდები:

ყოფ. ქავთარაძის სახელობის გუნდი, „დინამო“, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, „პოლიტეხნიკუმი“, „არსენალის რაიონი“ „ლენინის რაიონი“ და წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი.

როგორც გუნდების შემადგენლობა, ისე მათი რიცხვი საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ წლევანდელი სეზონი საინტერესო იქნება.

ახალი სტადიონი

საქართველოს საპორტო საზოგადოება—„დინამო“-ს განზრახვა აქვს თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ მოაწყოს ახალი სტადიონი.

სტადიონზე მოწყობილი იქნება მოედანი ფეხბურთისა და ლაუნ-ტენისისათვის. მაყურებელი საზოგადოებისათვის აგებული იქნება ამფიტეატრი.

მუშაობა სტადიონის მოსაწყობათ დაიწყება ახლო მომავალში.

სასპორტო ნივთების მაღაზია

ს სპორტო საზოგადოება „დინამო“ სასახლის ქუჩაზე ხსნის სასპორტო ნივთების მაღაზიას.

იურიდიული რჩევა-დარიგება

ვრცელდება თუ არა სოციალური დაზღვევა ყველა დაქირავებულზე

კითხვა.

მე ვმუშაობ საბჭოთა ერთ-ერთ დაწესებულებაში ლიტერატურულ მუდმივ თანამშრომლად; არა ვარ შტატის მოსამსახურე; არა მაქვს მუდმივი ჯამაგირი (ფიქსი). შრომის ხელფასს ვიღებ ნაჭრობით, ე. ი. ჰონორარის სახით. უკვე ორ წელზე მეტია, რაც მე ვმუშაობ ამგვარად და დღემდე დაზღვეული არა ვარ. ამგვარ შრომით ვაკეთებ 50—60 მან. სხვა შემოსავალი მე არა მაქვს. ადმინისტრაციას არ სურს ჩემი დაზღვევა.

გთხოვთ მიპასუხოთ, ვალდებულია თუ არა იგი დამაზღვევოს მეც, როგორც სხვები, საერთო წესით და ვრცელდება თუ არა ჩემზე სოცდაზღვევა?

გაზ. მომუშავე ა—ბ. გ—ში.

პასუხი:

სოცდაზღვევა ვრცელდება ყველა დაქირავებულ მომუშავეზე, დამოუკიდებლად იმისა, მუშაობს თუ არა იგი სახელმწიფო, ან კერძო დაწესებულებაში (ამ შემთხვევაში თქვენზედაც) და მიუხედავად მათი მუშაობის ხანგრძლივობისა და სასყიდლის მიღების წესისა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 10

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მიწის კოდექსის 127 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1925 წ. ივლისის 18-ის დადგენილების შესასრულებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

მიწის კოდექსის 127 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„ყველა ის სოფელი, სადაც მიწათმოწყობა ხდება, ვალდებულია თავისი ხარჯით მისცეს მიწისმზომელ-მიწისმომწყობს:

ა) საცხოვრებლად და სამუშაოდ გამოსადეგი ბინა გათბობით და განათებით;

ბ) მასალები გეოდეზიურ მუშაობისა და მიჯნის ნიშნებისათვის;

გ) არანაკლებ სამი მუშისა ყოველი სამუშაო დღისათვის;

დ) გადასაზიდი საშუალება (ცხენი, ურემი და სხვ.) მიწების გამიჯვნისა და გაზომის დროს.

ყველა ამისათვის გაწეული ხარჯი თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გაანაწილოს სოფლის მცხოვრებთა შორის მათი შეძლებისადამიხედვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წლ. თებერვლის „10“.

თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 14

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. 2 მარტი

1926 წ. უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეების შესახებ საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად.

საქ. შრომის სახ. კომისარიატის 1925 წ. დეკემბრის 24-ს თარიღით და 9-№-ით 1926 წ. უქმე და დასასვენებელი დღეების შესახებ გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად და თანახმად ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის 1926 წ. თებერვლის 15-ს თარიღით და 11 №-ით „უქმე და დასასვენებელ დღეების შესახებ“ გამოცემულ დადგენილებისა, საქ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე, ახალ გაზრდობის საერთაშორისო დღე და ძირითად კანონის (ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის) მიღების დღე იუქმება მახლობელ კვირა დღეს შემდეგნაირად:

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე—მარტის თვის პირველ კვირა დღეს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე—სექტემბრისთვის პირველ კვირა დღეს, ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მიღების დღე—ივლისის თვის პირველ კვირა დღეს.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ა. ჰიჭაძე.**

საერთო - საორგანიზაციო განყ. გამგე: **კვირიკაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

სახ. უნივერსიტეტის გაერთ. კომ.-უჯრედთა ბიურო ამით აცხადებს უჯ. წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 5 მარტს (პარასკევს) საღამოს 4½ საათზე შესდგება კომ.-უჯრედთა გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის სორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ საქ. კომპარტიის ცეკას პლენუმთან დაკავშირებით, საწარმოვო უჯრედთა ბიუროების კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 5 მარტს, გადატანილია 9 მარტისათვის და გაიმართება მუშათა ცენტრალურ კლუბში, საღამოს 6 საათზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**ხვანიძე.**

შაბათს, 6 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში გაიმართება პროპაგანდისტთა კურსების მეცადინეობა რუსულ ენაზე საბჭოთა კავშირის საბჭოთა აღმშენებლობის და კონსტიტუციის შესახებ.

ვის აქვს საწინაალმდეგო

1-ლ ქ. მ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1. ყაველაშვილი მიხეილ ნესტორის ძე, 2. მიქიაშვილი იასონ თევდორის ძე, 3. [illegible] იასონ [illegible] ძე. თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ამ ამხანაგების, ვთხოვთ აცნობოს 1 ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედს (ავლაბარი) 10 დღის განმავლობაში.

კომუჯრედის პ./მ. მდივანი **შ. კვინიკაძე.**

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება უპარტიო წ. არმიელს ამხანაგ თალაკვაძე ივანე ნოეს ძეს, კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ. ვთხოვთ თუ ვინმემ იცის რაიმე უარყოფითი მის შესახებ, გვაცნობოს ერთი კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით: ქალ. თბილისი, ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის მდივანს **ნესტორ კვირკველიას.**

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის [illegible] 4-ე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება უპარტიო [illegible] პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ბარელიძე ივანე ოქროპირის ძე, 2) მალიჩქი ბორისი ნიკოლოზის ძე, 3) სიდამონიძე იასონ თედორეს ძე, 4) ბუშურიშვილი პეტრე პავლეს ძე, 5) თათულოვი ბუღდანი მელქოს ძე, თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ამ ამხანაგების, ვთხოვთ აცნობონ კომუჯრედში.

მე-4-ე კომუჯრედის მდივანი—**ვაშაკიძე.**

ინჟენერი გრიგოლ ზაქარიას ძე ქურდიანი, მეუღლე მისი პარესსა კონსტანტინეს ასული, შვილები ილიკო, არჩილი და ელიზბარი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის საყვარელი დედის, მეორეს დედამთილის, დანარჩენთა დიდედის

მარიამ გრიგოლის ასული ქურდიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, გუნიბის ქუჩაზე, № 44, გამოსვენება დღეს, 5 მარტს, საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1748 1—1

შვილები სოლომონ, გრიგოლ, ალექსანდრე, იოსებ ქურდიანი, თებრონია ქუმსიშვილი, ელისაბედ კოწუწიშვილი და ოლღა ერისთავი, რძლები ბარბარე, პარესსა, სოფიო და ელენე, შვილიშვილები ნადეჟდა დალაქიშვილი, თამარა ჩიხლაძე და სხვ. აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 3 მარტს, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

მარიამ გრიგოლის ასული ქურდიანი

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, 5 მარტს, 4 ნახ. საათზე, ბინიდან გუნიბის ქ., № 44 ვერის სასაფლაოზე. 1753 1—1

დამწუხრებული მეუღლე მინადორა, შვილები: გრიშა, თამარა, კოლია და ლევანი, რძალი მარიამი, ძმა კონსტანტინე, ძმისწული ტიტე, რძლები: ელენე ჯანდიერი და ელენე ბებიაშვილი, შვილიშვილები: თამარა, რეზო და გულნარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. მარტის 1-ელს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ლეონტი გიორგის ძე ნანეიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, მარტის 7 ჭიათურაში—სოფ. შუქრუთში.

1755 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე, სალომე, შვილები: პავლე, სოფრონ; გულნარა, თინა და პოლინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ყველა გულშემატკივართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ჭიათურაში სამშაბათს, 23 თებერვალს გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი ქმარი, ხოლო უკანასკნელთა უძვირფასესი მამა მღვდელი

დიმიტრი ცომაია

რომელიც წასვენებული იქნა ქ. ჭიათურიდან სოფელ ზოდში და დაკრძალული ადგილობრივ ეკლესიის სასაფლაოზე კვირას, 28 თებერვალს.

1759 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ლიზა (ელისაბედი), შვილი გრიშა (გრიგოლი), ბიძა და ძმა ლეანტი (ლეონა) და გერვენტი ფოჩხიძეები, ცოლისძმა—ვანო ძელიძე, ცოლისძმისწული სიმონ მაჩაიძე, ცოლისდიშვილები: პანტელეიმონ და აკაკი ციხისლები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საყვარელ და დაუვიწყარ

სანდრო (ალექსანდრე) ალექსის ძე ფოჩხიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო შაბათს, 6 მარტს, წმინდა ნინოს ეკლესიაში 10—11-დე გადახდილი იქნება წირვა, 12—1-დე სეფისკვერე პანაშვიდი. 1736 2—2

სახელმწიფო ოპერა დღეს, 5 მარტს

ტრილბი

შაბათს, 6 მარტს

მიგაი და სტეპანოვა

ტრავიატა

კვირას, 7 მარტს

მიგაის უკანასკნელი გასტროლი

1. ევგენი ონეგინი 2. პიკის ქალი

არია ელეცკის

3—2 ნ. 854

აპოლო ართისტული სოლეი

პირველად სეზონის საუცხოვო სურათი

„კინი“

(გენიოსი და სალახანა)

მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

დღეიდან გრძელდება ჩვენება მესამე კვირაში

1 და 2 სერია ერთად

მსოფლიო შედევრის

„ნიბელუნგები“

იჩქარეთ ნახვა

0—13 ნ. 785

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 6 მარტს

ლამარა

კვირას, 7 მარტს

ჰამლეტ

მეორე შემადგენლობა

2—1 ნ. 857

ხელისმომწერლებმა

ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპ. № 24

ტელეფონი № 10-49

პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მე-5-ე ყრილობა მოწვეულია ორშაბათს, 1926 წ. 8 მარტს.

ყრილობის დღის წესრიგშია:

1. ამხ. ყურულიშვილის მოხსენება საქ. პროფსაბჭოს საქმიანობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ამხ. არჩილ მიქაძის მოხსენება შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.
4. საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის პერსპექტივები:
   - ა) მრეწველობის დარგში—მომ სენებ.—ამხ. ყოჩიკაშვილი.
   - ბ) სასოფლო-მეურნეობის დარგში—გეგეჭკორი.
5. საქართველოს პროფმოძრაობის მორიგი ამოცანები:
   - ა) საორგანიზაციო დარგში—მომხს. ამხ. ალიკო ფანცხავა.
   - ბ) სატარიფო-საეკონომიო დარგში მომხს. ამხ. ბ. მაჩაიძე.
   - გ) კულტურულ-საგანმანათ. „ ი. ჰელიძე.
6. არჩევნები.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

8—2 ნ. 846.

ამა წლის 13 მარტს მოწვეულია ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობა

დღის წესრიგი:

1) გამგეობის მოხსენება 1924 | 25 საოპერაციო წლის მოქმედების შესახებ და ამავე წლის ფინანსიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) საბჭოს მოხსენება.
4) გამგეობის საინფორმაციო მოხსენება 1925 | 26 საოპერაციო წლის მოქმედების შესახებ.
5) მიმდინარე საოპერაციო წლის სამოქმედო გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
6) საერთაშორისო კოოპერაციის (ალიანსის) საკითხები.
7) წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა.
8) ცეკავშირის საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9) რწმუნებულთა ამორჩევა „ცენტროსოიუზის“ და „ზაკსოიუზის“ ყრილობებზე.
10. მიმდინარე საკითხები.

ნ. 856 1—1 ცეკავშირის გამგეობა.

1926 წლის 9 მარტისთვის დღის 12 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საქართველოს ს.მ.უ.ს. ტყის მრეწველობის ტრესტის ქარავნის ბინაზე ორჯონიკიძის ქ. (ყოფილი ანდრეევის) № 82

ხუთი ცხენის გასასყიდათ

ცხენების დათვალიერება ადგილობრივ ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9 საათიდან.

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი

1—1 ნ. 858

„ზაკავტოპრომტორგი“-ს

„ЗАКАВТОПРОМТОРГ“

თბილისის განყოფილებამ

კვირაობით და უქმე დღეებში მოაწყო

საექსკურსიო მოგზაურობა

„ფიატ“-ის სისტემის ახალ ავტობუსებით

1) თბილის—ზაჰეს—მცხეთას შორის

ავტომობილები გავლენ კანტორიდან (თავისუფლების მოედანი, № 2. ყოფ. ქარვასლა) დღის 12 საათზე, უკან დაბრუნდებიან საღამოს5 საათზე, როგორც მცხეთის, ისე კოჯორის ხაზზე.

ბილეთები უკან დაბრუნებით და გაჩერებით, როგორც კოჯრისაკენ, ისე მცხეთისაკენ—4 მანეთი.

მთელ ავტობუსზე ჯგუფურად ჩაწერის დროს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებისათვის დასაშვებია შეღავათი და გამგზავრების დროც შეიძლება შეთანხმებული იქნას კლიენტებთან.

2) თბილის—კოჯორს შორის

აგრეთვე დაეთმობა ავტობუსები ქირით საათობით ქალაქში და ქალაქგარეთ მოგზაურობისათვის.

ბილეთების გაყიდვა და ცნობების მიღება სწარმოებს სამუშაო დღეებში, დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე, ხოლო კვირაობით და უქმედღეობით დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდე, სამგზავრო მიმოსვლის თბილისის კანტორაში.

(თავისუფლების მოედანი № 2, ყოფილ თამამშევის ქარვასლა).

ტელეფონი № 10—05

4—3 ნ. 798

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი და პირადობის მოწმობა ბათლომე ბეჟანისძე ყურაშვილის სახელზე. ჩ. გ.
1—1 1752

დაიკარგა სახლის ნასყიდობის ქაღალდები, გეგმა და მთელი საბუთები, იაკობ ივანესძე კაპანაძეს სახელზე. ჩ. გ.
1—1 1749

დაიკარგა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ბარათი არტემ არუტიუნოვის სახელზე. ჩ. გ.
1—1 1746

დაიკარგა დროებითი პირადობის მოწმობა კონსტანტინ გრიგოლისძე ერისთავის სახელზე. ჩ. გ.
1—1 1751

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვასო ბალიაშვილის სახელზე, ჩ. გ.
17:8 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 1685 სვეერიან სირამეს სახელზე ჩ. გ.
1—1 1750

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი პავლე ჯამასბიშვილის სახელზე, ჩ. გ.
1—1 1747

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 428 და აღრიცხვის ბარათი № 4 ბესარიონ ბარნაბის ძე ტაბიძის სახელზე ჩ. გ.
1—1 № 1756

დაიკარგა სააღრიცხვო ბარათი კიმოთე ბასილისძე ქავთარაძის სახელზე ჩ. გ.
1—1 1757

ტირაჟი—24.4??

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კამოს ქუჩა, 68